34(03)
ს-29

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | Пролетарии всех стран, соединяйтесь!

# საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული

1925 წ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

# Собрание Узаконений и Распоряжений Рабоче-Крест. Правит. Грузии

1925 г.

Издание Народного Комиссариата Юстиции

| ივლისი — დეკემბერი | № 3 | ნაწ. პირველი | Июль-Декабрь | № 3 | Отд. первый |
|---|---|---|---|---|---|

## შინაარსი:

58 დადგენილება № 35 ც. ა. კ. „მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის სადისციპლინო წესდების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ" (წესდებითურთ).

59. დადგენილება № 36 ც. ა. კ. და ს. კ. ს. „ყოფილი „შავიზღვის რკინის გზის საზოგადოების" ქონების შავიზღვის რკინისგზის სამშენებლო სამმართველოსათვის" გადაცემის შესახებ".

60. დადგენილება № 37 ც. ა. კ. „მიწის კოდექსის 94 მუხლის შეცვლის შესახებ".

61 დადგენილება № 38 ც. ა. კ. და ს. კ. ს „ფიზიკური კულტურის სფეროში მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ".

62. დადგენილება № 39 ც. ა. კ. „ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვეულ მოქალაქეთათვის ოჯახობრივი და ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით მისაცემი შეღავათების შესახებ".

63. დადგენილება № 40 ც. ა. კ. „სამომხმარებლო კოოპერაციის თაობაზე 1923 წ. იანვრის 24-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის ძალა-დაკარგულობის შესახებ".

64. დადგენილება № 41 ც. ა. კ. „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის სასარგებლოდ კინო თეატრებში შესასვლელი ბილეთების სპეციალური გამოსაღებით დაბეგვრის შესახებ".

65. დადგენილება № 42 ც. ა. კ. და

## СОДЕРЖАНИЕ:

58. Постановление № 35 ВЦИК „Об утверждении и введении в действие Дисциплинарного Устава Рабоче Крестьянской Красной Милиции" (Устав).

59. Постановление № 36 ВЦИК и СНК „О передаче имущества бывшего „Общества Черноморской железной дороги" „Управлению по постройке Черноморской железной дороги".

60. Постановление № 37 ВЦИК „Об изменении 91 ст. Земельного Кодекса".

61. Постановление № 38 ВЦИК и СНК „О мероприятиях по усилению работы Советов Физической Культуры".

62. Постановление № 39 ВЦИК „О льготах по семейно-имущественному положению для граждан, призываемых на действительную военную службу".

63. Постановление № 40 ВЦИК „О признании декрета от 24 января 1923 г.—о потребительской кооперации—утратившим силу".

64. Постановление № 41 ВЦИК „Об обложении входных билетов кино-театров специальным сбором в пользу Грузинского Общества Красного Креста и Народного Комиссариата Соц. Обеспечения".

65. Постановление № 42 ВЦИК и

ს. კ. ს. „მიწის კოდექსის მე-9 მუხლის შეცვლის შესახებ“ (განმარტებით).

66. დადგენილება № 43 ც. ა. კ. და ს. კ. ს. „საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოების დებულების დამტკიცების შესახებ“ (დებულებითურთ).

67. დადგენილება № 44 ც. ა. კ. „მიწის კოდექსის 24, 53, 54, 55, 57, 161, 162, 163, 164, 165 და 166 მუხლის შეცვლის შესახებ“.

68. დადგენილება № 45 ც. ა. კ. „საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებისა და დამატების შესახებ“.

69. დადგენილება № 46 ც. ა. კ. „საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კომუნალური მეურნეობის განყოფილებასთან არსებული ხანძრისაგან დაცვის ინსპექციისა და მის ადგილობრივ ორგანოთა დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (დებულებითურთ).

70. დადგენილება № 47 ც. ა. კ. „მეფის დროის პოლიციისა, ჟანდარმის ცალკე კორპუსისა და მენშევიკური მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საგანგებო რაზმის ყოფილ მოსამსახურეთა მოქალაქობრივ უფლებების აღდგენის წესის შესახებ“.

71. დადგენილება № 48 ც. ა. კ „ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გლეხობის სარგებლობაში გადაცემის შესახებ“.

72. დადგენილება № 49 ც. ა. კ. „სამოქალაქო სამართლის კოდექსის ცვლილებისა და დამატების შესახებ“.

73. დადგენილება № 50 ც. ა. კ. „მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის სადისციპლინო წესდების 23 მუხლის მე-5 პუნქტის შეცვლის შესახებ“.

74. დადგენილება № 51 ც. ა. კ. „ამხ. თ. ღლონტის განთავისუფლებისა და ამხ. გ. მგალობლიშვილის დანიშვნის შესახებ“.

75. დადგენილება № 52 ც. ა. კ. „საფაქიო ეწერი“-ს სახელწოდების შეცვლის შესახებ“.

76. დადგენილება № 53 ც. ა. კ. „სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლებისა და დამატების შესახებ“.

77. დადგენილება № 54 ც. ა. კ. და ს. კ. ს. „მოქალაქობრივი მდგომარეო-

СНК „Об изменении 9-ой статьи Земельного Кодекса“ (с раз'яснением).

66. Постановление № 43 ВЦИК и СНК „Об утверждении Положения об Обществе Красного Креста С.С.Р. Грузии“ (с Положением).

67. Постановление № 44 ВЦИК „Об изменении ст. ст. 24, 53, 54, 55, 57, 161, 162, 163, 164, 165 и 166 Земельного Кодекса“.

68. Постановление № 45 ВЦИК „Об изменении и дополнении Уголовного Кодекса С.С.Р. Грузии“.

69. Постановление № 46 ВЦИК „Об утверждении и введении в действие Положения об Инспекции Пожарной Охраны при Коммунальном Отделе НКВД Грузии“ (с Положением).

70. Постановление № 47 ВЦИК „О порядке восстановления в правах гражданства лиц, служивших в царской полиции, отдельном корпусе жандармов и в особом отряде при Министерстве Внутренних Дел меньшевитского Правительства“.

71. Постановление № 48 ВЦИК „О передаче в пользование крестьянства лесов местного значения“.

72. Постановление № 49 ВЦИК „Об изменениях и дополнениях Гражданского Кодекса С.С.Р.Г.“.

73. Постановление № 50 ВЦИК „Об изменении 5 пункта ст. 23 Дисциплинарного Устава Рабоче-Крестьянской Красной Милиции“.

74. Постановление № 51 ВЦИК „Об освобождении от должности Т. Глонти и назначении Г. Мгалоблишвили“.

75. Постановление № 52 ВЦИК „О переименовании сел. „Саапакио Ецери“ в „Ахали Ецери“.

76. Постановление № 53 ВЦИК „Об изменениях и дополнениях Гражданского Процессуального Кодекса С.С.Р.Г.“.

77. Постановление № 54 ВЦИК и СНК „Об из'ятии из ведения управлений уездных милиций дел записей актов гражданского состояния и передаче их в ведение уездных бюро записей актов гражданского состояния при Уездных Исполнительных Комитетах“.

ბის აქტების ჩაწერის საქმის მაზრის მილიციის სამმართველოსაგან ჩამორთმევისა და მაზრის აღმასრულებელ კომიტეტთან დაარსებულ მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ბიუროსათვის გადაცემის შესახებ".

78. დადგენილება № 55 ც. ა. კ. და ს. კ. ს. „საუწყებო მილიციის შესახებ".

79. დადგენილება № 56 ც. ა. კ. „სასამართლოს წყობილების დებულების ცვლილებისა და დამატების შესახებ".

80. დადგენილება № 57 ც. ა. კ. „განათლების სახალხო კომისარიატისათვის კინო-სურათების გაქირავების მონოპოლიის მინიჭების შესახებ".

81. დადგენილება № 58 ც. ა. კ. „იმ სახალხო მსაჯულთა განსაკუთრებული სიის შესახებ, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიიღონ რთულ სამეურნეო საქმეთა განხილვაში".

82. დადგენილება № 59 ც. ა. კ. და ს. კ. ს. „მიწის კოდექსის მე-9, 23, 26 და 37 მუხლის შეცვლისა და დამატების შესახებ".

83. დადგენილება № 60 ც. ა. კ. „პატიმართა და საპატიმრო ადგილებიდან განთავისუფლებულთა დამხმარე კომიტეტის დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ" (დებულებითურთ).

84. დადგენილება № 61 ც. ა. კ. „საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების არჩევნების შესახებ 1926 წელში".

85. დადგენილება № 62 ც. ა. კ. „ნოვიათონის" სახელწოდების შეცვლის შესახებ".

86. დადგენილება № 63 ც. ა. კ. „მიწის კოდექსის 40 მუხ. შეცვლის შესახებ".

87. დადგენილება № 64 ც. ა. კ. „სავეტერინარო წესდების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ" (წესდებითურთ).

88. დადგენილება № 65 ც. ა. კ. „სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდევინების სფეროში თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ".

89. დადგენილება № 66 ც. ა. კ. და ს. კ. ს. „მიწის კოდექსის მე-9 მუხლის შევსების შესახებ".

90. დადგენილება № 67 ც. ა. კ. „საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების არჩევნების შესახებ".

91. დადგენილება № 68 ც. ა. კ. „ქუთაისისთვის მიწის ნორმის შეცვლის შესახებ".

78. Постановление № 55 ВЦИК и СНК „О Ведомственной Милиции".

79. Постановление № 56 ВЦИК „Об изменениях и дополнениях Положения о Судоустройстве".

80. Постановление № 57 ВЦИК „О предоставлении Народному Комиссариату Просвещения монополии по сдаче на прокат кино-картин".

81. Постановление № 58 ВЦИК „Об особом списке народных заседателей для участия при рассмотрении сложных хозяйственных дел".

82. Постановление № 59 ВЦИК и СНК „Об изменении и дополнении 9, 23, 26 и 37 статей Земельного Кодекса".

83. Постановление № 60 ВЦИК „О введении в действие Положения о Комитете помощи содержащимся в местах заключения С.С.Р.Г. и освобожденным из них" (с Положением).

84. Постановление № 61 ВЦИК „О выборах в Советы и на с'езды Советов в 1926 году".

85. Постановление № 62 ВЦИК „О переименовании „Нового Афона" в „Фсирпха".

86. Постановление № 63 ВЦИК „Об изменении ст. 40 Земельного Кодекса".

87. Постановление № 64 ВЦИК „Об утверждении и введении в действие Ветеринарного Устава" (с Уставом).

88. Постановление № 65 ВЦИК „О борьбе со злоупотреблениями должностных лиц в связи со взысканием сельско-хозяйственного налога".

89. Постановление № 66 ВЦИК и СНК „О дополнении ст. 9 Земельного Кодекса С.С.Р. Грузии в отношении предоставления трудящимся иностранцам права на трудовое землепользование".

90. Постановление № 67 ВЦИК „О выборах в Советы и на с'езды Советов в 1926 г.".

91. Постановление № 68 ВЦИК „Об изменении земельных норм для города Кутаиса".

92. Постановление № 69 ВЦИК „О неприменении постановления ВЦИК от 16 марта 1925 г. за № 13 к некоторым преступлениям".

92. დადგენილება № 69 ც. ა. კ. „სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტ. აღმ. კომ. 1925 წ. მარტის 16 თარიღის და მე.13 ნომრის დადგენილების ზოგიერთი დანაშაულისათვის არ შეფარდების შესახებ“.

93. დადგენილება № 70 ც. ა. კ. და ს. კ. ს. „მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის უფლების შესახებ—იკისროს ხოლმე ვალდებულება თამასუქით“.

94. დადგენილება № 24 ს. კ. ს. პოლიგრაფიულ მრეწველობის კომიტეტის დაარსების შესახებ“.

95. დადგენილება № 25 ს. კ. ს. „წიგნის პალატაში სავალდებულოდ წარსადგენი ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებათა ეგზემპლიარების რაოდენობის გადიდების შესახებ“.

96. დადგენილება № 26 ს. კ. ს. „სახელმწიფო გამომცემლობისათვის სასწავლო წიგნებისა და სახელმძღვანელოების გამოცემის მონოპოლიის მინიჭების შესახებ“.

97. დადგენილება № 27 ს. კ. ს. „საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დანიშვნის შესახებ“.

98. დადგენილება № 28 ს. კ. ს. „ირაო საქონლის შესახებ“.

99. დადგენილება № 29 ს. კ. ს. „1925/26 წ. ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადის გამოსაანგარიშებლად კატეგორიების (თანრიგების) დეწესების შესახებ“.

100. დადგენილება № 30 ს. კ. ს. „სრულიად საქართველოს მებაღეთა და მებოსტნეთა კოოპერატიული კავშირის „ბაღ-ბოსტან კავშირი“-ს დაარსების შესახებ“.

101. დადგენილება № 31 ს. კ. ს. „შინამრეწველობის და ხელოსნობის წარმოების გამოკვლების შესახებ სოფლად“.

102. დადგენილება № 32 ს. კ. ს. „სასამართლო წესით დადებული ჯარიმისა და სასამართლოს ხარჯის გადახდევინებისათვის, აგრეთვე სასამართლოს მიერ სახელმწიფო სახსარზე მყოფი დაწესებულების სასარგებლოდ გამოტანილ გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის მეთვალყურეობის გაწევის წესების შესახებ“.

103. დადგენილება № 33 ს. კ. ს. „იმ პირთა შესახებ, რომელთაც დაჰკარგეს უფლება დაწესებულებასთან საბინაო კმაყოფის მიღებისა და ამის გამო მოვა-

93. Постановление № 70 ВЦИК и СНК „О праве Уездных Исполнительных Комитетов обязываться по векселям“.

94. Постановление № 24 СНК „Об учреждении Комитета по делам полиграфической промышленности“.

95. Постановление № 25 СНК „Об увеличении числа экземпляров произведений печати, подлежащих обязательному представлению в Книжную Палату при Народном Комиссариате Просвещения“.

96. Постановление № 26 СНК „О предоставлении Государственному Издательству монопольного права издания учебников и учебных пособий“.

97. Постановление № 27 СНК „О назначении заместителя Председателя Государственной Плановой Комиссии ССР Грузии“.

98. Постановление № 28 СНК „О пригульном скоте“.

99. Постановление № 29 СНК „Об установлении разрядов для исчисления единого сельско-хозяйственного налога на 1925/26 г.“.

100. Постановление № 30 СНК „Об учреждении Всегрузинского Кооперативного Союза плодоводов и огородников „Баг-Бостан-Кавшири“.

101. Постановление № 31 СНК „О производстве обследования в сельских местностях кустарно-ремесленной промышленности“.

102. Постановление № 32 СНК „О порядке наблюдения за взысканием штрафов, налагаемых в судебном порядке, и судебных расходов, а равно за исполнением судебных решений в пользу находящихся на госбюджете учреждений“.

103. Постановление № 33 СНК „Об обязанности лиц, утративших право на квартирное довольствие при учреждениях, очистить занимаемые ими помещения“.

104. Постановление СНК „О порядке представления и сообщения статистических сведений промышленными предприятиями, находящимися на территории ССР Грузии“.

105. Постановление СНК „О возобновлении утраченных документов“.

106. Постановление СНК „Об осво-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლნი არიან დასცალონ მათ მიერ დაჭერილი საცხოვრებელი სადგომი".

104. დადგენილება ს. კ. ს. „საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ტერიტორიაზე არსებულ სამრეწველო საწარმოთა მიერ სტატისტიკური ცნობების წარდგენისა და შეტყობინების წესის შესახებ".

105. დადგენილება ს. კ. ს. „დაკარგული დოკუმენტების განახლების შესახებ".

106. დადგენილება ს. კ. ს. „ამხ. ვაშაძის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ".

107. დადგენილება ს. კ. ს. „სამრეწველო საწარმოთა ძირითადი და დამხმარე შენობებისა და ნაგებობის აშენებისათვის და კაპიტალური გადაკეთებისათვის პროექტის დამტკიცებისა და წინასწარ სანიტარულ-ტეხნიკური ზედამხედველობის განხორციელების წესის შესახებ".

108. დადგენილება ს. კ. ს. „რქოსანი საქონლის ჭირთან საბრძოლველად საგანგებო კომისიის დაარსების შესახებ".

109. დადგენილება ს. კ. ს. „საქართველოს შინამრეწველობის კოოპერაციის საორგანიზაციო ბიუროს დაარსების შესახებ".

110. დადგენილება ს. კ. ს. „კერძო პირთათვის მსხვილ მაშტაბის სამხედრო ტოპოგრაფიულ რუკებისა და გეგმების ჩამორთმევის შესახებ".

111. დადგენილება ს. კ. ს. „რესპუბლიკის სანიტარული ორგანოების შესახებ".

112. დადგენილება ს. კ. ს. „სარწყავი სისტემის დაცვის შესახებ".

113 დადგენილება ე. ს. „საგაკვეთილო დებულების" სახელმძღვანელოდ შემოღების შესახებ".

божденин от должности тов. Вашадзе".

107. Постановление СНК „О порядке утверждения проектов и осуществления предварительного санитарно-технического надзора при постройке и капитальном переоборудовании зданий и сооружений промышленных предприятий как основных, так и подсобных к ним".

108. Постановление СНК „Об учреждении чрезвычайной Комиссии по борьбе с чумой рогатого скота".

109. Постановление СНК „Об учреждении Организационного Бюро кустарно-промысловой кооперации Грузии".

110. Постановление СНК „Об изъятии из обладания частных лиц военно-топографических карт и планов крупного масштаба".

111. Постановление СНК „О санитарных органах Республики".

112. Постановление СНК „Об охране оросительной системы".

13. Постановление Э. С. „О принятии к руководству „Урочного Положения".

---

## 58. დადგენილება №35

### სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

**მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის სადისციპლინო წესდების დამტკიცების და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს მთლად საქართველოს

## 58. Постановление № 35

### Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов

**Об утверждении и введении в действие Дисциплинарного Устава Рабоче-Крестьянской Красной Милиции.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

1. Утвердить и ввести в действие по всей территории Соц. Сов. Респ. Грузии прилагаемый при сем Дисци-

სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის სადისციპლინო წესდება.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული წესდების შემოღებისთანავე გაუქმებულ იქნეს ყველა აქამდე გამოცემული დადგენილება, რაც შეეხება მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის მოსამსახურეთა სადისციპლინო წესით დასჯას.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. ივლისის 15.
ტფილისი—სასახლე.

## ႱႠႣႨႱႺႨႮႪႨႬႭ ႼႤႱႣႤႡႠ

**მუშათა და გლეხთა წითელი მილიციისა**

### თ ა ვ ი 1.

**ზოგადი დებულება.**

1. საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ყველა ის მოქალაქე, რომელიც იკისრებს მუშათა და გლეხთა მილიციაში სამსახურს, ვალდებულია მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინაშე ღირსეულად ატაროს მილიციელის სახელი და მტკიცედ და ურყევად დაიცვას სამილიციო დისციპლინა.

2. რევოლიუციონური სამილიციო დისციპლინა არის სისწორით ასრულება ქვემო აღნიშნულ საფუძველზე მუშათა და გლეხთა წითელი მილიციისათვის კანონითა და წესდებით დამყარებული სამსახურის წესებისა და მოსამსახურეთა საყოფაქცეო მოვალეობისა—სახელდობრ:

ა) საქართველოს სსრ ყველა კანონისადმი პატივით მოპყრობა;

ბ) თავდადებული ერთგულება სოციალისტური სამშობლოისა, საბჭოთა წესწყობილებისა და დადებული აღთქმისადმი;

გ) იმის შეგნება, რომ პირადი ნებისყოფა უნდა ემორჩილებოდეს კანონსა და უფროსის ბრძანებას;

დ) მოსამსახურეთა შორის ერთმანე-

плинарный Устав Рабоче-Крестьянской Красной Милиции.

2. С введением означенного в ст. 1 Устава отменить все изданные до сего времени постановления, касающиеся дисциплинарных взысканий служащих Рабоче-Крестьянской Красной Милиции.

3. Настоящее постановление вступает в силу со дня его опубликования.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. июля 15.
Тифлис – Дворец.

## ДИСЦИПЛИНАРНЫЙ УСТАВ

**Рабоче-Крестьянской Красной Милиции.**

### Глава I.

*Положение общее.*

1. Каждый гражданин ССРГ, принявший на себя звание служащего Рабоче-Крестьянской Милиции, тем самым обязуется перед Рабоче-Крестьянской Властью с честью носить это звание и строго и неуклонно соблюдать милицейскую дисциплину.

2. Революционная милицейская дисциплина есть точное соблюдение установленных в Рабоче Крестьянской Красной Милиции законами и уставами правил службы и обязанностей поведения служащих на основах:

а) уважения всех законов С.С.Р.Г.;

б) беззаветной преданности Социалистическому Отечеству и Советскому строю и данному торжественному обещанию;

в) сознания необходимости подчинения своей воли предписаниям закона и приказаниям Начальников;

г) взаимного уважения, сплоченности и товарищества всех служащих;

д) воспитания в себе и других качеств и способностей, необходимых для безупречного и самодеятельного выполнения своего долга.

თასადმი პატივისცემა, მჭიდრო კავშირი და ამხანაგური დამოკიდებულება;

ე) თავის თავსა და სხვაში ისეთი თვისებისა და უნარის აღზრდა-განვითარება, რაც საჭიროა მოვალეობის უნაკლოდ და დამოუკიდებლად შესრულებისათვის.

3. მილიციის ყველა მოსამსახურეს სამილიციო დისციპლინა ვალდებულყოფს:

ა) დაიცვას ყველა მოთხოვნა, ბ) სისწორით შეასრულოს უფროსის მიერ სამსახურის გამო გაცემული ბრძანება, გ) კეთილსინდისიერად და შეგნებულად აასრულოს სამსახურის მოვალეობა, დ) არ დასტოვოს ხელქვეითის მიერ ჩადენილი მცირე დანაშაული უმისოდ, რომ არ იხმაროს საზეგავლენო ღონისძიება, ე) განავითაროს და შეუწყვეტელ ჰყოს თავის თავსა და სხვაში მხედრული სული და რევოლიუციონური ღირსება.

4. მხედრული სული ჰნიშნავს: სიმამაცე-გამბედაობას იმ ზომამდე, რომ საფრთხე არად ჩასთვალოს, თავგანწირულებას, თავის თავისა და თავის ძალის რწმენას, საჭირო წამს თაოსნობის გამოჩენას, გამძლეობას და შრომისა და გაჭირვების უყოყმანოდ გადატანა ყოველგვარ გარემოებაში.

5. რევოლიუციონური ღირსება არის შეგნება იმ მილიციელ-მოქალაქის პირადი ღირსებისა, რომელიც სინდისით ასრულებს თავის მოვალეობას. იგი ვალდებულჰყოფს მოსამსახურეს: ღირსეულად იქცეოდეს როგორც სამსახურში, ისე სამსახურის გარეშე; იცავდეს მოქალაქეთა უფლებას და იყოს მათ მიმართ ზრდილობიანი და წინდახედული; იყოს პატიოსანი, უანგარო, კეთილსინდისიერად ასრულებდეს მისთვის დაკისრებულ მოვალეობას და ხელმომჭირნედ ეკიდებოდეს სახელმწიფო ქონებას, როგორც სახალხო ავლადიდებას.

## თავი 2.

### მილიციის უფროსთა და ხელქვეითთა უფლება-მოვალეობა.

6. მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის ყველა თანამშრომელთა შორის სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს ერთნი შეიძლება უფროსნი იყვნენ, ხოლო მეორენი—მათი ხელქვეითნი.

7. მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის ის თანამშრომელი, რომელიც კანონით ან განკარგულებით მუდმივად ან დროებით ხელმძღვანელობს სხვა

3. Милицейская дисциплина обязывает: а) соблюдать все требования закона; б) точно исполнять приказания по службе Начальников; в) добросовестно и сознательно исполнять обязанности службы; г) не оставлять проступков подчиненных без воздействия и д) развивать и поддерживать в себе и других воинский дух и революционную честь.

4. Воинский дух выражается в мужестве и храбрости до пренебрежения опасностью, самоотверженности, вере в себя и в свои силы, проявлении в нужную минуту инициативы, выносливости и безропотном перенесении трудов и лишений при всяких обстоятельствах.

5. Революционная честь есть сознание собственного достоинства милиционера-гражданина, исполнявшего по совести свой долг; она обязывает служащего: вести себя достойным образом как на службе, так и вне ее; охранять права граждан и быть с ними вежливым и предупредительным; быть честным, бескорыстным, с полной добросовестностью исполнять свои служебные обязанности и бережливо относиться к государственному имуществу, как народному достоянию.

## Глава II.

### *Права и обязанности милицейских Начальников и подчиненных.*

6. Все служащие Рабоче-Крестьянской Красной Милиции при исполнении служебных обязанностей могут быть одни в отношении других начальниками и подчиненными.

7. Служащий Рабоче Крестьянской Красной Милиции, который по закону или распоряжению постоянно или временно руководит деятельностью других служащих и несет за них в определенных законом случаях ответственность—есть их Начальник, а они—его подчиненные.

8. Начальник обязан служить примером для подчиненных, как своим поведением, так и службой, быть разумно требовательным и настойчивым, но в то же время справедливым, до-

ლისწინებულ შემთხვევაში და ფარგალში;

თ) მიიღოს ღონისძიებანი მცხოვრებთა შორის სახანძარო ტეხნიკური ცოდნის გავრცელებისათვის ლექციების მოწყობით და ყრილობებისა და კრებების დროს საუბარის გამართვით, აგრეთვე სხვა საშუალებით.

### III. ხანძრისაგან დაცვის სათემო ორგანოები.

9. სახანაძრო ღონისძიებათა განხორციელება თემის ფარგალში დაეკისრება სათანადო თემის აღმასრულებელ კომიტეტს.

10. სათემო აღმასრულებელი კომიტეტი მოვალეა:

ა) იქონიოს მეთვალყურეობა სახანძარო მოწყობილობის წესიერად შენახვისათვის;

ბ) ხელი შეუწყოს მოხალისეთა სახანძრო რაზმების მოწყობის საქმეს;

გ) თვალყური ადევნოს სახანძრო დაცვის სფეროში გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა აღსრულებას და ყოველი მათი დარღვევა აცნობოს სამაზრო სახანძარო ორგანოს;

დ) იზრუნოს იმ წყაროებისა, წყლებისა და გზების წესიერად შენახვისათვის, რასაც მნიშვნელობა აქვს ხანძრის ჩასაქრობად;

ე) მიიღოს ღონისძიება ხანძრისაგან მოსალოდნელ საფრთხის თავიდან ასაცილებლად;

ვ) იზრუნოს, რათა სახანძრო ორგანიზაციები თავის დროზე მომარაგებულ იქნენ სახანძრო იარაღით და მოწყობილობით;

ზ) გაუწიოს ხელმძღვანელობა ხანძარის ჩაქრობას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. სექტემბრის 30.
ტფილისი—სასახლე.

сообщать в уездный орган Пожарной Охраны;

г) заботиться об исправном состоянии водоисточников и дорог, имеющих значение для пожаротушения;

д) принимать меры к устранению опасности от пожаров;

е) заботиться о своевременном снабжении пожарных организаций пожарными инструментами и снарядами;

ж) непосредственно руководить пожаротушением.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. сентября 30.
Тифлис—Дворец.

ვალდებულია იარაღი იხმაროს და შეასრულებინოს ხელქვეითს გაცემული ბრძანება. იმ შედეგისათვის, რაც აღნიშნულ განსაკუთრებულ ღონისძიებას მოჰყვება, უკეთუ იგი ხმარებულ იქნა ნამდვილი საჭიროების მიხედვით, უფროსი პასუხს არ აგებს.

14. უფროსი, რომელმაც იარაღს მიმართა, მოვალეა დაუყოვნებლივ ან პირველი შეძლებისთანავე მოახსენოს ეს თავის პირდაპირ უფროსს და ეს უკანასკნელი იმისდა მიუხედავად, თუ რა შედეგი მოჰყვა ასეთ უკიდურეს ღონისძიებას, მოახდენს განკარგულებას ამ შემთხვევის გამოსაკვლევად.

15. ხელქვეითი ვალდებულია დაუყოვნებლივ და სისწორით შეასრულოს უფროსის კანონიერი ბრძანება.

16. უკეთუ ხელქვეითი, რომელმაც ბრძანება მიიღო ერთ-ერთი უფროსისაგან, კვლავ მიიღებს ახალ ბრძანებას სხვა უფროსისაგან, იგი მოვალეა მოახსენოს ამ უკანასკნელს წინად მიღებული განკარგულება და მოიქცეს ისე, როგორც უბრძანებს უკანასკნელი ბრძანების გამცემი პირი. უფროსი, რომელიც შესცვლის ან გააუქმებს უმაღლესი უფროსის ბრძანებას, ვალდებულია ამ ბრძანების შეცვლა თუ გაუქმება დაუყოვნებლივ მოახსენოს მას.

17. ხელქვეითმა არ უნდა შეასრულოს ისეთი ბრძანება, რაც მისგან მოითხოვს დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენას.

მიიღებს რა ასეთ ბრძანებას, ხელქვეითი არ შეასრულებს და ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახსენოს ეს უფროსს ხელქვეითობის წესისამებრ ან საპროკურორო ზედამხედველობის ორგანოს ანდა, თუ ესენი არ იქნებიან,—უახლოესი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ან ერთ-ერთ წევრს.

უფროსის ბრძანებით ჩადენილი დანაშაულისათვის დაისჯება კანონით განსაზღვრული სასჯელით როგორც ის უფროსი, რომელმაც ბრძანება გასცა, აგრეთვე ის ხელქვეითიც, რომელმაც ეს ბრძანება შეასრულა.

## თავი 4.

### წამახალისებელი ღონისძიებანი.

18. წამახალისებელი ღონისძიება მიიღება, თანახმად არსებული წესისა, უფროსის მიერ იმ ხელქვეითის დასაჯილ-

исхода применения указанной крайней меры, делает распоряжение о производстве по данному случаю расследования.

15. Подчиненный обязан немедленно и точно исполнять законные приказы Начальника.

16. Если подчиненному, который получил приказ от одного из своих Начальников, будет дано новое приказание другим Начальником, то подчиненный обязан доложить последнему о ранее полученном распоряжении и поступать так, как ему прикажет лицо, отдавшее последнее приказание.

Начальник, изменивший или отменивший приказ высшего Начальника, должен немедленно доложить об этом последнему.

17. Подчиненный не должен исполнять приказ, предписывающий ему совершить преступное деяние.

Получив такой приказ, подчиненный, не исполняя его, обязан немедленно доложить о том высшему, в порядке подчиненности, Начальнику или органу прокурорского надзора, или за отсутствием таковых, заявить председателю или одному из членов ближайшего Исполкома.

За преступное деяние, совершенное во исполнение приказания, подвергаются наказанию, определенному в законе, как Начальник, отдавший такое приказание, так и подчиненный, его исполнивший.

## Глава IV.

### *О мерах поощрения.*

18. Меры поощрения принимаются Начальником для награждения подчиненных, отличившихся при исполнении служебных обязанностей, или за отличное их поведение, усердие и знание службы в милиции, согласно существующих правил.

## Глава V.

### *Дисциплинарные взыскания.*

19. Начальник обязан взыскать с подчиненного за совершение проступка.

დოებლად, რომელმაც თავი გამოიჩინა სამსახურის აღსრულების დროს ან თავი გამოიჩინა თავისი კარგი ყოფა-ქცევით, მუყაითობით და სამილიციო სამსახურის ცოდნით.

### თავი 5.

### სადისციპლინო სასჯელი.

19. უფროსი ვალდებულია დაადოს ხელქვეითს სადისციპლინო სასჯელი მცირე დანაშაულის ჩადენისათვის.

20. სამილიციო დისციპლინის საწინააღმდეგო მცირედ დანაშაულად ჩაითვლება მილიციის თანამშრომელის მიერ კანონით და წესდებით განსაზღვრულ მოვალეობისა და ყოფაქცევის წესების დარღვევა ან სამსახურისადმი არაკეთილსინდისიერი, უყურადღებო და დაუდევარი მოპყრობა, რაც თავის თავად არ შეიცავს სისხლის სამართლით დასასჯელი ქმედობის ნიშნებს.

21. მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის თანამშრომელს მცირე დანაშაულისათვის შეიძლება დაედოს შემდეგი სასჯელი:

1) შენიშვნა ან გაფრთხილება სიტყვიერად ან ბრძანებაში გამოცხადებით;

2) საყვედური სიტყვიერი, წერილობითი, ან ბრძანებაში გამოცხადებით;

3) ყაზარმაში დატოვება არა სამსახურის დროს, ვადით არა უმეტეს ორი კვირისა;

ეს სასჯელი შეიძლება დაედოს იმ თანამშრომელს, რომელიც კანონით, წესდებით ან უფროსის კანკარგულებით ვალდებულია ყაზარმაში იცხოვროს;

4) ჩამორთმევა ოთხი თვიდან რვა თვემდე სამსახურში დაწინაურებისა და აგრეთვე ჯილდოს და წარჩინების მიღების უფლებისა;

5) დაპატიმრება 30 დღე და ღამემდე;

6) დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენება.

22. მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის ბრალეულ ხელქვეით თანამსახურისათვის სადისციპლინო სასჯელის დადების უფლება აქვს შემდეგ უფროსებს:

1) რესპუბლიკის მილიციის უფროსს და მის თანაშემწეს;

2) მილიციის ქვე-განყოფილების უფროსს და რესპუბლიკის მილიციის ინსპექტორს;

3) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური

20. Проступок против милицейской дисциплины есть нарушение служащим милиции установленных законом и уставами обязанностей, правил поведения или недобросовестное, невнимательное и небрежное отношение к службе, не заключающие в себе признаков состава уголовнонаказуемого деяния.

21. На совершивших проступок служащих Рабоче-Крестьянской Красной Милиции могут быть налагаемы следующие взыскания:

1) замечание или предостережение словесное или в приказе;

2) выговор словесный, в предписании или в приказе;

3) неувольнение из казарменного помещения во внеслужебное время на срок не свыше двух недель. Этому наказанию могут быть подвергнуты лишь те служащие, которые по закону, уставам и распоряжениям Начальников обязаны жить в казармах;

4) лишение права на повышение по службе, а также на получение наград и отличий по службе от 4-х до 8-ми месяцев;

5) арест до 30 суток;

6) смещение на следующую низшую должность.

22. Право налагать дисциплинарное взыскание на провинившихся подчиненных служащих Рабоче-Крестьянской Красной Милиции принадлежит следующим начальникам:

1) Начальнику Милиции Республики и его помощнику;

2) Начальнику Под'отдела Милиции и Инспектору Милиции Республики;

3) Начальникам Милиции Автономной Республики Аджарии, Автономной области Южной Осетии и Союзной С. С. Республики Абхазии и их помощникам;

4) Начальнику Уездной и Городской Милиции и его помощнику;

5) Начальнику Уголовного Розыска и его помощнику;

6) Начальнику района, Начальнику резервной школы Милиции и их помощникам;

7) старшему милиционеру.

Властью взыскивать пользуются и

ოლქის და აფხაზეთის მოკავშირე ს. ს. რესპუბლიკის მილიციის უფროსებს და მათ თანაშემწეებს;

4) მაზრისა და ქალაქის მილიციის უფროსს და მის თანაშემწეს;

5) სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის უფროსს და მის თანაშემწეს;

6) რაიონის მილიციის უფროსს, მილიციის სამარქაფო სკოლის უფროსს და მათ თანაშემწეთ;

7) უფროს მილიციელს.

სადისციპლინო სასჯელის დადების უფლება, განსაკუთრებული დებულებისა ან განკარგულების მიხედვით, აქვთ სხვა უფროსებსაც, რომელთაც უჭირავთ შესაფერი საკომანდო თანამდებობანი მილიციის ნაწილსა, სამმართველოსა და დაწესებულებაში.

23 ზემოჩამოთვლილ უფროსებს უფლება აქვთ:

1) უფროსს მილიციელს--მისცეს ხელქვეითს სიტყვიერი შენიშვნა ან გაფრთხილება;

2) რაიონის მილიციის უფროსის თანაშემწეს:

ა) განუცხადოს ხელქვეითს სიტყვიერი საყვედური;

ბ) დასტოვოს იგი ყაზარმაში 3 დღე და ღამემდე;

გ) დააპატიმროს იგი 3 დღე და ღამემდე.

3. რაიონის მილიციის უფროსს და სამარქაფო სკოლის უფროსს:

ა) გამოუცხადოს ხელქვეითს საყვედური (წერილობით ან სიტყვიერი);

ბ) დასტოვოს იგი ყაზარმაში 5 დღე და ღამემდე;

გ) დააპატიმროს იგი 5 დღე და ღამემდე.

4. მაზრისა და ქალაქის მილიციის უფროსის თანაშემწეს:

ა) დასტოვოს ხელქვეითი ყაზარმაში 10 დღე და ღამემდე;

ბ) დააპატიმროს იგი 10 დღე და ღამემდე.

5. მაზრისა და ქალაქის მილიციის უფროსს, სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის უფროსს და მის თანაშემწეს:

ა) დასტოვოს ხელქვეითი ყაზარმაში 14 დღე და ღამემდე;

ბ) ჩამოართვას მას სამსახურში დაწინაურებისა, ჯილდოს და წარჩინების მიღების უფლება;

другие начальники, занимающие соответствующие командные должности в частях, управлениях и учреждениях Милиции, согласно особого положения или распоряжения.

23. Указанные выше начальники имеют власть:

1) старшие милиционеры—делать словесное замечание и предостережение;

2) помощники начальника районной Милиции:

а) делать словесный выговор,

б) не увольнять из казарменного помещения до 3 суток,

в) налагать арест до 3 суток;

3) Начальники районной Милиции и начальник резервной школы:

а) делать выговор (словесный и письменный),

б) не увольнять из казарменного помещения до 5 суток,

в) налагать арест до 5 суток;

4) Помощник Начальника Уездной и Городской Милиции:

а) не увольнять из казарменного помещения до 10 суток,

б) налагать арест до 10 суток;

5) Начальники Уездной и Городской Милиции и Начальники Угрозыска и помощник последнего:

а) не увольнять из казарменного помещения до 14 суток,

б) лишать прав на повышение по службе, а также на получение наград и отличий,

в) смещать на следующую низшую должность;

6) Начальники Милиции Автономной Республики Аджарии, Автономной Области Южной Осетии и Союзной С. С. Республики Абхазии и их помощники: налагать арест до 20 суток;

7) Начальник Под'отдела Милиции Республики и Инспектор Милиции Республики: налагать арест на 20 суток;

8) Начальник Милиции Республики и его помощник—налагать арест до 30 суток.

24. Высшие начальники по наложению взыскания пользуются правами, принадлежащими и низшим начальникам.

გ) ჩამოაყენოს იგი დაბალ თანამდებობაზე.

6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის და აფხაზეთის მოკავშირე ს. ს. რესპუბლიკის მილიციის უფროსს და მის თანაშემწეს:

დააპატიმროს ხელქვეითი 20 დღე და ღამემდე.

7. რესპუბლიკის მილიციის ქვეგანყოფილების უფროსს და რესპუბლიკის მილიციის ინსპექტორს:

დააპატიმროს ხელქვეითი 20 დღე და ღამემდე.

8. რესპუბლიკის მილიციის უფროსს და მის თანაშემწეს:

დააპატიმროს ხელქვეითი 30 დღე და ღამემდე.

24. ზე-მდგომ უფროსს სასჯელის დადების სფეროში აქვს ყველა ის უფლება, რაც აქვს ქვე-მდგომ უფროსს.

25. სადისციპლინო სასჯელის დამდებმა უფროსმა, სასჯელის გვარისა და ზომის გინსაზღვრის დროს, მხედველობაში, უნდა მიიღოს ხელქვეითის დანაშაულის ხასიათი, პირობები, რომელშიაც ჩადენილია იგი, სამსახურის ხანგრძლივობა, დამნაშავის წინანდელი ყოფა-ქცევა, მისი განათლება და საერთო განვითარება და ჯანმრთელობა განსაკუთრებული დანაშაულის ჩადენის დროს.

**შენიშვნა.** უკეთუ მილიციელი სამსახურისაგან თავისუფალ დროს მთვრალი გამოცხადდება სადმე საჯარო ადგილას, იგი სადისციპლინო წესდებისამებრ დაისჯება ან დაპატიმრებით 14 დღე და ღამიდან 30-მდე ან დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენებით; ხოლო სამსახურის ასრულების დროს სიმთვრალისათვის მილიციის თანამშრომელი დაისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 112 მ. გათვალისწინებული სასჯელით.

26. დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენება უნდა მოხდეს წინასწარი გამოკვლევის შემდეგ.

27. ერთი და იმავე მცირე დანაშაულისათვის უფროსს შეუძლიან დაადოს დამნაშავეს მხოლოდ ერთი სასჯელი.

28. უკეთუ უფროსი სცნობს, რომ მისთვის მინიჭებული ხელისუფლება ამა თუ იმ ხელქვეითზე დისციპლინარული სასჯელის დასადებად საკმარისი არ არის, იგი შუამდგომლობას აღძრავს ხელქვეი-

25. Начальник, налагающий взыскание, при определении рода и размера его должен сообразоваться со степенью вины подчиненных, с обстоятельствами, при которых был совершен проступок, продолжительностью его службы, предшествовавшим поведением, со степенью его обученности и общего развития, а также состоянием здоровья, в особенности во время совершения проступка.

*Примечание.* За нахождение в состоянии опьянения в публичном месте, не при исполнении служебных обязанностей, служащие милиции подвергаются в порядке Дисциплинарного Устава или аресту на срок от 14—30 суток, или смещению на низшую должность; за нахождение же в состоянии опьянения при исполнении служебных обязанностей они подлежат ответственности по 112 ст. Уголовного Кодекса.

26. Смещению на следующую низшую должность обязательно должно предшествовать расследование.

27. За один и тот же проступок начальник может налагать на провинившегося только одно взыскание.

28. Если начальник признает предоставленную ему власть по наложению взыскания на того или иного подчиненного недостаточной, то входит с представлением по команде о наложении взыскания, соответственно характера проступка.

29. Начальники высших степеней не имеют власти отменить взысканий, наложенных начальниками низших степеней, но взыскание, наложенное ошибочно, может быть отменено высшим начальником, по жалобе подчиненного или по представлению начальника, наложившего ошибочное взыскание.

30. Лишение провинившегося подчиненного права на повышение по службе, а также на получение наград и отличий—может быть сокращено на срок и даже вовсе отменено в случае отличного поведения подвергшегося взысканию или совершения им подвига.

თობისამებრ იმ სასჯელის დადების შესახებ, რომელიც შეესაბამება მცირე დანაშაულის ხასიათს.

29. უმაღლესი საფეხურის უფროსს უფლება არა აქვს გააუქმოს დაბალი საფეხურის უფროსის მიერ დადებული სასჯელი; ხოლო უკეთუ სასჯელი შეცდომით იქნება დადებული, იგი შეიძლება გაუქმებულ იქნეს უმაღლესი საფეხურის უფროსის მიერ, ხელქვეითის საჩივრით ან იმ უფროსის წარდგენით. რომელმაც შეცდომით დაადო სასჯელი.

30. დამნაშავე ხელქვეითისათვის სამსახურში დაწინაურებისა და ჯილდოს და წარჩინების უფლების ჩამორთმევის ვადა, კარგი ყოფაქცევისა და სამსახურში თავის გამოჩენისათვის, შეიძლება შემცირდეს ანდა სრულიად გაუქმდეს.

ასეთი სასჯელის ვადის შემცირების ან სრულიად პატიების უფლება აქვს ხელქვეითობისამებრ ზე-მდგომ უფროსს იმ უფროსის წარდგენით, რომელმაც სასჯელი დაადო.

31. ყოველი მცირე დანაშაულის ჩადენისა და დამნაშავე ხელქვეითისათვის სასჯელის დადების შესახებ გამოცხადებულ უნდა იქნას ბრძანებაში, გარდა სიტყვიერი შენიშვნისა და საყვედურისა, და შეტანილი სასჯელთა ჟურნალში, სადაც აღინიშნება: დანაშაულის სახე, დადებული სასჯელის გვარი და ზომა, სასჯელის გადაწყვეტისა და მისი აღსრულების დრო.

32. სასჯელი, რაც დამნაშავეს დაედება, მოყვანილ უნდა იქნეს სისრულეში დაუყოვნებლივ, უკეთუ ამისათვის რაიმე დაბრკოლება არ არსებობს.

33. ხანდაზმულობის გასვლის გამო სასჯელი არ დაედება იმ შემთხვევაში:

ა) უკეთუ ხელქვეითი, რომელმაც მცირე დანაშაული ჩაიდინა, ანდა თვით ეს დანაშაული არ იქნება აღმოჩენილი სამი თვის განმავლობაში დღიდან დანაშაულის ჩადენისა;

ბ) უკეთუ დადებული სასჯელი არ იქნება სისრულეში მოყვანილი სამი თვის განმავლობაში დღიდან სასჯელის დადების გამოქვეყნებისა ბრძანებით.

## თ ა ვ ი 6.

## ს ა ჩ ი ვ ა რ ი.

34. მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის თანამშრომელს შეუძლიან განასაჩივროს მის მიმართ უკანონო და

Право сокращения срока этого взыскания или его отмены принадлежит высшему по команде Начальнику по представлению Начальника, наложившего взыскание.

31. О всех совершенных проступках и наложенных на провинившихся подчиненных взысканиях об'является в приказе, за исключением словесных замечаний и выговоров, и заносится в журнал взысканий с обозначением: вида проступка, рода и размера взыскания, времени его наложения и исполнения.

32. Взыскание, назначенное провинившемуся подчиненному, приводится в исполнение немедленно, если не встретится к тому препятствий.

33. Взыскание за давность не применяется:

а) когда совершенный проступок или подчиненный, совершивший его, не были обнаружены в течение 3-х месяцев со дня совершения проступков;

б) когда назначенное подчиненному взыскание за совершенный проступок не было приведено в исполнение в течение 3-х месяцев со дня об'явления о назначении взыскания в приказе.

## Глава VI.

## *О жалобах.*

34. Служащие Рабоче-Крестьянской Красной Милиции могут заявить жалобы на незаконное и несправедливое по отношению к ним действие или распоряжение начальников. Заявлять жалобы за других воспрещается.

35. Не допускаются жалобы на строгость взыскания, если наложивший взыскание начальник не вышел за пределы предоставленной ему законом власти.

36. Жалоба подается непосредственно тому начальнику, которому подчинен начальник, давший повод к жалобе, с одновременным докладом о том по команде.

37. Жалоба может быть принесена не позже пяти дней с того дня, когда служащему Рабоче-Крестьянской Ми-

უსამართლო მოქმედება ან განკარგულება უფროსისა. სხვის მაგივრად საჩივრის განცხადება აკრძალულია.

35. არ შეიძლება აღძრულ იქნეს საჩივარი სასჯელის სიმკაცრეზე, უკეთუ უფროსი, რომელმაც სასჯელი დაადო, არ გადასცილდა მისთვის კანონით მინიჭებულ ხელისუფლების საზღვარს.

36. საჩივარი უნდა შეტანილ იქნეს უშუალოდ იმ უფროსთან, რომელსაც ექვემდებარება ის უფროსი, რომლის მოქმედებაზედაც საჩივარია შეტანილი, და იმავე დროს ეს უნდა მოხსენდეს ხელქვეითობისამებრ.

37. საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს ხუთი დღის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მილიციის თანამშრომელი გაიგებს, რომ მისი უფლება დარღვეულია.

უკეთუ საჩივრის შეტანა ხუთი დღის განმავლობაში შეუძლებელი იქნება ავადმყოფობისა, წარვლინებისა, სასამსახურო განწესებისა ან სხვა მოჩივარისაგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო, საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს სამი დღის ვადაზე დღიდან ასეთი მიზეზის აცილებისა, რამაც დააბრკოლა განცხადების თავის დროზე შეტანა; უკეთუ საჩივარი აღნიშნულ ვადაზე გვიან იქნა შეტანილი, იგი განსახილველად არ მიიღება.

38. აკრძალულია საჩივრის შეტანა სამოსწავლო მეცადინეობისა, სასამსახურო განწესებისა და, საერთოდ, სამსახურის მოვალეობის აღსრულების დროს.

39. საჩივარი შეიძლება განცხადებულ იქნეს სიტყვიერად ან წერილობით.

წერილობითი საჩივარი, უკეთუ ის ხელმოწერილი არ იქნება მოჩივარის მიერ (ანონიმური), განუხილველი დარჩება.

40. ყველა საჩივარი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს ჩაწერილი სამმართველოსა ან კომანდის საჩივართა დავთარში.

41. უფროსი, მიიღებს რა საჩივარს,ვალდებულია არა უგვიანეს მეორე დღისა, შეუდგეს მის განხილვას და გამოარკვიოს ყველა ის გარემოება, რაც საფუძვლად უდევს საჩივარს.

საჩივრის გამოკვლევა, მისი შინაარსისა, გარემოებათა სირთულისა და იმ უფროსის თანამდებობრივი მდგომარეობის მიხედვით, რომელიც საჩივარს მიიღებს, მოხდება ან პირადად უფროსის მიერ ან და, მისი დავალებით, მისი

лиции стало известно о нарушении его права. Если жалоба в указанный пятидневный срок не могла быть принесена вследствие болезни, командировки или служебного наряда или по другим независящим от жалобщика обстоятельствам, то жалоба приносится в течение трех дней по миновании перечисленных обстоятельств, препятствовавших ее своевременному заявлению. Жалоба, заявленная позднее указанных сроков, не принимается к рассмотрению.

38. Запрещается приносить жалобы во время учебных занятий, служебных нарядов и вообще во время исполнения служебных обязанностей.

39. Жалобы могут быть приносимы словесно или письменно. Письменные жалобы, не подписанные жалобщиком (анонимные), оставляются без рассмотрения.

40. Все жалобы немедленно заносятся в имеющуюся в Управлении или команде книгу жалоб.

41. Начальник, получивший жалобу, обязан не позднее следующего дня приступить к ее рассмотрению, расследованию обстоятельств, давших для нее повод. Расследование по жалобе в зависимости от ее содержания, сложности обстоятельств и служебного положения начальника, получившего жалобу, производится или лично им, или по его поручению одним из его подчиненных, при чем не может быть назначаемо для расследования лицо, подчиненное жалобщику, а равно и подчиненное тому начальнику, на которого принесена жалоба.

42. Начальник, получивший жалобу, должен дать по ней решение, кроме случаев, особенно сложных, требующих продолжительного расследования, не позднее трех дней, со дня получения жалобы.

43. Если принесший жалобу не получит в течение двух недель никакого уведомления или решения по жалобе, то он может подать жалобу следующему в порядке подчиненности начальнику.

44. Жалобы, имеющие своей причиной незнание или непонимание

ერთი-ერთი ხელქვეითის მიერ; არ შეიძლება საჩივრის გამოკვლევა მიენდოს ისეთ პირს, რომელიც მოჩივარის ხელქვეითია ან იმ უფროსისა, ვიზედაც საჩივარია შეტანილი.

42. საჩივრის მიმღებმა უფროსმა სამის დღის განმავლობაში დღიდან საჩივრის მიღებისა უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება,—გარდა განსაკუთრებით ოთული შემთხვევისა, რომელიც ხანგრძლივ გამოძიებას მოითხოვს.

43. უკეთუ მოჩივარი ორი კვირის განმავლობაში არ მიიღებს არავითარ პასუხს ან გადაწყვეტილებას თავის საჩივარზე, მას შეუძლიან შეიტანოს საჩივარი შემდეგ უფროსთან ხელქვეითობისამებრ.

44. საჩივარი, რომელიც გამოწვეულია მით, რომ მოჩივარმა არ იცოდა ან არ ესმოდა თავისი უფლება, აგრეთვე მოქმედი კანონები და წესდება ან და უფროსის განკარგულება, უნდა ჩაითვალოს უსაფუძვლოდ; უფროსი, რომელმაც ასეთი საჩივრის შესახებ გადაწყვეტილება გამოიტანა, ვალდებულია განუმარტოს მოჩივარს მისი გაუგებრობა ან შეცდომა.

45. უკეთუ მოჩივარი თავის საჩივარში სიტყვიერად ან წერილობით დაასახელებს ისეთ გარემოებას, რაც, მისი წინასწარი შეცნობით, არ მომხდარა ან აღძრავს ბრალდებას უფროსის ისეთ მოქმედების გამო, რაც, მოჩივარის წინასწარი შეცნობით, უფროსს არ ჩაუდენია, ასეთი საჩივარი ჩაითვლება ტყუილ საჩივრად.

ასეთი საჩივრისათვის დამნაშავე პასუხისგებაში იქნება მიცემული სისხლის სამართლის კოდექსის 182 და 184 მუხ. გათვალისწინებული სასჯელით.

46. უკეთუ უფროსი სცნობს, რომ საჩივარი საფუძვლიანია, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო განკარგულება დარღვეული უფლების აღსადგენად. უკეთუ ასეთი განკარგულების მოხდენა მის კომპეტენტიის ფარგლებს სცილდება, ვალდებულია სთხოვოს საამისო განკარგულება სათანადო ზე-მდგომ უფროსს.

47. უფროსის მიერ დადებული სასჯელის განსაჩივრება არ შეაჩერებს სასჯელის სისრულეში მოყვანას.

48. უკეთუ საჩივრის გამომწვევი გარემოების გამოკვლევით დადასტურდა საჩივრის საფუძვლიანობა, უფროსი, რო-

жалобщиком своих прав, действующих законов или уставов, или распоряжений начальника, об'являются неосновательными, и начальник, постановивший решение по такой жалобе, обязан раз'яснить жалобщику его заблуждение или ошибку.

45. Жалоба, в которой жалобщик словесно или письменно указал на обстоятельства, заведомо для него неимевшие места, или заявил обвинение против начальника в действиях, заведомо для него, жалобщика, в действительности несовершенных, признается ложною.

За такую жалобу виновный подвергается ответственности по ст.ст. 182 и 184 Уголовного Кодекса.

46. Если жалоба признана основательной, то начальник, признавший ее таковой, обязан немедленно сделать соответствующее распоряжение о восстановлении нарушенных прав жалобщика; если же означенное распоряжение выходит из пределов предоставленной ему власти, просить надлежащего о том распоряжения соответствующего высшего начальника.

47. Жалоба на наложенное начальником взыскание не останавливает приведения последнего в исполнение.

48. Если по расследовании обстоятельств, вызвавших жалобу, она окажется основательной, то начальник, на коего подана жалоба, подвергается или дисциплинарному взысканию, или же наказанию по ст. 108 Уголовного Кодекса, если в его действиях не заключается признаков более тяжелого деяния; при наличии же такового начальник подлежит наказанию по соответствующей статье Уголовного Кодекса.

მელზედაც შეტანილია საჩივარი, დაისჯება დისციპლინარული წესით ან და სისხლის სამართლის კოდექსის 108 მუხლში გათვალისწინებული სასჯელით, უკეთუ მისი მოქმედება არ შეიცავს უფრო მძიმე რამ ქმედობის ნიშნებს. ხოლო უკეთუ ამისთანა ნიშნებს შეიცავს, აღნიშნული უფროსი პასუხს აგებს სისხ. სამართლის კოდექსის სათანადო მუხლისამებრ.

---

## 59. დადგენილება № 36

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი**

**ყოფილი „შავიზღვის რკინის გზის საზოგადოების“ ქონების „შავიზღვის რკინისგზის საალმშენებლო სამმართველოსათვის“ გადაცემის შესახებ.**

შავიზღვის რკინისგზის შენების განახლების გამო სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. გადაეცეს შავიზღვის რკინისგზის საალმშენებლო სამმართველოს მთლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ტერიტორიაზე ქონებული ყოფილი შავიზღვის რკინის გზის საალმშენებლო საზოგადოების ქონება, რა გვარი ქონებაც უნდა იყოს (შენობა, ნაგებობა, ინვენტარი, პროექტი, ხარჯთაღრიცხვა, ყოველგვარი მიწერ-მოწერა და სხვ.) და ვის გამგებლობასა და სარგებლობაშიაც უნდა იყოს იგი.

2. დაევალოს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებას და საწარმოს, რომელსაც კი სადგომი უჭირავს შავიზღვის რკინისგზის საალმშენებლო სამმართველოსათვის, ამა დადგენილების 1-ლი მუხ. თანახმად, გადასაცემ შენობაში, გაანთავისუფლოს ეს სადგომი ორი თვის ვადაზე.

3. უფლება მიეცეს შავიზღვის რკინისგზის საალმშენებლო სამმართველოსგამოასახლოს ხოლმე მისთვის, ამა დადგენილების 1-ლი მუხლის თანახმად, გადასაცემ შენობებიდან კერძო პირნი, დაწესებულებანი და საწარმონი ამიერკავ-

## 59. Постановление № 36

**Президиума Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов и Совета Народных Комиссаров С. С. Р. Грузии**

**О передаче имущества бывшего „Общества Черноморской железной дороги“ „Управлению по постройке Черноморской железной дороги“.**

В виду возобновления работ по постройке Черноморской железной дороги, Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет и Совет Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии *постановляют:*

1. Передать Управлению по постройке Черноморской железной дороги все находящиеся на территории С.С.Р. Грузии имущество бывшего Общества по постройке Черноморской железной дороги, в чем бы таковое имущество ни заключалось (здания, сооружения, инвентарь, проекты, сметы, всякого рода переписка и т. п.) и в чьем бы ведении и пользовании оно ни находилось.

2. Обязать государственные, кооперативные и общественные учреждения и предприятия, занимающие помещения в зданиях, передаваемых на основании ст. 1-ой настоящего Постановления Управлению по постройке Черноморской железной дороги, освободить таковые в 2-х месячный срок.

3. Управлению по постройке Черноморской железной дороги предоставить право выселения из зданий, передаваемых ему на основании ст. 1-ой настоящего Постановления, ча-

კასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ. თებერვლის 2-ს დადგენილებაში (ა-კ. ს. ფ. ს. რ. კან. კრებ. 1925 წ. მე-2 №-რი მუხ. 360) გათვალისწინებული წესისამებრ.

4. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა წინადადება უნდა მისცენ მიწათმოწყობის ორგანოებს—გადასცენ უმოკლეს ვადაზე, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. მიწის კოდექსის 103 მუხ. თანახმად, შავიზღვის რკინისგზის საალმშენებლო სამმართველოს ყოფილი შავიზღვის რკინისგზის საალმშენებლო საზოგადოებისათვის გასხვისების წესისამებრ მიზომილი მიწები, აგრეთვე აღნიშნული სამმართველოს განცხადების მიხედვით მოახდინონ ახალი მიზომვა და ჩამორთმევა მიწებისა მიწის კოდექსის 115 მუხ. „ა" და „გ" პუნქტების თანახმად და იმ წესით, რაც გათვალისწინებულია საამისოდ მომქმედ კანონმდებლობაში.

5. ყველა დაწესებულებამ და საწარმომ, რომლის გამგებლობაშიაც ან სარგებლობაში იყო როდისმე ან ამ ჟამად არის ყოფილი შავიზღვის რკინისგზის საზოგადოების ქონება და ინვენტარი, შენობათა გამოკლებით, უნდა გაუგზავნოს, ორი კვირის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, შავიზღვის რკინისგზის საალმშენებლო სამმართველოს ქონებისა და ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტები და აგრეთვე დაწვრილებითი სიები,—ხოლო აქტები შენობების შესახებ გაუგზავნოს მე-2 მუხ. აღნიშნული ორი თვის ვადის გასვლისას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. **მახარაძე**.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. **ელიავა**.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. **თოდრია**.

1925 წ. ივლისის 16.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-176 №-ში 1925 წ. აგვისტოს 4.

стных лиц и учреждений и предприятий в порядке, предусмотренном Постановлением Закавказского Центрального Исполнительного Комитета от 2-го февраля 1925 года (С. У. З.С.Ф.С.Р. за 1925 г. № 2 ст. 360).

Ст. 2. Граждане Союза С.С.Р. подлежат ответственности за совершенные ими вне пределов Союза С.С.Р. преступления по законам С.С.Р. Грузии, если они задержаны, преданы суду или привлечены к следствию на территории С С.Р. Грузии.

Ст. 3. Действие предыдушей статьи распространяется на иностранцев, совершивших преступление вне пределов Союза С.С.Р. в том случае, если эти преступления направлены против государственного строя и военной мощи Союза С.С.Р.

Ст. 4. Вопрос об уголовной ответственности иностранных граждан, пользующихся правом экстерриториальности, подлежит разрешению или в порядке особого договора, или же дипломатическим путем.

### Раздел II.

### *Общие начала.*

Ст. 5. Уголовное законодательство С.С.Р. Грузии имеет своей задачей судебно-правовую защиту государства трудящихся от общественно-опасных деяний, подрывающих власть трудящихся или нарушающих установленный сею правопорядок. Задача эта осуществляется путем применения к правонарушителям мер социальной защиты в порядке, установленном законами С.С.Р. Грузии.

Ст. 6. Общественно-опасным дея-

დამრღვევთათვის სოციალური დაცვის ღონისძიებათა შეფარდებით იმ წესისამებრ, რაც დამყარებულია საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კანონით.

მუხ. 6. საზოგადოებრივად საშიშ ქმედობად (დანაშაულად) ჩაითვლება ყოველი მოქმედება ან უმოქმედობა, რაც საფრთხეს წარმოადგენს საბჭოთა წესწყობილების საფუძვლისა და მართლწესრიგისათვის, რომელიც მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მიერ დამყარებულია კომუნისტურ წესწყობილებაზე გარდამავალი ხანისათვის.

მუხ. 7. პიროვნების საფრთხიანობა აშკარავდება საზოგადოებრივად საშიში საქციელით, რაც წინა მუხლშია აღნიშნული, ან ისეთი მოქმედებით, რომელიც მოასწავებს საშიშროებას საზოგადოებრივი მართლწესრიგისათვის, თუნდაც კონკრეტული, სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლით გათვალისწინებული მოქმედება არც კი იყოს ჩადენილი.

ის წესი და შემთხვევა, როდესაც სასამართლოს უფლება აქვს სოციალური დაცვის ღონისძიება შეუფარდოს ამა თუ იმ პირს, რომელსაც იგი სოციალურად საშიშ პიროვნებად სცნობს, თუნდაც მას სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მოქმედება არ ჩაედინოს, განისაზღვრება კანონით.

მუხ. 8. სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდების მიზანია, რათა: ა) დანაშაულის ჩადენა წინასწარვე აცილებილ იქნას; ბ) საზოგადოებრივად საშიშარ ელემენტებს მოესპოს შესაძლებლობა ახალი დანაშაულის ჩადენისათვის; გ) სამართლის დამრღვევი გამოსწორებულ იქნეს შრომაგასწორების ზეგავლენით და მშრომელთა სახელმწიფოს საერთო ცხოვრების პირობებს შეეგუოს.

მუხ. 9. უკეთუ ესა თუ ის საზოგადოებრივად საშიში ქმედობა სისხლის სამართლის კანონმდებლობით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, პასუხისმგებლობის საფუძველსა და ფარგალს, აგრეთვე სოციალური დაცვის ღონისძიებას სასამართლო განსაზღვრავს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლის მიხედვით, რომლითაც გათვალისწინებულია მნიშვნელობით და გვარით უმეტესად მსგავსი დანაშაული.

მუხ. 10. სოციალური დაცვის ღონისძიებად ითვლება:



нием (преступлением), признается всякое действие или бездействие, угрожающее основам Советского строя и правопорядку, установленному рабоче крестьянской властью на переходный к коммунистическому строю период времени.

Ст. 7. Опасность лица может быть установлена как совершением действия общественно-опасного в смысле предыдущей статьи, так и деятельностью, свидетельствующей об угрозе общественному правопорядку, хотя бы конкретные, предусмотренные соответствующими статьями Уголовного Кодекса действия данным лицом и не были совершены.

Порядок и случаи, в коих суд вправе применить к отдельным лицам, признанным им общественно опасными, меры социальной защиты, если этими лицами не совершены действия, предусмотренные Уголовным Кодексом, определяются законом.

Ст. 8. Меры социальной защиты применяются с целью: а) предупреждения преступлений, б) лишения общественно-опасных элементов возможности совершить новые преступления и в) исправления правонарушителей путем исправительно-трудового воздействия и приспособления их к условиям общежития в государстве трудящихся.

Ст. 9. Если общественно-опасные деяния прямо не предусмотрены уголовным законодательством, то основания и пределы ответственности, а также мера социальной защиты определяются судом применительно к тем статьям Уголовного Кодекса, которые предусматривают наиболее сходные по возможности и роду преступления.

Ст. 10. Меры социальной защиты разделяются на: а) меры судебно-исправительного характера, б) меры медицинского характера и в) меры медико-педагогического характера.

Ст. 11. Меры социальной защиты судебно-исправительного характера применяются лишь в отношении лиц, которые: а) действуя умышленно, предвидели общественно-опасный характер последствий своих действий, желали этих последствий или созна-

ა) სასამართლო-გამასწორებელი ხასიათის ღონისძიება;

ბ) სამკურნალო ხასიათის ღონისძიება და

გ) სამკურნალო-საპედაგოგიო ხასიათის ღონისძიება.

მუხ. 11. სოციალური დაცვის ღონისძიება სასამართლო-გამასწორებელი ხასიათისა შეეფარდება მხოლოდ იმას, ვინც: ა) მოქმედობდა განზრახ, ითვალისწინებდა თავისი მოქმედების შედეგის საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს, სურდა ეს შედეგი ან შეგნებულად მიანება—მოქმედებას თავისი შედეგი მოჰყოლოდა, ან ბ) მოქმედობდა გაუფრთხილებლობით—არ ითვალისწინებდა თავის მოქმედების შედეგს, თუმცა კი უნდა გაეთვალისწინებინა იგი, ან მოუფიქრებლად იმე ოვნებდა ასეთი შედეგის აცდენას.

მუხ. 12. სამკურნალო ხასიათის ღონისძიება შეეფარდება იმას, ვინც დანაშაულს ჩაიდენს ქრონიკული სულით ავადმყოფობისა ან დროებითი სულიერი შერყევის დროს, ან ისეთ ავადმყოფურ მდგომარეობაში, როდესაც არ შეეძლო თავისი მოქმედებისათვის ანგარიში გაეწია, ან ვერ განაგებდა თავის მოქმედებას, აგრეთვე იმას, ვინც, თუმცა მოქმედობდა სულიერი წონასწორობის დროს, მაგრამ განაჩენის გამოტანის დროისათვის-კი სულით ავად გახდა.

> შენიშვნა. ამ მუხლის მოქმედება არ გავრცელდება იმაზე, ვინც დანაშაულის ჩასადენად განზრახ დაითვრება.

მუხ. 13. სოციალური დაცვის ღონისძიება სამკურნალო-საპედაგოგიო ხასიათისა აუცილებლად უნდა შეეფარდოს მცირეწლოვანს 13 წლამდე და აგრეთვე იმ არასრულწლოვანს 13-დან 16 წლამდე, რომლის შესახებაც არასრულწლოვანთა საქმეების კომისია შესაძლებლად მიიჩნევს დასჯერდეს სოციალური დაცვის სამკურნალო-საპედაგოგიო ღონისძიებას სამართალში მიუცემლად.

უკეთუ საქმე არასრულწლოვანისა 13-დან 16 წლამდე გაირჩევა სასამართლოში, სოციალური დაცვის ღონისძიება სასამართლო-გამასწორებელი ხასიათისა, რასაც სასამართლო გადაუწყვეტს, აუცილებლად ნახევრად უნდა იქნეს შემცირებული.

სოციალური დაცვის ღონისძიება სასამართლო-გამასწორებელი ხასიათისა,

тельно допускали их наступление или б) действуя неосторожно, не предвидели последствий своих действий, хотя и должны были предвидеть, или легкомысленно надеялись предотвратить таковые последствия.

Ст. 12. Меры медицинского характера подлежат применению в отношении лиц, совершивших преступления в состоянии хронической душевной болезни, или временного расстройства душевной деятельности, или в таком болезненном состоянии, когда они не могли давать себе отчета в своих действиях или руководить ими, а равно в отношении тех, которые, хотя и действовали в состоянии душевного равновесия, но к моменту вынесения приговора заболели душевной болезнью.

> *Примечание.* Действие настоящей статьи не распространяется на лиц, которые привели себя в состояние опьянения для совершения преступления.

Ст. 13. Меры социальной защиты медико-педагогического характера подлежат обязательному применению к малолетним до 13-ти лет, а также к тем из несовершеннолетних от 13 до 16-ти лет, в отношении которых Комиссия по делам о несовершеннолетних найдет возможным ограничиться мерами медико-педагогического характера, не предавая их суду.

В случае рассмотрения дел о несовершеннолетних от 13—16 лет в суде, налагаемые на них судом меры судебно-исправительного характера подлежат обязательному смягчению на половину.

Для несовершеннолетних от 16—18-ти лет налагаемые судом меры социальной защиты судебно-исправительного характера подлежат обязательному смягчению на одну треть.

Ст. 14. Меры социальной защиты не применяются вовсе к лицам, совершившим действия, предусмотренные уголовными законами, если судом будет признано, что эти действия совершены лишь в состоянии необходимой обороны против посягательств на Советскую власть и революционный порядок, либо на лич-

რასაც სასამართლო გადაუწყვეტს არასრულწლოვანს 16-დან 18 წლამდე, აუცილებლად ერთი მესამედით უნდა იქნეს შემცირებული.

მუხ. 14. სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მოქმედების ჩამდენს სოციალური დაცვის ღონისძიება სრულიად არ შეეფარდება, უკეთუ სასამართლო სცნობს, რომ მოქმედება ესე ჩადენილია მირ ,როდენ აუცილებელი თავდაცვისათვის ისეთი ხელყოფისაგან, რომელიც მიმართულ იყო საბჭოთა ხელისუფლებისა და რევოლუციონური წესრიგის ან თვით მომგერებლისა თუ სხვა ვისიმე პიროვნების და უფლების წინააღმდეგ, თუ ამასთანავე აუცილებელი თავდაცვის საზღვარი გადაცილებული არ იქნა.

მუხ. 14¹. სოციალური დაცვის ღონისძიება არ უნდა იქნეს შეფარდებული უკეთუ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მოქმედება ჩადენილ იქნება აუცილებლობის გამო, ე. ი. ისეთი განსაცდელის თავიდან ასაცილებლად, რომლის სხვა ღონისძიებით აცილება შექმნილ პირობებში შეუძლებელი იყო, და ამ გზით მიყენებული ვნება აცდენილ ვნებაზე ნაკლებია.

მუხ. 15. დანაშაული გაქარწყლდება და სისხლის სამართლით დევნა არ შეიძლება აღძრულ იქნას:

ა) როდესაც იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კანონით სოციალური დაცვის ღონისძიებად დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით არა ნაკლებ ხუთი წლისა, გაივლის ათი წელიწადი;

ბ) როდესაც იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისათვის დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით არა ნაკლებ ერთი წლისა, გაივლის ხუთი წელიწადი;

გ) ყველა სხვა დანაშაულისათვის, როდესაც დანაშაულის ჩადენიდან გაივლის სამი წელიწადი.

ხანდაზმულობა შეფარდებულ უნდა იქნეს:

ა) უკეთუ ჩადენილი დანაშაულის შესახებ მთლად ამ ხნის განმავლობაში არავითარი საქმე და გამოძიება არ წარმოებულა, და ბ) უკეთუ თანაც ხანდაზმულობით დაფარული დანაშაულის ჩამდენს ამ მუხლში აღნიშნული ვადის განმავლობაში არ ჩაუდენია სხვა რაიმე,

ность и права обороняющегося или другого лица, если при этом не было допущено превышения, пределов необходимой обороны.

Ст. 14¹. Меры социальной защиты не применяются, когда действия, предусмотренные Уголовным Кодексом, совершены в состоянии необходимости, т. д. для отвращения опасности, которая была неотвратима при данных обстоятельствах другими средствами и если причиненный при этом вред является менее важным по сравнению с предупрежденным вредом.

Ст. 15. Совершенное преступление погашается вовсе и уголовное преследование не может быть возбуждено если:

а) со времени совершения преступления, за которое уголовными законами в качестве меры социальной защиты определено лишение свободы на срок не ниже 5 лет, прошло 10 лет;

б) когда со времени совершения преступления, за которое определено лишение свободы не ниже одного года, прошло 5 лет;

в) по всем остальным преступлениям, когда со времени совершения преступления прошло три года.

Давность применяется: а) если за все это время не было никакого производства или следствия по данному делу и б) если при том совершивший преступление, покрываемое давностью, не совершил за указанный в настоящей статье срок какого-либо другого, однородного или не менее тяжкого преступления.

Обвинительный приговор не приводится вовсе в исполнение, если он не был приведен в исполнение в течение 10 лет со дня вынесения приговора.

Ст. 16. В отношении преступлений, совершение коих, согласно Уголовного Кодекса, влечет за собой применение в качестве меры социальной защиты высшую меру (расстрел), давность не применяется, но в случаях, если со времени совершения преступления прошло 10 лет, эта мера подлежит обязательной замене по выбору суда изгнанием за преде-

იმავე გვარის ან არა ნაკლებ მძიმე დანაშაული.

გამამტყუნებელი განაჩენი სისრულეში სულაც არ მოიყვანება, უკეთუ იგი აღსრულებულ არ იქნა ათი წლის განმავლობაში მისი გამოტანის დღიდან.

მუხ. 16. ხანდაზმულობა არ შეეფარდება იმ დანაშაულს, რომლისათვისაც სისხლის სამართლის კოდექსით დაწესებულია სოციალური დაცვის უმაღლესი ღონისძიება (დახვრეტა), ხოლო უკეთუ დანაშაულის ჩადენიდან გაივლის ათი წელიწადი, ეს ღონისძიება აუცილებლად უნდა შეიცვალოს, სასამართლოს შეხედულებისამებრ, საბჭ. სოც. რესპ. კავშირის საზღვრებიდან გაძევებად ან თავისუფლების აღკვეთად არა ნაკლებ ხუთი წლისა სასტიკი იზოლაციით.

მუხ. 17. ხანდაზმულობის შეფარდება კონტრ-რევოლუციონური ხასიათის დანაშაულისათვის, აგრეთვე იმ პირთათვის, ვინც პასუხისგებაში მიცემულ იქნება მუშათა კლასისა და რევოლუციონური მოძრაობის საწინააღმდეგო აქტიური მოქმედებისა და ბრძოლისათვის, რაც სამეფო წესწყობილების დროს გამოუჩენია პასუხ აგებ ან განსაკუთრებით საიდუმლო თანამდებობაზე (მუხ. 67),—დამოკიდებულია სასამართლოზე თვითეულ შემთხვევაში ცალკე.

მუხ. 18. სოციალური დაცვის ღონისძიება უნდა შეეფარდოს დანაშაულის ყველა თანამონაწილეს: წამქეზებელს, ამსრულებელს და დამხმარეს.

წამქეზებლად ჩაითვლება ის, ვინც დანაშაულის ჩასადენად სხვას დაიყოლიებს.

ამსრულებლად ჩაითვლება ის, ვინც უშუალო მონაწილეობას მიიღებს დანაშაულებრივი მოქმედების შესრულებაში, რაშიაც უნდა გამოიხატოს ეს მონაწილეობა.

დამხმარეთ ჩაითვლება ის, ვინც დანაშაულის ჩადენას ხელს შეუწყობს ჩვენებით, დაბრკოლების აცილებით, დანაშაულის კვალის ან დამნაშავის დაფარვით და სხვა მოქმედებით.

სოციალური დაცვის ღონისძიება თვითეულ ამ თანამონაწილეთაგანს შეეფარდება იმისდა მიხედვით, თუ რაოდენ საფრთხეს წარმოადგენს იგი, აგრეთვე თუ რა მონაწილეობა მიუღია მას დანაშაულში.

ჩადენილი ან განამზადი დანაშაულის განუცხადებლობას სოციალური დაცვის ღონისძიება შეეფარდება მხოლოდ სის-

лы Союза ССР или лишением свободы со строгой изоляцией на срок не ниже 5 лет.

Ст. 17. В отношении преступлений контрреволюционного характера, в частности отношении лиц, привлеченных к ответственности за активные действия и активную борьбу против рабочего класса и революционного движения, проявленные на ответственной или особо секретной должности при царском строе (ст. 67), применение давности в каждом отдельном случае предоставляется усмотрению суда.

Ст. 18. Меры социальной защиты подлежат применению в отношении всех соучастников: подстрекателей, исполнителей и пособников.

Подстрекателями считаются лица, склонившие к совершению преступления.

Исполнителями считаются те, которые принимают непосредственное участие в выполнении преступного действия, в чем бы это участие не выразилось.

Пособниками считаются те, кто содействует выполнению преступления указаниями, устранением препятствий, сокрытием преступника или следов преступления и иными действиями.

Меры социальной защиты применяются к каждому из этих соучастников как в зависимости от их социальной опасности, так и степени их участия в преступлении.

Недонесение о совершенном или готовящемся совершиться преступлении влечет за собой применение меры социальной защиты лишь в случаях, специально указанных в Уголовном Кодексе.

Ст. 18[1]. В случаях, если суд признает недоказанным обвинение отдельных лиц в совершении преступлений, за которые они были привлечены, но признает их тем не менее общественно опасными (ст. 7), суд вправе применить к ним соответствующие меры социальной защиты, с тем, однако, ограничением, что таковыми мерами могут быть лишь перечисленные в п.п. „д“. „ж“, „з“, „и“, „н“ ст. 21.

ხლის სამართლის კოდექსით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მუხ. 18¹. უკეთუ სასამართლო სცნობს, რომ დამტკიცებული არ არის ის ბრალდება, რომლისთვისაც ესა თუ ის პირი პასუხისგებაში იყო მიცემული, ხოლო ამასთანავე სცნობს, რომ ეს პიროვნება საზოგადოებრივ საშიშ პიროვნებას წარმოადგენს (მუხ. 7), სასამართლოს უფლება აქვს შეუფარდოს მას სოციალური დაცვის ღონისძიება, მაგრამ მხოლოდ ის, რაც გათვალისწინებულია 21 მუხ. «ე», «ზ», «თ», «ი» და «ნ» პუნქტში.

მუხ 19. უკეთუ დაწყებული დანაშაული დამთავრებულ არ იქნა, ე. ი. ქმედობას, რაიმე მიზეზის გამო, დანაშაულებრივი შედეგი არ მოჰყვა, სასამართლომ სოციალური დაცვის იმ ღონისძიების ასარჩევად, რაც ამ დანაშაულისათვის დაწესებულია სისხლის სამართლის კანონით, მხედველობაში უნდა მიიღოს, თუ რამდენ საფრთხეს წარმოადგენს დანაშაულის ჩამდენი და რამდენად განხორციელებულ იქნა დანაშაულებრივი განხრახვა.

მუხ. 20. დაუმთავრებელი დანაშაულისათვის დამხმარებლობა და განსამზადებელი მოქმედება დევნილ არ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ დანაშაული დამთავრებულ არ იქნა მქმედის საკუთარი ნებისყოფით, ან უკეთუ აშკარაა, რომ შესრულებული მოქმედება, მისი უმნიშვნელობის გამო, საზოგადოებრივ საფრთხეს არ წარმოადგენ, სასამართლოს ამ შემთხვევაში შეუძლიან მოიქცეს მხოლოდ 16¹ მუხლისამებრ.

## კ ა რ ი III.

### სოციალური დაცვის ღონისძიებანი.

მუხ. 21. სოციალური დაცვის ღონისძიება სასამართლო-გამასწორებელი ხასიათისა არის:

ა) დამნაშავის მშრომელთა მტრად გამოცხადება, თანაც საბჭ. სოც. რესპ. კავშირის მოქალაქეობის უფლების ჩამორთმევა და აუცილებლად საბჭ. სოც. რესპ. კავშირის ფარგლებიდან გაძევება სამუდამოდ;

ბ) თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლაციით;

გ) თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლაციის შეუფარდებლად;

დ) იძულებითი მუშაობა თავისუფლების აღუკვეთელად;



Ст. 19. Если начатое преступление не было доведено до конца, т. е. если преступный результат по какимлибо причинам не наступил, то суд при выборе мер социальной защиты, назначенных уголовным законом на данный вид преступления, руководствуется степенью опасности лица, совершившего преступление, и степенью осуществления преступного намерения.

Ст 20. Пособничество и подготовительные по незаконченным преступлениям действия не преследуются лишь в случаях, если преступление не было доведено до конца в силу добровольного отказа самого покушавшегося совершить преступление, либо если совершенные действия по своей незначительности явно не носили общественно-опасного характера. В этих случаях суд вправе действовать лишь в порядке ст. 18¹.

## Раздел III.

### *Меры социальной защиты.*

Ст. 21. Мерами социальной защиты судебно исправительного характера являются:

а) об'явление врагом трудящихся с лишением гражданства Союза С.С.Р. и обязательным изгнанием из пределов Союза С.С.Р. навсегда;

б) лишение свободы со строгой изоляцией;

в) лишение свободы без строгой изоляции;

г) принудительные работы без лишения свободы;

д) поражение прав;

е) удаление из пределов Союза С.С.Р. на срок;

ж) удаление из пределов С.С.Р.Г. или из пределов отдельной ее местности с обязательным поселением в иных местностях или без такового, или с запрещением проживания в отдельных местностях или без такового;

з) запрещение занятия той или другой должности или занятия той или другой деятельностью или промыслом;

и) увольнение от должности;

к) общественное порицание;

ე) უფლების აყრა;

ვ) საბჭ. სოც. რესპ. კავშირის ფარგლებიდან განდევნა ვადით;

ზ) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებიდან ან განსაზღვრულ ადგილიდან განდევნა ამა თუ იმ ადგილას დასახლებით ან უამისოდ, ამა თუ იმ ადგილას ცხოვრების აკრძალვით ან უამისოდ;

თ) ამა თუ იმ თანამდებობის დაჭერის აკრძალვა, ან ამა თუ იმ საქმესა ან ხელობაში მუშაობის აკრძალვა;

ი) თანამდებობიდან დათხოვნა;

კ) საზოგადოებრივი გაკიცხვა;

ლ) ქონების კონფისკაცია მთლად ან ნაწილობრივ;

მ) ფულადი ჯარიმა;

ნ) გაფრთხილება.

მუხ. 22. ისეთ უუმძიმეს დანაშაულთა წინაალ დევ საბრძოლველად, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებისა და წესწყობილების საფუძველთათვის საფრთხეს წარმოადგენს და რომლისთვისაც ამა კოდექსის მუხლით დაწესებულია სოციალური დაცვის უმაღლესი ღონისძიება, დროებით შეფარდებულ უნდა იქნეს დახვრეტა, ვიდრე ამას სრულიად არ გააუქმებს საბჭ. სოც. რესპ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

მუხ. 23. დახვრეტა არ შეიძლება შეეფარდოს იმას, ვისაც 18 წელიწადი არ შესრულებია, აგრეთვე ორსულ ქალს.

მუხ. 24. სოციალური დაცვის ღონისძიება: უფლების აყრა (მუხ. 31), საბჭ. სოც. რესპ. კავშირის ფარგლებიდან განდევნა ვადით, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებიდან ან განსაზღვრულ ადგილიდან განდევნა ამა თუ იმ ადგილას დასახლებით ან უამისოდ, ამა თუ იმ ადგილას ცხოვრების აკრძალვით ან უამისოდ, თანამდებობიდან დათხოვნა, ამა თუ იმ თანამდებობის დაჭერის ან ამა თუ იმ საქმესა თუ ხელობაში მუშაობის აკრძალვა, საზოგადოებრივი გაკიცხვა, ქონების კონფისკაცია, ფულადი ჯარიმა და გაფრთხილება (მუხ. 21, პუნქტ. „ე", „ვ", „ზ", „თ", „ი", „კ", „ლ", „მ", „ნ") სასამართლოს შეუძლიან მიიღოს ან როგორც დამოუკიდებელი ღონისძიება, ან როგორც დამატებითი ღონისძიება.

მუხ. 25. სოციალური დაცვის ღონისძიება სამკურნალო ხასიათისა არის:

ა) იძულებითი წამლობა;

л) конфискация имущества, полная или частичная;

м) денежный штраф;

н) предостережение.

Ст. 22. Для борьбы с наиболее тяжкими видами преступлений, угрожающими основам Советской власти и Советского строя, временно, впредь до полной отмены ее Центральным Исполнительным Комитетом Союза С.С.Р., в случаях, когда статьями настоящего Кодекса указана, в качестве меры социальной защиты—высшая мера, в качестве таковой применяется расстрел.

Ст. 23. Расстрел не может применяться к не достигшим 18 летнего возраста и к женщинам, находящимся в состоянии беременности.

Ст. 24. Меры социальной защиты: поражение прав (ст. 31), удаление из пределов Союза С.С.Р. на срок; удаление из пределов С.С.Р. Грузии или из пределов отдельных местностей, с поселением в тех или иных местностях или без такового, с запрещением проживания в тех или иных местностях или без такового, увольнение с должности, запрещение занятия той или иной должности или занятия той или деятельностью или промыслом, общественное порицание, конфискация имущества, денежный штраф и предостережение (п.п. „д", „е", „ж", „з", „и", „к", „л", „м", „н" ст. 21) могут быть применены судом как в качестве самостоятельных, так и в качестве дополнительных мер социальной защиты.

Ст. 25. Мерами социальной защиты медицинского характера являются:

а) принудительное лечение;

б) помещение в медико-изоляционное учреждение.

Ст. 26. Мерами медико-педагогического характера являются:

а) отдача несовершеннолетних на попечение родителей, родственников или иных лиц, учреждений и организаций;

б) помещение в специальные заведения.

Ст. 27. Об'явление врагом трудящихся и изгнание из пределов Со.

ბ) სამკურნალო-საიზოლაციო დაწესებულებაში მოთავსება.

მუხ. 26. სამკურნალო საპედაგოგიო ხასიათის ღონისძიებად ჩაითვლება:

ა) არასრულწლოვანის მიცემა მშობლისა, ნათესავისა ან სხვა პირისა, დაწესებულებისა და ორგანიზაციის მზრუნველობად;

ბ) სპეციალურ დაწესებულებაში მოთავსება.

მუხ. 27. დამნაშავის მშრომელთა მტრად გამოცხადება, საბჭ. სოც. რესპ კავშირის ფარგლებიდან სამუდამოდ გაძევებით და საბჭ. სოც. რესპ. კავშირის მოქალაქეობის უფლების ჩამორთმევით, შეიძლება შეეფარდოს, როგორც სოციალური დაცვის ღონისძიება, მხოლოდ იმას, ვისაც მსჯავრი დაედება ისეთი დანაშაულის გამო, რაც საფრთხეს წარმოადგენს საბჭოთა წესწყობილების საფუძველთათვის. უკეთუ სასამართლოს განაჩენით საბჭ. სოც. რეს. კავშირის ფარგლებიდან გაძევებული პირი თავისი ნებით დაბრუნდა, აგრეთვე უკეთუ ფაქტიურად შეუძლებელ იქნება ისეთი განაჩენის ასრულება, რომლითაც გაძევებაა გადაწყვეტილი, სასამართლომ უნდა მიიღოს სოციალური დაცვის სხვა რამ ღონისძიება, რაც ნაკლები არ უნდა იყოს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთაზე სასტიკი იზოლაციით.

მუხ. 28. თავისუფლების აღკვეთა დაწესებულია ვადით ათი დღიდან და არა უმეტეს ათი წლისა და მოხდილ უნდა იქნეს თავისუფლების აღკვეთის ადგილას (შრომა-გასწორების სახლი, შრომისა, სასოფლო-სამეურნეო, ადგილობრივი ახალშენი, გასწორების გარდამავალი სახლი და სხვ.), იმ გამასწორებელი ზეგავლენის მიხედვით, რაც საჭირო იქნება დამნაშავის გამოსწორებისათვის.

სასამართლოს განაჩენში აღნიშნულ უნდა იქნეს, რა ვადით გადაეწყვეტა მსჯავრდადებულს თავისუფლების აღკვეთა და საჭიროა თუ არა სასტიკი იზოლაცია.

თავისუფლების აღკვეთას აუცილებლად თან სდევს მუშაობა, რომელიც, რამდენადაც შესაძლებელია, უნდა შეეფერებოდეს პატიმარის სპეციალურ ცოდნას ან მიდრეკილებას.

> **შენიშვნა.** იმ პირის შენახვის წესი, რომელსაც სასტიკი იზოლაცია გადაეწყვიტა, განსაზღვრულია შრომა-გასწორების კოდექსში.

юза ССР с лишением гражданства Союза ССР навсегда применяются в качестве мер социальной защиты лишь в отношении лиц, осужденных за преступления, угрожающие основам Советского строя. В случае самовольного возвращения лица, изгнанного по судебному приговору из пределов Союза ССР, а равно в случае невозможности фактически привести в исполнение приговор об изгнании, суд применяет к нему меру социальной защиты не ниже лишения свободы со строгой изоляцией на пять лет.

Ст. 28. Лишение свободы устанавливается на срок от 10 дней и не свыше 10-ти лет и отбывается в местах лишения свободы (исправительно-трудовых домах, трудовых, сельско-хозяйственных, местных колониях, переходных исправительных домах и т. д.), в зависимости от тех мер исправительного воздействия, которые будут признаны необходимыми для исправления преступника.

В приговоре суда должно быть указано, на какой срок осужденный приговаривается к лишению свободы и требуется-ли строгая изоляция.

Лишение свободы обязательно соединяется с работой, которая, по возможности, должна сообразоваться со специальными знаниями или наклонностями заключенных.

> *Примечание.* Порядок содержания приговоренных к строгой изоляции определяется Исправительно-Трудовым Кодексом.

Ст. 29. Время предварительного заключения, а также время, проведенное в заключении с момента об'явления приговора до вступления его в законную силу, обязательно зачитывается в срок лишения свободы, определенный судом.

При применении мер социальной защиты, указанных в пунктах: „г", „е", „ж", „к", „л" (ст. 21), Суд вправе принять во внимание предварительное до суда лишение свободы и соответственно понизить избранную меру социальной защиты, или же постановить о неприменении последней.

В отношении присужденных к при-

მუხ. 29. წინასწარი პატიმრობის დრო, აგრეთვე ის დრო, რაც მსჯავრდადებულმა პატიმრობაში დაჰყო განაჩენის გამოტანიდან კანონიერ ძალაში შესვლამდე, აუცილებლად უნდა ჩაითვალოს სასამართლოს განაჩენით გადაწყვეტილ თავისუფლების აღკვეთის ვადაში.

უკეთუ შეფარდებულ იქნება 21 მუხლის „დ", „ვ", „ზ", „კ", და „ლ" პუნქტში აღნიშნული ღონისძიება, სასამართლოს უფლება აქვს მხედველობაში მიიღოს ის გარემოება, რომ მსჯავრდადებულს თავისუფლება აღკვეთილი ჰქონდა გასამართლებამდე და სათანადოდ შეამციროს არჩეული სოციალური დაცვის ღონისძიება, ან დაადგინოს, ეს ღონისძიება არ იქნეს შეფარდებული.

იმას, ვისაც იძულებითი მუშაობა გადაეწყვიტა, თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე ჩაეთვლება იძულებითი მუშაობის სამ დღედ.

მუხ. 30. იძულებითი მუშაობა თავისუფლების აღუკვეთელად გადაწყვეტილ უნდა იქნეს ვადით არა უმეტეს ერთის წლისა; იძულებითი მუშაობის მოხდის წესი განისაზღვრება შრომა-გასწორების კოდექსით. სამხედრო პირი იძულებითი მუშაობის მოსახდელად გაიგზავნება სამხედრო საშტრაფო ერთეულში.

შენიშვნა 1. უკეთუ ბრალდებული მოკლებულია შრომის უნარს და ეს გარემოება გამოირკვა განაჩენის გამოტანამდე, ან უკეთუ იძულებითი მუშაობა ადგილობრივ არ არის მოწყობილი, და უკეთუ ამასთანავე, სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლში, იძულებითი მუშაობის გარდა სოციალური დაცვის სხვა რამ ღონისძიება არ არის გათვალისწინებული, სასამართლომ უნდა შესცვალოს იძულებითი მუშაობა თავისუფლების აღკვეთად იმ ანგარიშით, რომ იძულებითი მუშაობის სამი დღისათვის დაიდოს თავისუფლების აღკვეთა ერთის დღით, ან ჯარიმად ისე, რომ იძულებითი მუშაობის ერთ თვეზე მოდიოდეს 100 მანეთი ჯარიმა.

**შენიშვნა 2.** უკეთუ საპატიმრო ადგილების სამმართველოს სათანადო ორგანო ითხოვს, როგორც სადისციპლინო ზეგავლენის ღონისძიებას, იძულებითი მუშაობის სოციალური დაცვის სხვა ღონის-

нудительным работам зачет производится из расчета трех дней принудительных работ за один день лишения свободы.

Ст. 30. Принудительные работы без лишения свободы назначаются на срок не свыше 1-го года и отбываются в порядке, предусмотренном правилами Исправительно-Трудового Кодекса. В отношении военно-служащих принудительные работы назначаются в виде содержания в штрафных воинских частях.

*Примечание 1.* Если обвиняемый лишен трудоспособности и это обнаружено до вынесения приговора или если на местах принудительные работы не организованы и если при этом соответствующая статья Уголовного Кодекса не предусматривает другой, кроме принудительных работ, меры социальной защиты, Суд обязан заменить принудительные работы лишением свободы из расчета трех дней принудительных работ за один день лишения свободы, или денежным штрафом, из расчета один месяц работы за 100 рублей штрафа.

*Примечание 2.* В случае представления подлежащими органами управления местами заключения о замене в качестве меры дисциплинарного воздействия принудительных работ другими мерами социальной защиты (Исправительно-Трудовой Кодекс) суд заменяет принудительные работы лишением свободы из расчета 1 день лишения свободы за 3 дня принудительных работ.

Ст. 31. Поражение прав заключается в лишении:

а) активного и пассивного избирательного права в Советы и С езды Советов;

б) права быть членом общественных и профессиональных организаций;

в) права занимать те или иные государственные должности, испол-

ძიებად შეცვლას (შრომა-გასწორების კოდექსი), სასამართლო შესცვლის იძულებით მუშაობას თავისუფლების აღკვეთად იმ ანგარიშით, რომ იძულებითი მუშაობის სამ დღეზე მოდიოდეს თავისუფლების აღკვეთა ერთის დღით.

მუხ. 31. უფლების აყრა არის ჩამორთმევა:

ა) აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებისა საბჭოებში და საბჭოთა ყრილობებში არჩევისათვის;

ბ) საზოგადოებრივი და პროფესიონალური ორგანიზაციის წევრობის უფლებისა;

გ) ამა თუ იმ სახელმწიფო თანამდებობის დაჭერისა, საზოგადოებრივი მოვალეობის ასრულებისა და საპატიო წოდების უფლებისა;

დ) მშობლიური უფლების განხორციელების შესაძლებლობისა.

უფლების აყრა შეიძლება ვადით არა უმეტეს ხუთი წლისა ყველა ზემოაღნიშნული კატეგორიისათვის ან თვითეული კატეგორიისათვის ცალ-ცალკე, როდესაც უფლების აყრა დაერთვის თავისუფლების აღკვეთას, როგორც სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიება. იგი გასტანს მთლად პატიმრობის დროს და, ამას გარდა, სასამართლოს განაჩენით გადაწყვეტილ ვადას.

მუხ. $31^{1}$. მშობლიურ უფლებას მსჯავრდადებულს სასამართლო ჩამოართმევს მაშინ, უკეთუ დამტკიცდება, რომ იგი ბოროტად იყენებს ამ უფლებას. ერთი წლის გასვლამდე მსჯავრდადებულს არ შეუძლიან ითხოვოს მშობლიური უფლების აღდგენა.

მუხ. 32. უკეთუ უფლება-აყრილ პირს აქვს რაიმე წარჩინების ნიშანი, რაც მას მიეცა საბჭ. სოც. რესპ. კავშირის ან სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, სასამართლომ უნდა სთხოვოს სათანადო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს აქ წარჩინების ნიშნის ჩამორთმევა.

წარჩინების სხვა ნიშნები ჩამოირთმევა სასამართლოს დადგენილებით.

მუხ. 33. უფლების აყრის საკითხი სასამართლომ უნდა დასვას ყოველთვის, როდესაც სოციალური დაცვის ღონისძიებად გადასწყვეტს თავისუფლების აღკვეთას ერთ წელზე მეტი ვადით ან სხვა, უფრო მძიმე ღონისძიებას.

нять общественные обязанности и носить почетное звание;

г) осуществлять родительские права.

Поражение прав назначается на срок не свыше 5 лет или по всем вышеуказанным пунктам или же по отдельным категориям. В случаях, когда поражение прав присоединяется в качестве дополнительной меры социальной защиты при одновременном назначении лишения свободы, таковое распространяется на все время отбытия заключения и сверх того на срок, определенный судом.

Ст. $31^{1}$. Лишение родительских прав определяется судом при установлении злоупотребления родительским правом со стороны осужденного; ходатайство о восстановлении родительских прав не может быть возбуждено осужденными до истечения одного года.

Ст. 32. Если пораженный в правах имеет какие либо знаки отличия, коими он награжден Постановлением ЦИК'а Союза или ЦИК'а ССРГ, суд обязан войти с ходатайством в соответствующий ЦИК о лишении осужденного этих знаков отличия.

Лишение прочих знаков отличия производится постановлением суда.

Ст. 33. Вопрос о поражении прав обязателен к постановке судом во всех случаях, когда судом определено в качестве меры социальной защиты лишение свободы на срок более одного года или другая более тяжкая мера социальной защиты.

Ст. 34. Удаление из пределов Союза ССР (п. „е", ст. 21) или из пределов ССРГ или из пределов отдельной ее местности с обязательным поселением в иных местностях или без такового, или с запрещением проживания в отдельных местностях или без такового (п. „ж" ст. 21) может применяться судом в отношении лиц, признанных по своей преступной деятельности или по связи с преступной средой в данной местности социально опасными и в том случае, когда они, будучи привлечены по обвинению в совершении определенного преступления, будут судом оправданы (ст. 7).

მუხ. 34. საბჭ. სოც. რესპ. კავშირის ფარგლებიდან განდევნა (მუხ. 21, პ. „ვ") ან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებიდან ან განსაზღვრულ ადგილიდან განდევნა ამა თუ იმ ადგილას დასახლებით ან უამისოდ, ამა თუ იმ ადგილას ცხოვრების აკრძალვით ან უამისოდ (მუხ. 21, პ. „ზ"), სასამართლოს შეუძლიან გადაუწყვიტოს იმას, ვისაც იგი სოციალურად საშიშ პიროვნებად სცნობს— მისი დანაშაულებრივი მოქმედების გამო ან იმის გამო, რომ მას კავშირი აქვს უწყებული ადგილის დანაშაულებრივ წრესთან, იმ შემთხვევაშიაც, როდესაც განსაზღვრული დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისგებაში მიცემული პირი გამართლებულ იქნა.

საქართველოს სოც. საბჭ რესპუბლიკის ფარგლებიდან განდევნა შეიძლეაა მხოლოდ იმ წესით, რაც ცალკე განსაზღვრულ იქნება საერთო საკავშირო კანონმდებლობით, ხოლო განდევნა ერთი ადგილიდან მეორე ადგილას საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგალში შეიძლება საქართველოს სოციალ. საბჭ. რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრული წესისამებრ.

ამ მუხლში აღნიშნული სოციალური დაცვის ღონისძიება შეფარდებულ უნდა იქნეს ვადით არა უმეტეს ხუთი წლისა.

მუხ. 35. თანამდებობიდან დათხოვნა შეფარდებულ უნდა იქნეს, როგორც სოციალური დაცვის ღონისძიება. უკეთუ სასამართლო სცნობს, რომ შეუძლებელია მსჯავრდადებულის დატოვება იმ თანამდებობაზე, რომელიც მას უჭირავს, ამასთანავე მსჯავრდადებულს შეიძლება აეკრძალოს ამა თუ იმ თანამდებობის დაჭერა ვადით არა უმეტეს ხუთი წლისა.

მუხ. 36. განსაზღვრულ საქმესა ან ხელობაში მუშაობას სასამართლო აუკრძალავს მსჯავრდადებულს, უკეთუ დამტკიცებულია, რომ იგი სიბოროტეს სჩადის თავის პროფესიასა ან ხელობაში, და სცნობს, რომ შეუძლებელია მსჯავრდადებულს ნება მიეცეს განაგრძოს ამ პროფესიასა ან ხელობაში მუშაობა.

კერძოდ, სასამართლოს უფლება აქვს აუკრძალოს მსჯავრდადებულს სამრეწველო და სავაჭრო საქმე, მიღება თავის თავზე ვალდებულებისა სახაზინო სამუშაოს ნარდად გაცემისა ლა გაყიდვა-მიწოდებისათვის, გარიგების დადება სახელმწიფო საწარმოსთან, ხელმძღვანელობა, თავისი სახელით ან სხვა პირის

Удаление за пределы ССРГ допускается и производится в порядке, определенном общесоюзным законодательством, удаление же из одной местности в другую в пределах ССРГ в порядке, определяемом законодательством ССРГ.

Меры социальной защиты, упоминаемые в настоящей статье, назначаются на срок не свыше 5-ти лет.

Ст. 35. Увольнение от должности применяется, как мера социальной защиты, в случаях признания судом невозможности оставления осужденного на занимаемой им должности и может сопровождаться запрещением занятия той или иной должности, однако, на срок не свыше 5-ти лет.

Ст. 36. Запрещение занятия той или другой деятельностью или промыслом определяется судом в случаях, когда суд признает невозможным, вследствие установленных злоупотреблений осужденного при занятии своей профессией или промыслом, допустить дальнейшее занятие его таковым.

В частности, суд вправе определить воспрещение осужденному заниматься промышленной и торговой деятельностью, принимать на себя обязательство по казенным подрядам и поставкам, заключать сделки с государственными предприятиями, руководить от себя или по поручению других лиц торговыми и комиссионными предприятиями и т. д.

Это запрещение равным образом не может быть назначено на срок свыше 5-ти лет.

Ст. 37 Общественное порицание заключается в выражении приговоренному осуждения от имени суда за совершенное им преступление.

Ст. 38. Конфискация имущества состоит в принудительном и безвозмездном отчуждении в пользу государства всего или точно определенной судом части имущества осужденного.

Конфискации не подлежат необходимые для осужденного и его семьи предметы домашнего обихода и служащие средством существования орудия мелкого кустарного, ремеслен-

მინდობილობით, სავაჭრო და საკომისიო საწარმოსი და სხვ.

ასეთი აკრძალვა არ შეიძლება ხუთ წელიწადზე მეტი ვადით.

მუხ. 37. საზოგადოებრივი გაკიცხვით მსჯავრდადებულს სასამართლოს სახელით გამოეცხადება დაგმობა ჩადენილი დანაშაულისათვის.

მუხ. 38. ქონების კონფისკაცია არის სახელმწიფოს სასარგებლოდ იძულებით ან უსასყიდლოდ ჩამორთმევა მსჯავრდადებულის მთელი ქონებისა ან ქონების იმ ნაწილისა, რასაც სასამართლო გარკვეულად განსაზღვრავს.

კონფისკაციით არ ჩამოირთმევა ის ნივთები, რაც საჭიროა მსჯავრდადებულისა და მისი ოჯახისათვის ოჯახში სახმარებლად, და წვრილი შინამრეწველობის, ხელოსნობისა ან სოფლის მეურნეობის იარაღი, რაც მათი ცხოვრების სახსარს შეადგენს.

მსჯავრდადებულისა და მისი ოჯახის წევრთათვის დატოვებული სურსათ-სანოვაგე და ფული არ შეიძლება საერთო ღირებულებით იმ საშუალო ხელფასზე ნაკლები იყოს, რასაც ადგილობრივ მუშა იღებს ექვსი თვის განმავლობაში.

მსჯავრდადებულის პროფესიონალური მუშაობისათვის საჭირო ინვენტარის კონფისკაცია შეიძლება, უკეთუ სასამართლო აუკრძალავს მას სათანადო პროფესიაში მუშაობას.

მუხ. 39. ქონების კონფისკაციის გამო სახელმწიფო არ აგებს პასუხს იმ ვალისა და ვალდებულებისათვის, რომელიც ქონებას აწევს, უკეთუ ეს ვალი და ვალდებულება წარმოიშვა მას შემდეგ, რაც საგამომძიებლო ხელისუფლებამ მიიღო ქონების დაცვის ღონისძიება და თანაც დამცველი ორგანოს თანხმობის გარეშე.

რაც შეეხება იმ პრეტენზიას, რომელიც დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს კონფისკაციაქმნილი ქონებიდან, სახელმწიფო პასუხს აგებს მხოლოდ აქტივის ფარგალში. ამასთანავე პრეტენზია დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს შემდეგი თანდათანობით: პირველ ყოვლისა დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს ის, ვისაც სამუშაო ხელფასი ერგება, მეორე რიგში—სოციალური დაზღვევის ორგანოს პრეტენზია სოციალური დაზღვევისათვის, მესამეში—სხვა სახელმწიფო ორგანოს პრეტენზია, და მეოთხეში—ყველა სხვა პრეტენზია.

მუხ. 40. ჯარიმა არის ფულადი გა-

ного или сельско-хозяйственного производства.

Оставляемые в распоряжении осужденного и членов его семьи предметы питания и денежные суммы не могут по своей оценке в общей сложности быть ниже среднего шестимесячного заработка рабочего данной местности.

Инвентарь, необходимый для профессиональной работы осужденного, может быть конфискован, если суд постановит о лишении осужденного права заниматься соответствующей профессией.

Ст. 39. При конфискации имущества государство не отвечает по обременяющим имущество долгам и обязательствам, если таковые возникли после принятия следственными властями мер по охране имущества и при том без согласия охраняющего органа.

В отношении претензий, подлежащих удовлетворению за счет конфискуемого имущества, государство отвечает лишь в пределах актива, с соблюдением следующего порядка: в первую очередь подлежат удовлетворению получатели заработной платы, во-вторую—претензии органов социального страхования по социальному страхованию, в третью—претензии других государственных органов и в четвертую—все остальные претензии.

Ст. 40. Штраф есть денежное взыскание и налагается судом в пределах, установленных отдельными статьями Уголовного Кодекса, если он не налагается в качестве дополнительной меры социальной защиты.

Во всяком случае он налагается в соответствии с имущественным положением осужденного и, если штраф не может быть взыскан, он может быть заменен принудительными работами без содержания под стражей из расчета один месяц работы за 100 руб. штрафа. Замена лишения свободы штрафом или штрафа лишением свободы не допускается.

Предметы, не подлежащие конфискации, не могут быть из'яты и при наложении штрафа.

Ст. 41. Предостережение опреде-

დასახდელი. სასამართლო გადასწყვეტს მას იმ ფარგალში, რაც სისხლის სამართლის კოდექსის ცალკე მუხლებშია დაწესებული, უკეთუ იგი არ დაიდება, როგორც სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიება.

ყოველ შემთხვევაში, ჯარიმა დაიდება მსჯავრდადებულის ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით და უკეთუ შეუძლებელ იქნება მისი გადახდევინება, იგი შეიძლება შეცვლილ იქნეს იძულებით მუშაობად თავისუფლების აღუკვეთელად ისე, რომ ჯარიმის თვითეული ასი მანეთისათვის დაიდოს მუშაობა ერთი თვით. თავისუფლების აღკვეთის შეცვლა ჯარიმად ან ჯარიმისა თავისუფლების აღკვეთად არ შეიძლება.

ის საგნები, რაც არ ჩამოირთმევა კონფისკაციით, არ შეიძლება ჩამორთმეულ იქნეს ჯარიმადაც.

მუხ. 41. გაფრთხილებას სასამართლო გადასწყვეტს მხოლოდ გამამართლებელი განაჩენის გამოტანისას, უკეთუ სცნობს, რომ გამართლებული პირის ყოფა-ქცევის მიხედვით საფიქრებელია, რომ იგი დანაშაულს მომავალში ჩაიდენს.

## კარი IV.

### სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდების წესი.

მუხ. 42. სოციალური დაცვის რა ღონისძიება შეიძლება შეფარდებულ იქნეს თვითეულ ცალკე შემთხვევაში, ამას სასამართლო გადასწყვეტს სასამართლოს კლასობრივი და სოციალისტური შეგნებისამებრ, თანახმად ამა კოდექსის ზოგადი ნაწილისა და იმ ფარგალში, რაც გათვალისწინებულია განსაკუთრებული ნაწილის ცალკე მუხლებით.

მუხ. 43. განსხვავებულ უნდა იქნეს დანაშაულთა ორი კატეგორია:

ა) დანაშაული, მიმართული მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მიერ საბჭ. სოც. რესპ. კავშირში დამყარებული საბჭოთა წესწყობილების საფუძველთა წინააღმდეგ, და ამიტომ ნამეტნავად საშიშ დანაშაულად მისაჩნევი;

ბ) ყველა სხვა დანაშაული.

პირველგვარი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კოდექსით დაწესებულია ის უმდაბლესი საზღვარი, რომლის ქვევით სოციალური დაცვის ღონისძიე-

ляется судом лишь при вынесении оправдательного приговора, если суд усматривает, что поведение оправданного дает основания опасаться совершения им преступления в будущем.

## Раздел IV.

### *О порядке применения мер социальной защиты.*

Ст. 42. Какая именно мера социальной защиты должна быть применена в каждом отдельном случае, определяется судом согласно указаний общей части и в пределах, определенных отдельными статьями особенной части настоящего Кодекса, на основании классового и социалистического правосознания Судей.

Ст. 43. Подлежат различию две категории преступлений:

а) направленные против основ Советского Строя, установленного в Союзе ССР властью рабочих и крестьян, и признаваемые в силу этого наиболее опасными;

б) все остальные преступления.

За первые преступления Уголовный Кодекс определяет низший предел, ниже коего суд не вправе назначить меру социальной защиты.

По всем остальным преступлениям Уголовный Кодекс определяет лишь высший предел.

Ст. 44. При определении судом мер социальной защиты учитывается прежде всего степень и характер опасности преступника и совершенного им преступления, а затем личность преступника, мотивы преступления, а также насколько само преступление в данных условиях места и времени является общественно-опасным.

Ст. 45. Суд при определении мер социальной защиты прежде всего разрешает вопрос об общественной опасности настоящего преступления, после чего, при определении конкретной меры принимает более строгую меру социальной защиты:

а) если преступление совершено в целях восстановления власти буржуазии;

ბის გადაწყვეტა სასამართლოს არ შეუძლიან.

ყველა სხვა დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კოდექსით დაწესებულია მხოლოდ უმაღლესი საზღვარი.

მუხ. 44. სოციალური დაცვის ღონისძიების გადასაწყვეტად სასამართლომ მხედველობაში უპირველეს ყოვლისა უნდა მიიღოს ის, თუ რა და რამდენ საფრთხეს წარმოადგენს დამნაშავე და მისი დანაშაული, ხოლო შემდეგ— რას წარმოადგენს დამნაშავის პიროვნება, რა იყო დანაშაულის მოტივი, და აგრეთვე ის, თუ თვით დანაშაული დროისა და ადგილის მიხედვით რა საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებრივად.

მუხ. 45. სოციალური დაცვის ღონისძიების მისაღებად სასამართლომ უწინარეს ყოვლისა უნდა გადასწყვიტოს საკითხი, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს დანაშაული საზოგადოებრივად, რის შემდეგ, კონკრეტული ღონისძიების შესაფარდებლად მიიღებს სოციალური დაცვის უმძიმეს ღონისძიებას:

ა) უკეთუ დანაშაული ჩადენილია ბურჟუაზიის ხელისუფლების აღსადგენად;

ბ) უკეთუ დანაშაული ჩაიდინა იმან, ვინც დღეს ან წარსულში ასე თუ ისე ეკუთვნის ან ეკუთვნოდა იმ პირთა კლასს, რომელნიც სხვისი შრომის ექსპლოატაციას ეწევიან;

გ) უკეთუ დანაშაულს თავისი ობიექტური შედეგით შეუძლიან ვნება მოუტანოს საბჭოთა სახელმწიფოს ან მშრომელთა ინტერესებს, თუნდაც იგი პირდაპირ მათ წინააღმდეგ მიმართული არ იყოს;

დ) უკეთუ დანაშაული ჩაიდინა ჯგუფმა, ბანდამ ან რეციდივისტმა;

ე) უკეთუ დანაშაული ჩადენილია ანგარებით ან სხვა რაიმე ქვენა გრძნობით;

ვ) უკეთუ დანაშაული ჩადენილია განსაკუთრებული სიმკაცრით, ძალმომრეობით, ან მზაკვრობით, ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით.

შენიშვნა. რეციდივად არ ჩაითვლება: 1) უკეთუ ახალი დანაშაული ჩადენილია ისეთივე ან იმავე გვარის დანაშაულისათვის გადაწყვეტილი სოციალური დაცვის ღონისძიების მოხდამდე, 2) უკეთუ სოციალური დაცვის ღონისძიების მოხდის შემდეგ ახალი დანაშაულის ჩადენამდე გასულა ამა

б) если преступление совершено лицом, в той или иной мере связанным с принадлежностью в прошлом или настоящем к классу лиц, эксплоатирующих чужой труд;

в) если преступление, хотя и не направленное непосредственно против интересов Советского Государства или интер сов трудящихся, но по своим об'ективным результатам может принести ущерб этим интересам;

г) если преступление совершено группой, бандой или рецидивистом;

д) если преступление совершено из корыстных или иных низменных побуждений;

е) если оно совершено с особой жестокостью, насилием или хитростью или с использованием беспомощного состояния потерпевшего.

*Примечание*. Не признается рецидивом:

1) если преступление было совершено до отбытия меры социальной защиты за тождественное или однородное преступление и

2) если с момента отбытия и до момента совершения нового преступления прошли сроки, установленные ст. 15 настоящего Кодекса.

Ст. 46. Более мягкие меры социальной защиты определяются судом, если преступление совершено:

а) хотя с превышением меры необходимой обороны, но для защиты от посягательства на Советскую Власть, революционный правопорядок или личность и права обороняющегося или другого лица;

б) рабочим, трудовым крестьянином или вообще трудящимся;

в) в первый раз;

г) по мотивам, лишенным корысти или иных низменных побуждений;

д) под влиянием угрозы, принуждения, служебной или экономической зависимости;

е) под влиянием сильного волнения;

ж) в состоянии голода, нужды и вообще под влиянием стечения тяжелых личных или семейных условий;

კოდექსის მე-15 მუხლში აღნიშნული ვადა.

მუხ. 46. სოციალური დაცვის უმსუბუქეს ღონისძიებას სასამართლო მიიღებს უკეთუ დანაშაული ჩადენილია:

ა) თუმცა აუცილებელი თავდაცვის საზღვრის გადაცილებით, მაგრამ ისეთი ხელყოფისაგან დასაცავად, რაც მიმართული იყო საბჭოთა ხელისუფლებისა, რევოლიუციონური მართლწესრიგისა ან მომგერებლისა თუ სხვა ვისიმე პიროვნების და უფლების წინააღმდეგ;

ბ) მუშისა, მშრომელი გლეხის ან, საერთოდ, მშრომელის მიერ;

გ) პ ი რ ვ ე ლ ა დ;

დ) ანგარებისა ან სხვა რაიმე ქვენაგრძნობის გარეშე.

ე) მუქარისა, იძულებისა და სამსახურ. ან ეკონ. დამოკიდებ. ზეგავლენით;

ვ) ძლიერი სულიერი აღელვების ზეგავლენით;

ზ) შიმშილობით, გაჭირვებით და, საერთოდ, შექმნილ მძიმე პირად ან ოჯახურ გარემოებათა გამო;

თ) უვიცობით, შეუგნებლობით ან შემთხვევით გარემოებათა გამო;

ი) იმ პირის მიერ, ვისაც სრულწლოვანებისათვის არ მიუღწევია, ან ორსული ქალის მიერ.

მუხ. 47. როდესაც ბრალდებულის ქმედობას აქვს რამდენიმე დანაშაულის ნიშნები, სასამართლო სოციალური დაცვის ღონისძიებას გადაუწყვეტს იმ დანაშაულის მიხედვით, რომლისათვისაც უმძიმესი ღონისძიებაა დაწესებული.

უკეთუ ბრალდებულს განაჩენის გამოტანამდე ორი ან მეტი დანაშაული ჩაუდენია, სასამართლო სოციალური დაცვის ღონისძიებას აარჩევს თვითეული დანაშაულისათვის ცალ-ცალკე და გადასწყვეტს უმძიმეს ამ ღონისძიებათათაგანს; ამასთანავე სოციალური დაცვის ღონისძიება შეიძლება აწეულ იქნეს უმაღლეს საზღვრამდე, რაც აღნიშნულია იმ მუხლში, რომლითაც სოციალური დაცვის ღონისძიება გადაეწყვიტა ბრალდებულს.

მუხ. 48. უკეთუ მსჯავრდადებული ახალ დანაშაულს ჩაიდენს პირველი დანაშაულისათვის განაჩენის გამოტანის შემდეგ, ხოლო პირველი განაჩენით გადაწყვეტილი სოციალური დაცვის ღონისძიების მოხდამდე, სასამართლო ახალი დანაშაულისათვის სოციალური დაცვის ღონისძიებას გადაუწყვეტს ცალკე

з) по невежеству, по несознательности или по случайному стечению обстоятельств;

и) лицом, не достигшим совершеннолетия или в состоянии беременности.

Ст. 47. Когда в совершенном обвиняемым деянии содержатся признаки нескольких преступлений, суд определяет меру социальной защиты по тому преступлению, которое влечет за собой более строгую меру.

В случае совершения обвиняемым до вынесения приговора двух или более преступлений суд определяет меру социальной защиты за каждое преступление отдельно и приговаривает его к тягчайшему из них, при чем мера социальной защиты может быть повышена до высшего предела, установленного статьей, по коей мера социальной защиты была определена.

Ст. 48. В случае совершения осужденным нового преступления, после вынесения приговора за первое преступление, но до отбытия назначенной ему по первому приговору меры социальной защиты, суд определяет осужденному меру социальной защиты отдельно за новое преступление, с тем, однако, рассчетом, чтобы в случае назначения судом однородной с первым приговором меры социальной защиты, определяемой на срок, общий срок по обоим приговорам не превышал высшего срока, установленного Уголовным Кодексом.

При сложении лишения свободы с принудительными работами без лишения свободы, последняя мера присоединяется к первой из рассчета три дня принудительных работ за 1 день лишения свободы.

Ст. 49. В случае, если, по мнению суда, из обстоятельств дела вытекает целесообразность назначения меры социальной защиты ниже низшего предела, установленного законом в соответствующей статье, таковое понижение допускается исключительно с приведением соответствующих мотивов.

Ст. 50. В случаях, когда суд по тем или иным соображениям призна-

იმ ანგარიშით, რომ თუ გადაწყვეტილ იქნება სოციალური დაცვის იმგვარივე ღონისძიება, რაც პირველი განაჩენით გადაწყვეტილია, და ეს ღონისძიება ვადიანია, მისი საერთო ვადა ორივე განაჩენით არ აღემატებოდეს სისხლის სამართლის კოდექსში დაწესებულ უდიდეს ვადას. როდესაც თავისუფლების აღკვეთა შესაერთებელია იძულებით მუშაობასთან თავისუფლების აღუკვეთელად, უკანასკნელი ღონისძიება დაერთვის პირველს იმ ანგარიშით, რომ იძულებითი მუშაობის სამი დღისათვის დაიდოს თავისუფლების აღკვეთა ერთი დღით.

მუხ. 49. უკეთუ სასამართლო სცნობს, რომ საქმის გარემოებათა მიხედვით მიზანშეწონილია სოციალური დაცვის ისეთი ღონისძიების გადაწყვეტა, რაც კანონის სათანადო მუხლში გათვალისწინებულ უმდაბლეს საზღვარზე ნაკლებია, მას შეუძლიან სოციალური დაცვის ღონისძიების ასეთი დაწევა, ხოლო სათანადო დასაბუთებით.

მუხ. 50 უკეთუ ამა თუ იმ მოსაზრებით სასამართლო სცნობს, რომ მიზანშეწონილია დანაშაულის ჩამდენი სრულიად განთავისუფლებულ იქნეს სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდებისაგან, ან სცნობს, რომ მიზანშეწონილია სოციალური დაცვის სხვა, ნაკლებად მძიმე ღონისძიების გადაწყვეტა, რაც გათვალისწინებულ არ არის იმ მუხლში, რომლითაც დამნაშავეს მსჯავრი დაედო, სასამართლომ საამისო თხოვნა უნდა წარუდგინოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

მუხ. 51. უკეთუ განაჩენის გამოტანის დროს, რომლითაც გადაწყვეტილ იქნება იძულებითი მუშაობა ან თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლაციით ან უამისოდ, აღმოჩნდება, რომ მსჯავრდადებული საზოგადოებრივად ისეთ საფრთხეს არ წარმოადგენს, რისთვისაც საჭიროა იზოლაცია—ან იძულებითი სამუშაოს დანიშვნა, სასამართლოს უფლება აქვს დაადგინოს—განაჩენი სისრულეში მოყვანილ არ იქნეს, იმ პირობით კი, რომ მსჯავრდადებულმა, სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის განმავლობაში, არ ჩაიდინოს ახალი, არა ნაკლებად მძიმე დანაშაული. ეს ვადა არ შეიძლება ერთ წელიწადზე ნაკლები იყოს და ათ წელიწადს აღემატებოდეს.

მუხ. 52. ფულადი ან ქონებრივი გადასახდელი, რაც თავისუფლების აღკვე-

ет целесообразным совершенно освободить совершившего преступления от применения меры социальной защиты, или признает целесообразным перейти к другой менее тяжкой мере социальной защиты, не установленной той статьей, по которой признан виновным совершивший преступление, суд входит с ходатайством о том во ВЦИК.

Ст. 90. Договор залога должен быть совершен в письменной форме. Залог строений и права застройки, под страхом недействительности его, должен быть совершен в нотариальном порядке с последующей регистрацией в Нотариальном Отделении Областного Суда. О существе акта залога Нотариальное Отделение сообщает подлежащему Коммунальному Отделу. Залогодержателю выдается залоговой акт.

Ст. 101. Заложенное имущество, принадлежащее должнику, обращается, преимущественно перед претензией залогодержателя на удовлетворение нижеследующих категорий взысканий, если прочего имущества должника недостаточно для покрытия этих взысканий: в первую очередь—на покрытие задолженности должника по заработной плате рабочим и служащим, по социальному страхованию и алиментам, во-вторую очередь—на покрытие недоимок по налогам и сборам как общегосударственным, так и местным; в третью очередь—на покрытие претензий государственных органов, вытекающих из договоров подряда и поставки.

*Примечание.* Взыскания, входящие в одну и ту же очередь из предусмотренных настоящей статьей, удовлетворяются в слу-

რიგშია მოქცეული, უკეთუ მოვალის ქონება მათ ვერა ჰყოფნის, გასტუმრებულ უნდა იქნეს პროპორციონალურად.

მუხ. 110. უკეთუ ვალს, კანონის ან ხელშეკრულების თანახმად, უნდა მიერიცხოს სარგებელი, რომლის რაოდენობაც აღნიშნული არ არის, წლიურად მიერიცხება ვალის თანხის 6% (დაკანონებული სარგებელი).

მუხ. 136. ხელშეკრულება 500 მანეთზე მეტი თანხისა ქმნილ უნდა იყოს წერილობით, გარდა იმ შემთხვევისა, რაც კანონში ცალკეა გათვალისწინებული.

**შენიშვნა.** უკეთუ ამ მუხლში აღნიშნული წესი დაცულ არ იქნება, მხახურნი, ვინიცობაა დავა აღიძვრის, დაჰკარგავენ უფლებას ხელშეკრულების დასადასტურებლად დაეყრდნენ მოწმეთა ჩვენებას, ხოლო არ დაჰკარგავენ უფლებას მოიყვანონ წერილობითი დამამტკიცებელი საბუთი.

მუხ. 138. ქონების უსასყიდლოდ დათმობის ხელშეკრულება (გაჩუქება) 10.000 მ. მეტი თანხისა ბათილია.

ქონების გაჩუქება 1000 მ. მეტი თანხისა, ბათილობის რიდით, უნდა მოხდეს სანოტარო წესით.

მუხ. 155. უკეთუ საწარმოს ქირავნობის და სავაჭრო-სამრეწველო საწარმოსთვის სადგომის დაქირავების ხელშეკრულება დადებულია ისე, რომ ვადა აღნიშნული არ არის, იგი ჩაითვლება ვადა-გადაუწყვეტელ ხელშეკრულებად და თვითეულ მხარეს უფლება აქვს მოსპოს ხელშეკრულების მოქმედება ყოველ დროს ისე კი, რომ ეს მეორე მხარეს აცნობოს სამი თვით ადრე; ხოლო როდესაც დაქირავებულია სხვა ქონება, საცხოვრებელ სადგომს გარდა,—ერთის თვით ადრე.

**შენიშვნა.** როდესაც საცხოვრებელ ბინას ისეთი პირი დაიქირავებს, რომელიც 156 მუხლში დასახელებული არ არის, ხელშეკრულება ჩაითვლება ვადა-გადაუწყვეტელ ხელშეკრულებად. დავა, რომელიც შეიძლება აღიძრას დამქირავებელსა და გამქირავებელს შორის ბინის ქირის რაოდენობის შესახებ, უნდა გადასწყდეს სასამართლოს წესით. გამქირავებელს ხელშეკრულების მოსპობის უფლება

чае недостаточности имущества должника для полного удовлетворения, по соразмерности.

Ст. 110. Если на долг, согласно закона или договора должны начисляться проценты, размер коих не указан, таковые (узаконенные проценты) начисляются в размере 6% годовых с суммы долга.

Ст. 136. Договор на сумму свыше пятисот рублей должен быть совершен в письменной форме, за исключением случаев, особо предусмотренных законом.

*Примечание.* Несоблюдение правила, изложенного в сей статье, лишает стороны права, в случае спора, ссылаться в подтверждение договора на свидетельские показания, но не лишает их права приводить письменные доказательства.

Ст. 138. Договор о безвозмездной уступке имущества (дарение) на сумму более 10.000 рублей недействителен.

Дарение на сумму более 1.000 руб. должно быть, под страхом недействительности, облечено в нотариальную форму.

Ст. 155. Если договор найма предприятий и помещений под торгово-промышленные предприятия заключен без указания срока, то он считается заключенным на неопределенный срок и каждая из сторон вправе прекратить действие договора во всякое время, предварив о том другую сторону за три месяца, а при найме прочего имущества кроме жилых помещений—за один месяц.

*Примечание.* При найме жилых помещений лицами, не перечисленными в 156 ст., договор считается заключенным на неопределенный срок. Могущий возникнуть между наймодавцем и нанимателем спор о размере квартирной платы подлежит разрешению в судебном порядке. Наймодавец вправе прекратить действие договора только в случаях, указанных в пунктах „в", „г", „д", „з", „и" ст. 171 и в ст. 172.

აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, რაც გათვალისწინებულია 171 მუხ. „გ", „დ", „ე", „თ", „ი" პუნქტსა და 172. მუხ.

მუხ. 166. ისეთ შემთხვევაში, როდესაც დამქირავებელი არის 156 მუხლში ჩამოთვლილ პირთაგანი, საცხოვრებელი ბინის ქირა არ შეიძლება შეპირებულ იქნეს იმ განაკვეთზე მეტი, რაც დაწესებულია საამისოდ არსებული დადგენილებით, და გადახდილ უნდა იქნეს თვითეული თვისათვის არა უგვიანეს შემდეგი თვის 10 რიცხვისა. ყველა სხვა მოქალაქე ბინის ქირას იხდის არა უგვიანეს მიმდინარე თვის 15 რიცხვისა, უკეთუ ხელშეკრულებით სხვა რამ დაწესებული არ არის.

გამქირავებელს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედება მოსპოს ისეთსავე შემთხვევაში, რაც აღნიშნულია 153 მუხლის შენიშვნაში.

მუხ. 171. სასამართლოს შეუძლიან დაინტერესებული პირის ან დაწესებულების მოთხოვნით ვადამდე მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება:

ა) უკეთუ გამქირავებელი არ ჩააბარებს დამქირავებელს შეპირებულ ქონებას სარგებლობისათვის;

ბ) უკეთუ დამქირავებელმა დადგენილ ვადაზე არ მოახდინა ის შეკეთება, რაც მის მოვალეობას შეადგენდა, ან უკეთუ ქონება, ამა თუ იმ გარემოების ძალით, რომლისთვისაც დამქირავებელი პასუხს არ აგებს, აღოჩნდება ისეთს მდგომარეობაში, რომ უვარგისი იქნება პირობით განსაზღვრული სარგებლობისათვის;

გ) უკეთუ დამქირავებელი განზრახ ან დაუდევრობით წაახდენს ქონებას;

დ) უკეთუ დამქირავებელი გამოიყენებს ქონებას არა თანახმად კანონისა, ხელშეკრულებისა ან ქონების დანიშნულებისა;

ე) უკეთუ საცხოვრებელი ბინის დამქირავებელი თავისი ყოფა-ქცევით შეუძლებელ ჰყოფს სხვა მცხოვრებთათვის სახლში მასთან ერთად ცხოვრებას;

ვ) უკეთუ სახელმწიფო საწარმოს დამქირავებელის ხელში გამომუშავებამ დადგენილ ვადაზე ვერ მიაღწია ხელშეკრულებაში აღნიშნულ დონემდე;

ზ) უკეთუ დამქირავებელმა დადგენილ ვადაზე არ მოახდინა ის შეკეთება, რაც მის მოვალეობას შეადგენდა;

თ) უკეთუ ბინის ქირას არ გადაიხდის სახელმწიფო და კერძო დაწესებუ-

Ст. 166. В тех случаях, когда нанимателями являются лица перечисленных в ст. 156 категорий, наемная плата на жилые помещения не может быть выговорена выше ставок, устанавливаемых на основании существующих на этот предмет постановлений и вносится за каждый месяц не позднее 10 числа следующего месяца. Все прочие граждане квартирную плату вносят не позднее 15 числа текущего по платежу месяца, если иное не установлено в договоре. Наймодавец вправе прекратить действие договора в тех же случаях, какие указаны в примечании к ст. 155.

Ст. 171. Договор найма может быть досрочно расторгнут судом по требованию заинтересованных лиц и учреждений: а) если наймодатель не представляет в пользование нанимателя условленного имущества; б) если наймодатель не произвел в установленный срок лежащего на его обязанности ремонта или если имущество, в силу обстоятельств, за которые наниматель не отвечает, окажется в негодном для условленного пользования состоянии; в) если наниматель умышленно или по небрежности ухудшает состояние имущества; г) если наниматель пользуется имуществом не в соответствии с законом, договором или назначением имущества; д) если наниматель жилого помещения своим поведением делает для других жильцов невозможным совместное с ним жительство в доме; е) если наниматель государственного предприятия в установленный срок не довел выработки до указанных в договоре размеров; ж) если наниматель в установленный срок не произвел лежащего на его обязанности ремонта; з) в случаях неплатежа квартирной платы рабочими и служащими государственных и частных учреждений и предприятий, состоящими на социальном обеспечении инвалидами труда и войны, семьями мобилизованных, состоящими на Государственных стипендиях учащимися, получающими пособие из касс социального страхования безработными—по истечении двух месяцев после напоминания, сде-

ლებისა და საწარმოს მუშა-მოსამსახურე, შრომისა და ომის ინვალიდი, რომელიც სოციალურ უზრუნველყოფაზე არის, მობილიზაციით გაწვეულის ოჯახი, მოსწავლე, რომელიც სახელმწიფო სტიპენდიას იღებს, უმუშევარი, რომელიც სოციალურ უზრუნველყოფის სალაროდან იღებს უმუშევართათვის დაწესებულ დახმარებას—ორი თვის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც გამქირავებელი, 166 მუხლში აღნიშნული ვადის გასვლისას, მოაგონებს მას ქირის გადახდას; ხოლო თუ ბინის ქირას არ იხდის სხვა მოქალაქე—ამ მოქალაქისათვის იმავე მუხლით დაწესებული ვადის გასვლის ერთი თვის შემდეგ. ბინის ქირის გადუხდელობას გაეთანაბრება წყლის სარგებლობის ფულის გადუხდელობაც;

ი) უკეთუ საჭირო იქნება სადგომის ძირითადი შეკეთება, აუცილებლად იმ პირობით-კი, რომ შეკეთების შემდეგ სადგომში კვლავ დაეთმოს იმას, ვინც შეკეთებამდე იქ სცხოვრობდა, თუ იგი ამას მოისურვებს.

მუხ. 181.

**შენიშვნა.** მეფის მთავრობის მიერ მოჭრილი ოქროს და ვერცხლის ფულისა და უცხოეთის ვალიუტის, აგრეთვე საბჭ. სოც. რესპ. კავშირის ბაირაღით მცურავ საზღვაო სავაჭრო გემის ყიდვის უფლება მოწესრიგდება განსაკუთრებული წესებით.

მუხ. 182. არამუნიციპალიზაციაქმნილი საცხოვრებელი შენობა შეიძლება იქნეს წინასწარი სანასყიდო ხელშეკრულების ან ნასყიდობის საგნად იმ პირობით, რომ:

1) ამ ხელშეკრულებათა შედეგად მყიდველისა, მისი მეუღლისა და არასრულწლოვანი შვილის ხელში არ იყოს ორი ან მეტი მფლობელობა.

2) რომ გამყიდველისა, მისი მეუღლისა და არასრულწლოვანი შვილის სახელით 3 წელიწადში გასხვისებულ იქნეს არა უმეტეს ერთი მფლობელობისა.

**შენიშვნა.** მფლობელობად ჩაითვლება სახლი საცხოვრებელი და ხელისშემწყო საეზოვო შენობებით, რაც მას აკრავს.

მუხ. 185. შენობის და აღნაგობის უფლების ნასყიდობა, ბათილობის რიდით, უნდა დაიდოს სანოტარო წესით და შემდეგ მას აუცილებლად რეგისტრაცია უნდა გაუკეთდეს ოლქის სასამართლოს

ланного им по наступлении срока, указанного в 166 ст.; в случаях неплатежа квартирной платы прочими гражданами—по истечении 1 месяца после установленного для них ст. 166 срока. К неплатежу квартирной платы приравнивается невзнос платы за пользование водою; и) в случаях необходимости производства капитального ремонта помещения, с тем непременным условием, что по учинении такового ремонта, жилище должно быть предоставлено жившим в нем доремонта лицам, если они того пожелают.

Ст. 181.

*Примечание.* Право покупки золотой и серебряной монеты царской чеканки и иностранной валюты, а также морских торговых судов, плавающих под флагом Союза С.С.Р., регулируется особыми правилами.

Ст. 182. Немуниципализированные жилые строения могут быть предметом запродажи и купли-продажи с тем, чтобы: 1) в результате этих договоров в руках покупателя, его супруга и несовершеннолетних детей не оказалось двух или более владений, 2) чтобы от имени продавца, его супруга и несовершеннолетних детей совершалось отчуждение не более одного владения в течение 3 лет.

*Примечание.* Владением признается дом с примыкающими к нему жилыми и служебными дворовыми постройками.

Ст. 185. Купля-продажа строений и права застройки должна, под страхом недействительности, быть совершена в нотариальном порядке с обязательной последующей регистрацией в Нотариальном Отделении Областного Суда. О существе означенных актов Нотариальное отделение Областного Суда сообщает подлежащему Коммунальному Отделу.

Ст. 210. Сумма займа должна быть выражена в рублях.

*Примечание.* Государственному Банку предоставляется право принимать во вклады и на текущие счета золото и серебро в монете и слитках и иностран-

სანოტარო თანაყანყოფილებაში. ამ აქტების შინაარსი ოლქის სასამართლოს სანოტარო თანაგანყოფილებამ უნდა აცნობოს სათანადო კომუნალურ განყოფილებას.

მუხ. 210. სესხის თანხა აღნიშულ უნდა იქნეს მანეთობით.

**შენიშვნა.** სახელმწიფო ბანკს უფლება აქვს მიიღოს ანაბარად და სახელდახელო ანგარიშზე ოქრო და ვერცხლი ფულად და ზოდებად და უცხოეთის ვალიუტა იმ პირობით, რომ დააბრუნებს მას იმავე ლითონით ან ვალიუტით, სარგებელს კი გადაიხდის საბჭ. სოც. რესპ. კავშირის ვალიუტით.

მუხ. 211. სესხის ხელშეკრულება 50 მანეთზე მეტი თანხისა ქმნილ უნდა იყოს წერილობით იმ შედეგის რიდით, რაც გათვალისწინებულია 136 მუხ. შენიშვნაში.

მუხ. 216. როდესაც სარგებლიანი სესხით წლიურად გადაქვეთილია 6%-ზე მეტი, მსესხებელს უფლება აქვს ნასესხი ფულის დაბრუნებით ვადამდე განთავისუფლდეს ვალდებულებისაგან, თუ რომ ვალის დაბრუნებას აცნობებს გამსესხებელს სამი თვით ადრე და წინასწარ გადაუხდის ერთი თვის სარგებელს. მსესხებლის მიერ ამა მუხლით მინიჭებულ უფლებაზე უარის თქმა ბათილია.

მუხ. 294. ამხანაგობის მოსპობისას მისი საქმეების ლიკვიდაციას მოახდენენ ამხანაგები, რისთვისაც დაცულ უნდა იქნეს შემდეგი პირობები:

ა) ესა თუ ის საგანი, შეტანილი ამხანაგობაში მხოლოდ საერთო სარგებლობისათვის, დაებრუნება მის შემტანს სასყიდლის მიუცემლად სარგებლობისათვის, უკეთუ სხვა რამ არ იყო შეპირებული;

ბ) საერთო ქონება განაწილდება მხოლოდ ამხანაგების საერთო საქმისათვის აღებული უდავო ვალის გასტუმრებისა ან სადავო ვალის უზრუნველყოფის შემდეგ, ნივთად შეტანილი ანაბარი დაბრუნებულ უნდა იქნეს ფულად იმ შეფასებით, რაც ამ შენატანისათვის აღნიშნულია საამხანაგო ხელშეკრულებაში, ხოლო უკეთუ ასეთი შეფასება არ არის, შენატანი უნდა დაებრუნოს იმისდამიხედვით, თუ რა ღირდა იგი შეტანის დროს. უკეთუ ამხანაგების საერთო ქონება საკმარისი არ იქნება ვალების გასტუმრებისა ან უზრუნველყოფისათვის,

ную валюту с условием возврата тем же металлом или валютой, но с выплатой процентов валютой Союза С.С.Р.

Ст. 211. Договор займа на сумму свыше пятидесяти рублей должен быть совершен в письменной форме под страхом последствий, предусмотренных в примечании к ст. 136.

Ст. 216. По займу процентному заемщик имеет право, предварив заимодавца за три месяца или уплатив ему проценты за месяц вперед, до срока освободиться от обязательства возвратом полученной суммы, если процент по займу установлен свыше 6% годовых. Отказ заемщика от предоставленного настоящей статьей права недействителен.

Ст. 294. Ликвидация дел товарищества по его прекращению производится товарищами с соблюдением следующих условий: а) предметы, внесенные в товарищество лишь в общее пользование, возвращаются внесшим их товарищам без вознаграждение за пользование этими предметами, если иное не было условлено; б) раздел общего имущества производится лишь по удовлетворении бесспорных или обеспечении спорных долгов товарищей по общему делу. Вещественные вклады возвращаются деньгами по оценке, установленной для них в товарищеском договоре, а при отсутствии таковой — по стоимости их в момент внесения. В случае недостаточности общего имущества товарищей для удовлетворения или обеспечения долгов, недостающая сумма должна быть дополнена товарищами в размере приходящейся на каждого из них доли убытка. При несостоятельности кого-либо из товарищей, приходящаяся на его долю часть убытков распределяется между остальными товарищами на том же основании.

*Примечание.* Порядок взаимных расчетов между товарищами при ликвидации товарищества может быть установлен и соглашением товарищей.

Ст. 323. Акционерные Общества

დანაკლისი თანხა უნდა შეავსონ ამხანაგებმა იმისდა მიხედვით, თუ თვითეულ მათგანს რა წილი უდევს საერთო ზარალში. უკეთუ რომელიმე ამხანაგი არაშემძლეა, ზარალის ის ნაწილი, რაც მას შეხვდება, იმავე საფუძვლით განაწილებულ უნდა იქნეს დანარჩენ ამხანაგთა შორის.

**შენიშვნა.** წესი ამხანაგთა ურთიერთ შორის ანგარიშის გასწორებისა ამხანაგობის ლიკვიდაციის დროს შეიძლება განსაზღვრულ იქნეს ამხანაგების შეთანხმებითაც.

მუხ. 328. სააქციო საზოგადოება დაარსდება იმ წესდების თანახმად, რომელსაც დამფუძნებელნი, ამიერკავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მეშვეობით, წარუდგენენ დასამტკიცებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოს. ამ წესის გამონაკლისი აღნიშნულია 1 და 2 შენიშვნაში.

**შენიშვნა** 1. სააქციო საზოგადოების წესდება: ა) უკეთუ საზოგადოების (ამხანაგობის) დამფუძნებელთა შორის არიან საბჭ. სოც. რესპ. კავშირის სახელმწიფო დაწესებულებანი ან ისეთი სახელმწიფო საწარმონი, რომელთაც საერთო-საკავშირო მნიშვნელობა აქვთ; ბ) უკეთუ საზოგადოების (ამხ ბის) დამფუძნებელთა შორის არიან რამდენიმე მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებანი და საწარმონი; გ) უკეთუ საზოგადოების (ამხ-ბის) ძირითადი თანხა—1.000.000 (ერთ მილიონ) მანეთზე მეტია; დ) უკეთუ საზოგადოების (ამხ-ბის) წესდებაში არის რაიმე გამონაკლისი იმ წესებისა, რაც საბჭ. სოც. რესპ. კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით შემოღებულია სააქციო საზოგადოებისათვის,—წარედგინება დასამტკიცებლად საბჭ. სოც. რესპ. კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს—საბჭ. სოც. რესპ. კავშირის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მეშვეობით, ხოლო თუ წესდება საკრედიტო დაწესებულებისაა—საბჭ. სოც. რესპ. კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით.

**შენიშვნა 2.** სააქციო საზო-

учреждаются на основании уставов, представляемых учредителями через Управление Уполномоченного Закавкасского Комиссариата по Врутренней Торговле на утверждение Экономического Совета С.С.Р. Грузии, за исключением случаев, перечисленных в примечаниях 1 и 2.

*Примечание 1.* Уставы Акционерных Обществ: а) если среди учредителей о-ва (т ва) имеются государственные учреждения Союза С.С.Р. или государственные предприятия общесоюзного значения; б) если среди учредителей о-ва (т-ва) имеются государственные учреждения или предприятия нескольких союзных республик; в) если основной капитал о-ва (т-ва) превышает 1.000.000 (один миллион) рублей; г) если в уставе о-ва (т-ва) содержатся отступления от действующих в отношении акционерных обществ постановлений Совета Труда и Обороны Союза С.С.Р.,—представляются на утверждение Совета Труда и Обороны Союза через Народный Комиссариат по Внутренней Торговле Союза С.С.Р., за исключением уставов кредитных учреждений, которые представляются через Народный Комиссариат Финансов Союза С.С.Р.

*Примечание 2.* Уставы Акционерных Обществ: а) если в учреждении о-ва (т-ва) принимает участие иностранный капитал или если уставом о-ва (т-ва) допускается переход акций в руки иностранных граждан; б) если о-ва (т-ва) хотя и учреждаемого без участия иностранного капитала, имеет концессионный характер; в) если в уставе о-ва содержатся отступления от действующих постановлений Центрального Исполнительного Комитета и Совета Народных Комиссаров Союза С.С.Р., представляются на утверждение Совета Народных Комиссаров Союза С.С.Р. через Народный Комиссариат по внутренней тор-

გადოების წესდება: ა) უკეთუ საზოგადოების (ამხ-ბის) დაარსებაში მონაწილეობას იღებს უცხოეთის კაპიტალი ან საზოგადოების (ამხ-ბის) წესდების თანახმად აქცია შეიძლება უცხოელის ხელში გადავიდეს; ბ) უკეთუ საზოგადოების (ამხ-ბის) წესდებას საკონცესიო ხასიათი აქვს, თუნდაც საზოგადოებაში (ამხ-ბაში) უცხოეთის კაპიტალი მონაწილეობას არ იღებდეს; გ) უკეთუ საზოგადოების წესდებაში არის გამონაკლისი იმ წესებისა, რაც შემოღებულია საბჭ. სოც. რესპ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მომქმედი დადგენილებით, —დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს საბჭ სოც. რესპ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მეშვეობით, ხოლო თუ წესდება საკრედიტო დაწესებულებისაა—საბჭ. სოც. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით, ამა შენიშვნის „ა" და „ბ" პუნქტში აღნიშნული სააქციო საზოგადოების (საპაიო ამხანაგობის) წესდება-კი—მთავარი საკონცესიო კომიტეტის მეშვეობით.

**შენიშვნა 3.** 323 მუხლში აღნიშნული სააქციო საზოგადოებას (საპაიო ამხანაგობას), წესდების დამტკიცების შემდეგ, რეგისტრაცია უნდა გაუკეთდეს ამიერკავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში) სამმართველოში, ხოლო 1 და 2 შენიშვნაში აღნიშნულ საზოგადოებას—საბჭ. სოც. რესპ. კავშირის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატში.

**შენიშვნა 4.** ყოველ სააქციო საზოგადოებას, რომელიც დაარსებულ და რეგისტრაციაში გატარებულ იქნება დადგენილი წესით (მუხ. 323, შენიშვნა 1—3), უფლება აქვს იმოქმედოს მთლად სოც. საბჭ. რესპ. კავშირის ტერიტორიაზე.

**შენიშვნა 5.** სააქციო საკრედიტო საზოგადოების სამოქმედო

говле, за исключением уставов кредитных учреждений, которые представляются на утверждение через Народный Комиссариат Финансов Союза С.С.Р, и уставов Акционерных Общества (паевых товариществ), упомянутых в пунктах „а" и „б" настоящего примечания, которые представляются через Главный Концессионный Комитет.

*Примечание 3.* Указанные в 323 ст. акционерные общества —(паевые товарищества) по утверждении их уставов подлежат регистрации в Управлении Уполномоченного Закавкасского Комиссариата по внутренней торговле в С.С.Р. Грузии, а Общества, перечисленные в 1 и 2 примечаниях регистрируются в Наркомвнуторге Союза С.С.Р.

*Примечание 4.* Все акционерные общества, учрежденные и зарегистрированные в установленном порядке (примечания 1—3) имеют право действовать на всей территории Союза С.С.Р.

*Примечание 5.* Район деятельности акционерных кредитных учреждений определяется их уставами.

Ст. 324.

*Примечание 1.* Устав Акционерного Общества (паевого товарищества), имеющего целью поиски, разведку и добычу золота и сопуствующих ему металлов и минералов. должен быть подписан не менее, как тремя учредителями.

Ст. 325. Постановление Экономического Совета С.С.Р. Грузии об утверждении устава акционерного общества публикуется в официальном периодическом органе печати, а устав печатается в Собрании узаконений и распоряжений Правительства,

Ст. 333. Не позднее одного месяца и не ранее 7 дней после предварительного общего собрания акционеров созывается учредительское собрание их. На нем заслушивается доклад комиссии, избранной для проверки отчета учредителей, произво-

ასპარეზი განისაზღვრება მისი წესდებით.

მუხ. 324.

**შენიშვნა** 1. ისეთი საზოგადოების (საპაიო ამხანაგობის) წესდებას, რომელსაც მიზნად აქვს ოქროს და მისი თანმდევი ლითონის და მინირალის ძებნა, კვლევა და ამოღება, ხელი უნდა მოაწერონ სამმა დამფუძნებელმა მაინც.

მუხ. 325. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ეკონომიური საბჭოს დადგენილება, რომლითაც დამტკიცებულია სააქციო საზოგადოების წესდება, გამოქვეყნებულ უნდა იქნეს ოფიციალურ პერიოდულ ბეჭდვითი ორგანოში, ხოლო წესდება—კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულში.

მუხ. 333. არა უგვიანეს ერთი თვისა და არა უადრეს შვიდი დღისა აქციონერთა წინასწარი საერთო კრების შემდეგ, მოწვეულ უნდა იქნეს მათი დამფუძნებითი კრება. აღნიშნული კრება მოისმენს დამფუძნებელთა ანგარიშის შესამოწმებლად არჩეული კომისიის მოხსენებას, შეაფასებს აქციების შესასყიდად შეტანილ ქონებას, დაადგენს—ცნობილ იქნას საზოგადოება შემდგარად თუ არ-შემდგარად, აირჩევს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებს და სხვა მმართველ ორგანოს და გადასწყვეტს დანარჩენს საქმეს. სააქციო საზოგადოების დამფუძნებელნი ვალდებულ არიან წინასწარი და დამფუძნებითი კრების მოწვევა შვიდი დღით ადრე აცნობონ ამიერკავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში, სათანადო შემთხვევაში-კი—ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს.

მუხ. 335. უკეთუ აქციონერთა დამფუძნებითი საერთო კრება სცნობს, რომ საზოგადოება შემდგარია, გამგეობა ვალდებულია დაუყოვნებლივ შეიტანოს განცხადება საზოგადოების რეგისტრაციისათვის ამიერკავკასიის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში, სათანადო შემთხვევაში კი—ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში (საქართველოში). საზოგადოების რეგისტრაცია გამოქვეყნებულ უნდა იქნეს ოფი-

дится оценка внесенного на оплату акций имущества, выносится постановление о признании общества состоявшимся или несостоявшимся, выбираются члены правления, ревизионной комиссии и другие органы правления и решаются остальные дела. Учредители акционерных обществ обязаны уведомить Уполномоченного Закавкасского Народного Комиссариата Внутренней торговли в С.С.Р. Грузии, а в подлежащих случаях Уползакнаркомфина за 7 дней вперед об имеющихся состояться предварительном и учредительском собраниях.

Ст. 335. Если учредительское общее собрание акционеров признает общество состоявшимся, то правление обязано немедленно подать заявление в Управление Уполномоченного Закавкасского Народного Комиссариата Внутренней Торговли в С.С.Р. Грузии, а в подлежащих случаях также в Управление Уползакнаркомфина в Грузии. О состоявшейся регистрации общества публикуется в официальном органе периодической печати.

Ст. 336.

*Примечание.* Уполномоченный Закавкасского Народного Комиссариата Внутренней торговли в С.С.Р. Грузии, а в подлежащих случаях Уполнаркомфина имеет право, если сочтет это необходимым, произвести в отдельных случаях проверку законности хода учреждения данного общества, в частности проверку действительного наличия имущества, указанного в инвентарной описи, и правильности оценки такового.

Ст. 362. Акционерные общества, кроме страховых и кредитных установлений краткосрочного кредита, имеют право делать займы посредством выпуска облигаций, если это право предусмотрено в их уставе, на условиях, определяемых постановлением общего собрания акционеров. Постановление это должно быть занесено в реестр Управлением Уполномоченного Закавкасского Народно-

ციალურ პერიოდულ ბეჭდვითი ორგანოში.

მუხ. 336.

**შენიშვნა.** ამიერკავკასიის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში, ხოლო სათანადო შემთხვევაში ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს, უფლება აქვს, უკეთუ საჭიროდ სცნობს, შეამოწმოს ცალკე შემთხვევაში, რამდენად კანონიერად მიმდინარეობდა ამა თუ იმ საზოგადოების დაარსების საქმე, კერძოდ, შეამოწმოს, არის თუ არა ნამდვილად ის ქონება, რაც აღნიშნულია საინვენტარო აღწერილობაში, და სისწორით არის შეფასებული იგი თუ არა.

მუხ. 362. სააქციო საზოგადოებას, გარდა დამზღვევისა და მოკლევადიანი კრედიტის საკრედიტო დაწესებულებისა, უფლება აქვს, უკეთუ ეს გათვალისწინებულია წესდებაში, აიღოს სესხი ობლიგაციების გამოშვებით იმ პირობებით, რაც განსაზღვრულ იქნება აქციონერთა საერთო კრების დადგენილებისამებრ. ეს დადგენილება შეტანილ უნდა იქნეს ამიერკავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს რეესტრში და გამოქვეყნებული ამონაწერის სახით. ობლიგაციონერებს აქვთ საზოგადოების ქონებიდან დაკმაყოფილების უფლება უპირატესად სხვა კრედიტორებთან შედარებით, რომელთა საძიებელი წარმოიშვა იმის შემდეგ, რაც გამოქვეყნებულ იქნა საერთო კრების დადგენილება საობლიგაციო სესხის გამოშვების შესახებ.

**შენიშვნა.** საობლიგაციო სესხის გამოშვება არ შეიძლება, ვიდრე საზოგადოების ძირითადი კაპიტალი სრულად არ იქნება განაღდებული.

მუხ. 393. დამზღვევი განთავისუფლდება დაზღვევის საზღაურის გადახდისაგან:

ა) უკე თუ დაზღვევის შემთხვევა მოხდება დამ აზღვევლისა ან არადაზღვეული სარგებლობის მიმღების განზრახვით თუ უხეში გაუფრთხილებლობით;

ბ) უკეთუ დაზღვევის შემთხვევა ორი წლის განმავლობაში დაზღვევის ხელშეკრულების და დებიდან მოხდება დაზღვეული პირის განზრახვით.

მუხ. 416. კანონით და ანდერძით

го Комиссариата Внутренней Торговли и в извлечении опубликовано. Облигационеры пользуются правом удовлетворения из имущества общества, преимущественно перед кредиторами общества, притязания коих возникли после опубликования постановления общего собрания о выпуске облигационного займа.

*Примечание.* Заключение облигационного займа не допускается, пока не оплачен полностью весь основной капитал общества.

Ст. 393. Страховщик освобождается от уплаты страхового вознаграждения в следующих случаях:

а) если страховой случай наступит вследствие умысла или грубой неосторожности страхователя или выгодоприобретателя, не являющегося одновременно застрахованным лицом;

б) если страховой случай в течение первых двух лет по заключении договора страхования наступит вследствие умысла застрахованного лица.

Ст. 416. Наследование по закону и по завещанию допускается согласно нижеследующих статей: в пределах общей стоимости наследственного имущества не свыше десяти тысяч рублей за вычетом всех долгов умершего.

*Примечание.* Права, вытекающие из заключаемых органами государства с частными лицами договоров (арендных, концессионных, застроечных и др.) как к моменту смерти наследодателя, так и после, переходят в порядке наследования по закону и по завещанию, без ограничения предельной стоимостью, установленной настоящей статьей.

Ст. 417. Если общая стоимость наследства, превышает десять тысяч рублей, то между государством в лице Народного Комиссариата Финансов и его органов и частными лицами, призываемыми к наследованию по закону или по завещанию, производится раздел или ликвидация наследственного имущества в части, превышающей предельную стоимость

რისიმე დამკვიდრება, ქვემომოყვანილი მუხლების თანახმად. შეიძლება სამკვიდრო ქონების საერთო ღირებულების იმ ფარგალში, რაც გარდაცვალებულის ყველა ვალის გამოკლებით 10.000 მანეთს არ აღემატება.

**შენიშვნა.** ის უფლება, რომელიც სახელმწიფო ორგანოს მიერ კერძო პირთან დადებულ ხელშეკრულებიდან (საიჯარო, საკონცესიო, საალნაგო და სხვ.) გამომდინარეობს სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების დროს თუ შემდეგ, გადადის კანონით და ანდერძით დამკვიდრების წესისამებრ, მიუხედავად ამა მუხლში დაწესებული უკიდურესი ღირებულებისა.

მუხ. 417. უკეთუ სამკვიდროს საერთო ღირებულება 10.000 მანეთს აღემატება, სახელმწიფოს—ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და მისი ორგანოების სახით—და კანონით ან ანდერძით სამემკვიდრეოდ გამოწვეულ კერძო პირთა შორის უნდა მოხდეს სახელმწიფოს დაინტერესებულ ორგანოს სასარგებლოდ გაყოფა ან და ლიკვიდაცია სამკვიდრო ქონების იმ ნაწილისა, რომელიც სამკვიდროსათვის დაწესებულ უკიდურეს ღირებულებას აღემატება.

უკეთუ სამკვიდრო ქონების გაყოფა, ამ ქონების შემადგენელ ნაწილთა ხასიათის გამო, მეურნეობის მხრით ხელსაყრელი არ არის და მოუხერხებელია, უნდა დამყარდეს სახელმწიფო ორგანოებისა და კერძო პირის საერთო მფლობელობა, ან დაწესდეს სათანადო ნაწილის გამოსყიდვის უფლება სახელმწიფოს ან კერძო პირის სასარგებლოთ, თუ ეს სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით შესაძლებელია.

მუხ. 421. ანდერძად ჩაითვლება სიკვდილის საშემთხვეოდ გაცემული განკარგულება, რომ ქონება მიეცეს 418 მუხლში აღნიშნულთა შორის ერთს ან რამდენსამე პირს, ან განაწილებულ იქნეს რამდენსამე პირსა ან ყველა ამ პირს შორის სხვა რამ წესით, ვიდრე ეს გათვალისწინებულია 420 მუხლში.

ანდერძი, ბათილობის რიდით, უნდა ქმნილ იყოს სანოტარო წესისამებრ, თანახმად 424 მუხ., ხოლო იქ, სადაც ნოტარიუსი არ არის, შემოწმებულ უნდა იქნეს სახალხო მოსამართლისა, ხოლო თუ მოსამართლეც არ იქნება—

наследства, в пользу заинтересованных органов государства.

Если по характеру составных частей раздел наследственного имущества представляется хозяйственно-невыгодным и неудобным, то между органами государства и частными лицами устанавливается совместное владение или устанавливается право выкупа соответственной части в пользу государства или частных лиц, если последнее допускается интересами государства.

Ст. 421. Завещанием признается сделанное лицом в письменной форме распоряжение на случай смерти о предоставлении имущества одному или нескольким определенным лицам из числа указанных в ст. 418 или о распределении его между несколькими или всеми лицами в ином порядке, чем это предусмотрено ст. 420.

Завещание под страхом недействительности должно быть согласно 424 ст. составлено в нотариальном порядке, а где нет Нотариусов, то должно быть засвидетельствовано Народным Судьей, при отсутствии же Судьи местными Исполкомами.

Взамен подписи завещателя, завещания неграмотных или не могущих подписать (по болезни руки и т. п.) подписываются за них третьим лицом, рукоприкладчиком.

*Примечание 1.* Завещатель может лишить права законного наследования одного, некоторых или всех лиц, указанных в ст. 418. В первых двух случаях доли лишенных наследства распределяются между остальными, а в последнем случае наследство переходит к государству.

*Примечание 2.* Завещатель вправе оставить имущество, не превышающее указанной в 416 ст. стоимости, или часть его в распоряжение культурных, просветительных или иных непротивных закону общественных или же государственных учреждений.

Ст. 424. Проект нотариального завещания должен быть подписан завещателем и представлен им Народ-

ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

უკეთუ მოანდერძემ წერა არ იცის ან ძას არ შეუძლიან ხელის მოწერა (ხელის ტკივილისა ან სხვა რამ მიზეზის გამო), მის მაგიერ ანდერძს ხელი უნდა მოაწეროს მესამე პირმა—ხელმომწერმა.

**შენიშვნა 1.** მოანდერძეს შეუძლიან კანონით მემკვიდრეობის უფლება მოუსპოს 418 მუხლში აღნიშნულ პირთა შორის ერთ რომელსამე, რამდენსამე ან ყველას; პირველ ორ შემთხვევაში იმათი წილი, ვისაც მემკვიდრეობის უფლება მოუსპო, განაწილდება დანარჩენ პირთა შორის, ხოლო უკანასკნელ შემთხვევაში სამკვიდრო გადავა სახელმწიფოს ხელში.

**შენიშვნა 2.** მოანდერძეს უფლება აქვს ქონება, რომელიც 416 მუხლში აღნიშნულ ღირებულებას არ აღემატება, ან ამ ქონების ნაწილი დასტოვოს კულტურული, განმანათლებელი ან სხვა, კანონის არასაწინააღმდეგო, საზოგადოებრივი ან და სახელმწიფოებრივი დაწესებულებების განკარგულებაში.

მუხ. 424. სანოტარო ანდერძის პროექტი ხელმოწერილ უნდა იქნეს მოანდერძის მიერ და მის მიერ წარდგენილი ნოტარიუსისათვის სააქტო დავთარში შესატანად. სააქტო დავთარში შეტანილი და მოანდერძისა და ნოტარიუსის მიერ ხელმოწერილი ანდერძი დედნად ჩაითვლება.

სააქტო დავთრის პირველი ამონაწერი დედნის მაგიერია.

მუხ. 428.

**შენიშვნა 2.** თანამყოფ მემკვიდრეს შეუძლიან არ დაუცადოს სხვა მემკვიდრის გამოცხადებას და ჩაიბაროს სამკვიდრო ქონების გამგებლობა; სხვა მემკვიდრეს შეუძლიან თავისი წილი სამკვიდრო ქონებიდან მოითხოვოს საერთო სამი წლის ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში.

მუხ. 429. მემკვიდრეებს, უკეთუ არც ერთი მათგანი მემკვიდრეობის გახსნის ადგილას არ იქნება, შეუძლიანთ სამკვიდრო ქონება პირადად ან რწმუნებულის მეშვეობით ჩაიბარონ ექვსი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც

ному Нотариусу для внесения в актовую книгу. Внесенное в актовую книгу завещание с подписями завещателя и Нотариуса считается подлинным завещанием.

Первая выпись из актовой книги заменяет подлинное завещание.

Ст. 428.

*Примечание 2.* Находящиеся на лицо наследники могут вступить в управление наследственным имуществом, не дожидаясь явки прочих наследников; последние в течение общей трехлетней давности могут потребовать свою долю наследственного имущества.

Ст. 429. Если все наследники отсутствуют в месте открытия наследства, то они могут принять наследственное имущество лично или через поверенных в течение шести месяцев со дня принятия охранительных мер.

Ст. 435.

*Примечание.* К наследственному имуществу, состоящему в предприятии крупной промышленности и принятому со дня Советизации Грузии (25 февраля 1921 г.) до 20 апреля 1923 г., применяются правила ст. 416 и 418. Все определения Народных Судей Грузии об утверждении в правах наследства к имуществу, состоящему в предприятии крупной промышленности и принятому со дня Советизации Грузии (25 февраля 1921 г.) до 20 апреля 1923 г., считается аннулированными и все лица, принявшие таковые наследства, обязаны сообщить о том в Народный Комиссариат Юстиции до 10 марта 1924 г., с точным обозначением: когда открылось наследство, в чем оно заключалось, а также стоимость его.

*Приложение к статье 235.*

## ПОЛОЖЕНИЕ

### о государственных подрядах и поставках.

### Раздел 1.

1. Сдача подрядов и поставок государственными учреждениями и

მიღებულია ქონების დასაცავი ღონისძიება.

**შენიშვნა.** იმ მემკვიდრის წილი, რომელიც მემკვიდრეობის გახსნის დროს ჯერ დაბადებული არ იქნება, დაცულ უნდა იქნეს და შეიძლება მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ მოთხოვნილ იქნეს სამითვის განმავლობაში მემკვიდრის დაბადებიდან.

მუხ. 435.

**შენიშვნა.** სამკვიდრო ქონებას, რომელიც მხვილი მრეწველობის საწარმოსაგან შესდგება და რომელიც ჩაბარებულ იქნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან (1921 წ. თებერვლის 25-დან) 1923 წ. აპრილის 20-მდე, უნდა შეეფარდოს 416 და 418 მუხ-ბი. საქართველოს სახალხო მოსამართლეთა ყველა გადაწყვეტილება მემკვიდრეობის უფლების დამტკიცების შესახებ ისეთ ქონებაზე, რომელიც მხვილი მრეწველობის საწარმოსაგან შესდგება და ჩაბარებულ იქნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან (1921 წ. თებერვლის 25-დან) 1923 წ. აპრილის 20-მდე, ჩაითვლება გაბათილებულად, და ყველა, ვისაც ასეთი სამკვიდრო მიუღია, მოვალეა 1924 წ. მარტის 10 მდე აცნობოს ეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს, თანაც სისწორით აღნიშნოს: როდის გაიხსნა მემკვიდრეობა, რისგან შესდგება სამკვიდრო და რა ღირებულებისაა.

235 მუხლის დანართი.

## დებულება

**სახელმწიფოს შეკვეთით ნარდად მუშაობისა და გაყიდვა-მიწოდებისათვის.**

### კ ა რ ი I.

1. სახელმწიფო დაწესებულება და საწარმო, სხვათა შორის კომერციული ანგარიშის პრინციპით მომქმედი დაწესებულებაც და საწარმოც, სამუშაოს ნარდად გასცემს და მიწოდებ თ რასმე ღირებულებისას—აუცილებლად საჯარო ვაჭრობით. ვაჭრობის დღე და პირობები წინასწარ გამოქვეყნებულ უნდა იქნეს

предприятиями, в том числе и действующими на началах коммерческого расчета, на сумму свыше десяти тысяч рублей производится обязательно путем публичных торгов, о дне и условиях коих заблаговременно публикуется во всеобщее сведение. Порядок публичных торгов определяется особой инструкцией Совета Народных Комиссаров.

*Примечание 1.* В случае стихийных бедствий государственные органы, сдающие подряды и поставки для борьбы с озваченными бедствиями, могут заключать соответствующие договоры и без производства торгов.

*Примечание 2.* Сдача подрядов и поставок без публичных торгов для государственных органов, не находящихся на государственном бюджете, допускается исключительно в тех случаях, если операция подряда и поставки входит в круг их оперативной производственной или коммерческой деятельности.

*Примечание 3.* Подряды и поставки между государственными органами, находящимися на государственном бюджете и хозяйственном расчете, а равно кооперативными организациями—центральными, областными, районными—заключаются без производства торгов.

2. Договоры на сумму 150.000 руб. и выше подлежат утверждению соответствующего Народного Комиссара, а договоры, заключенные органами, состоящими на местном бюджете—утверждению Совета Народных Комиссаров.

*Примечание 1.* Народным Комиссарам предоставляется право устанавливать в инструкционном порядке обязательность представления подведомственными им органами договоров на сумму 150.000 рублей и ниже на утверждение тех или иных органов данного ведомства.

Такое же право в отношении органов, состоящих на местном

საყოველთაო ცნობისათვის. საჯარო ვაჭრობის წესი განისაზღვრება სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული ინსტრუქციით.

**შენიშვნა 1.** სტიქიურ უბედურებასთან საბრძოლველად სამუშაოს ნარდად გამცემ და მიწოდებით მყიდველ სახელმწიფო ორგანოს შეუძლიან სათანადო ხელშეკრულება დასდოს საჯარო ვაჭრობის გარეშეც.

**შენიშვნა 2.** სახელმწიფო ორგანოს, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტზე არ არის, სამუშაოს ნარდად გაცემა ან მიწოდებით ყიდვა საჯარო ვაჭრობის მოუხდენლად შეუძლიან მარტოოდენ იმ შემთხვევაში, უკეთუ ეს ოპერაციები შედის მის ოპერატიული, წარმოებითი ან კომერციული მოქმედების ფარგალში.

**შენიშვნა 3.** სამუშაოს ნარდად გაცემისა და მიწოდებით ყიდვის ხელშეკრულება სახელმწიფო ორგანოებს შორის, რომელნიც სახელმწიფო ბიუჯეტზე ან სამეურნეო ანგარიშზე იმყოფებიან,— აგრეთვე კოოპერატიულ ორგანიზაციებს შორის—ცენტრალურსა, საოლქოს და სარაიონოს—დაიდება საჯარო ვაჭრობის გარეშე.

2. ხელშეკრულება, რომლის თანხა 150,000 მანეთია ან მეტი, უნდა დაამტკიცოს სათანადო სახალხო კომისარმა, ხოლო ხელშეკრულება, რომელსაც დასდებს ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი ორგანო, უნდა დაამტკიცოს სახალხო კომისართა საბჭომ.

**შენიშვნა 1.** სახალხო კომისარს უფლება აქვს საინსტრუქციო წესით სავალდებულოდ შემოიღოს, რომ მისმა ხელქვეითმა ორგანომ ხელშეკრულება 150,000 მანეთის და ნაკლები თანხისა წარუდგინოს დასამტკიცებლად სათანადო უწყების ამა თუ იმ ორგანოს. იგივე უფლება სახალხო კომისართა საბჭოს აქვს ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ ორგანოთა მიმართ.

**შენიშვნა 2.** სამხედრო და საზღვაო უწყებაში ყველა ხელშეკრულება 150,000 მანეთისა და მეტი თანხისა უნდა დაამტკიცოს მუშათა და გლეხთა წითელი არმიის მომარაგების უფროსმა.

бюджете, предоставляется Совету Народных Комиссаров.

*Примечание 2.* Все договоры на сумму 150.000 руб. и выше по Народному Комиссариату по Военным и Морским Делам подлежат утверждению начальником снабжения Рабоче-Крестьянской Красной Армии.

*Примечание 3.* Правила настоящей статьи не распространяются на государственные тресты, синдикаты, правления железных дорог и пароходства, поскольку иное не предусмотрено их уставами или инструкциями подлежащего Народного Комиссариата.

3. В договоры, подлежащие утверждению согласно предыдущей статьи, обязательно должно быть включено указание срока, необходимого для получения утверждения, в течение какового срока подрядчик (поставщик) не вправе отказаться от принятых им условий договора или требовать их изменения. В случае неполучения уведомления об утверждении или неутверждении договора в указанный срок, договор считается вступившим в силу.

## Раздел II.

### *Отношения между государственным органом, сдающим подряд (поставку) и подрядчиком (поставщиком).*

4. По договору подряда подрядчик обязуется на свой страх и риск выполнить определенные задания государственного учреждения или предприятия (возведение, ремонт сооружений, заготовка дров, перевозка и т. д.), последнее же обязуется дать определенное вознаграждение за выполнение задания.

5. По договору поставки поставщик (продавец) обязуется доставить государству к определенному сроку известное количество вещей (товаров), определенных родовыми признаками, а государство обязуется уплатить условленную цену в деньгах или в натуре.

*Примечание.* На сделки куп-

**შენიშვნა 3.** ამა მუხლში აღნიშნული წესი არ გავრცელდება სახელმწიფო ტრესტსა და სინდიკატზე, რკინისგზის და ნაოსნობის სამმართველოზე, რამდენადაც მათი წესდებით ან სათანადო სახალხო კომისარიატის ინსტრუქციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. წინა მუხლის წესით დასამტკიცებელ ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა აღინიშნოს დამტკიცების მისაღებად საჭირო ვადა, და სამუშაოს ნარდად ამღებს (გამყიდველ-მიმწოდებელს) არა აქვს უფლება ამ ვადის განმავლობაში უარი სთქვას იმ პირობებზე, რაც მას ხელშეკრულებით მიუღია, ან მოითხოვოს მათი შეცვლა. უკეთუ ცნობა ხელშეკრულების დამტკიცებისა ან დაუმტკიცებლობის შესახებ აღნიშნულ ვადის განმავლობაში მიღებულ არ იქნა, ხელშეკრულება ძალაში შესულად ჩაითვლება.

კ ა რ ი II.

**ურთიერთობა სამუშაოს ნარდად გამცემ (მიწოდებით მყიდველ) სახელმწიფო ორგანოს და სამუშაოს ნარდად ამღებს (გამყიდველ-მიმწოდებელს) შორის.**

4. ნარდად მუშაობის ხელშეკრულებით სამუშაოს ნარდად ამღები კისრულობს თავისი რისკით შეასრულოს სახელმწიფო დაწესებულების ან საწარმოს განსაზღვრული შეკვეთა (შენობის აგება და შეკეთება, შეშის დამზადება, გადაზიდვა და სხვ.), ხოლო უკანასკნელი კისრულობს გადაიხადოს განსაზღვრული სასყიდელი შენაკვეთის შესრულებისათვის.

გაყიდვა-მიწოდების ხელშეკრულებით გამყიდველ-მიმწოდებელი კისრულობს განსაზღვრული ვადისათვის მიაწოდოს სახელმწიფოს ამა თუ იმ რაოდენობის საგნები (საქონელი), რაც განსაზღვრულ იქნება გვარობითი ნიშნებით, ხოლო სახელმწიფო კისრულობს გადაიხადოს შეპირებული ფასი ფულად ან ნატურად.

**შენიშვნა.** ამა დებულების წესი არ გავრცელდება ნასყიდობის იმ გარიგებაზე, რომელიც არ უდგება გაყიდვა-მიწოდების ცნებას, რაც ამა მუხლშია განსაზღვრული.

6. ურთიერთობა სამუშაოს ნარდად გამცემ (მიწოდებით მყიდველ) სახელმ-

ли-продажи, не подходящие под понятие поставки, данное в настоящей статье, правила сего Положения не распространяются.

6. Отношения между государственным органом, сдающим подряд (поставку) и подрядчиком (поставщиком) регулируются общими постановлениями Гражданского Кодекса, в частности, главой VII раздела об обязательственном праве (подряд) и соответствующими статьями главы IV того же раздела (купля-продажа) с нижеуказанными отступлениями.

7. В случае неуплаты в срок рабочим заработанного ими вознаграждения со стороны подрядчика, орган, сдающий подряд, вправе удовлетворить рабочих при бесспорности их требования, из сумм причитающихся к выдаче подрядчику.

8. Предупреждение, предусмотренное ст. 223 Гражданского Кодекса, должно быть заявлено подрядчиком в письменной форме органу, сдавшему подряд, который обязан назначить комиссию для проверки заявления.

9. Определение вознаграждения, причитающегося подрядчику, в форме процентного отчисления на расходы, понесенные подрядчиком по выполнению работы, воспрещается под страхом недействительности договора.

10. С неисправного подрядчика или поставщика орган государства взыскивает одновременно убытки и условленную неустойку.

11. Учреждение или предприятие, сдавшее подряд (поставку), может авансировать подрядчика (поставщика) условленными в договоре суммами в соответствии с организационными подготовительными расходами, действительно потребными для выполнения договора подряда (поставки), но не свыше двадцати пяти процентов цены договора.

*Примечание 1.* Когда подрядчиками (поставщиками) являются государственные учреждения или предприятия, смешанные акционерные общества, а равно

წიფო ორგანოსა და სამუშაოს ნარდად ამღებ (გამყიდველ-მიმწოდებელს) შორის მოწესრიგდება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დადგენილებით, ხოლო კერძოდ ვალდებულების სამართლის კარის VII თავით (ნარდად მუშაობა) და ამავე კარის IV თავის (ნასყიდობა) სათანადო მუხლებით ქვემოთ აღნიშნული ცვლილებისამებრ.

7. უკეთუ სამუშაოს ნარდად ამღები ვადაზე არ გადაიხდის მუშების გასამრჯელოს, სამუშაოს ნარდად გამცემ ორგანოს უფლება აქვს დააკმაყოფილოს მუშები, თუ მათი მოთხოვნა უდავოა, იმ თანხიდან, რაც ერგებოდა სამუშაოს ნარდად ამღებს.

8. სამოქალაქო კოდექსის 223 მუხლში გათვალისწინებული გაფრთხილება სამუშაოს ნარდად ამღებმა უნდა წერილობით განუცხადოს იმ ორგანოს, რომელმაც სამუშაო ნარდად გასცა, და ეს ორგანო ვალდებულია დანიშნოს კომისია განცხადების შესამოწმებლად.

9. ხელშეკრულების ბათილობის რიდით აკრძალულია სამუშაოს ნარდად ამღებისათვის გასამრჯელოს დანიშვნა პროცენტული ანარიცხის სახით იმ ხარჯზე, რასაც იგი გასწევს სამუშაოს შესასრულებლად.

10. უკეთუ სამუშაოს ნარდად ამღები ან გამყიდველ-მიმწოდებელი ვალდებულებას წესიერად არ შეასრულებს, სახელმწიფო ორგანო ერთსა და იმავე დროს გადაახდევინებს ზარალსაც და პირგაუტეხელობის შეპირებულ ჯარიმასაც.

11. სამუშაოს ნარდად გამცემ (მიწოდებით მყიდველ) დაწესებულებას ან საწარმოს შეუძლიან ავანსად მისცეს სამუშაოს ნარდად ამღებს (გამყიდველ-მიმწოდებელს) ხელშეკრულებით შეპირებული თანხები იმ მოსამზადებელი და საორგანიზაციო ხარჯების მიხედვით, რაც ნამდვილად საჭიროა ნარდად მუშაობის (გაყიდვა-მიწოდების) ხელშეკრულების შესრულებისათვის, ხოლო ეს ავანსი არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ფასის 25%-ს.

**შენიშვნა 1.** როდესაც სამუშაოს ნარდად ამღები (გამყიდველ-მიმწოდებელი) არის სახელმწიფო დაწესებულება ან საწარმო, შერეული სააქციო საზოგადოება, აგრეთვე ამა თუ იმ კატეგორიის კооперативные организации всех степеней, государственный орган, сдающий подряд (поставку) вправе увеличивать сумму выдаваемого аванса сверх двадцати пяти процентов цены договора с тем, чтобы сумма аванса, превышающая двадцать пять процентов цены договора, была полностью обеспечена залогом.

*Примечание 2.* В случае необходимости проведения операций по заготовке сырья путем заключения договоров поставки с первичными кооперативными и мелкими поставщиками, государственные органы могут, с разрешения Народного Комиссариата Внутренней Торговли Союза ССР и Уполномоченного Народного Комиссара Внутренней Торговли ЗСФСР в ССР Грузии по принадлежности выдавать при поставках ценой не свыше пяти тысяч рублей авансы в размере свыше 25% цены договора без обеспечения залогом суммы аванса, превышающей двадцать пять процентов.

## Раздел III.

### *Порядок приемки исполнения по договорам подрядов и поставок.*

12. При приеме исполнения по договорам подрядов (поставок) государственные учреждения и предприятия обязаны составлять подробный приемочный акт. Последний датируется днем окончания приемки (исполнения по договору) и копия его немедленно передается подрядчику (поставщику).

## Раздел IV.

### *Обеспечение исполнения договора подрядчиков (поставщиков).*

13. В обеспечение подрядов и поставок подрядчики и поставщики должны вносить залог в размере не менее десяти процентов цены договора. Залог может быть представлен как самим контрагентом по договору подряда или поставки, так и другим лицом.

კოოპერატიული ორგანიზაცია, სამუშაოს ნარდად გამცემ (მიწოდებით მყიდველ) სახელმწიფო ორგანოს უფლება აქვს ავანსად ხელშეკრულების ფასი 25%-ზე მეტიც გასცეს, იმ პირობით კი, რომ ავანსის ის თანხა, რაც აღემატება 25%-ს მთლად უზრუნველყოფილ იქნეს საწინდრით.

**შენიშვნა 2.** უკეთუ ყიდვა-მიწოდების ხელშეკრულება ნედლეული მასალის დასამზადებელ ოპერაციის გამო დაიდება პირველი საფეხურის კოოპერატივთან ან წვრილად გამყიდველ-მიმწოდებელთან, სახელმწიფო ორგანოს შეუძლიან იმ ხელშეკრულებაზე, რომლის ფასიც არ აღემატება 5.000 მანეთს, საბჭ. სოც. რესპ. კავშირის შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და ა/კ. შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ნებართვით კუთვნილებისამებრ, გასცეს ხელშეკრულების ფასის 25%-ზე მეტი ავანსი ისე, რომ ავანსის ის თანხა, რაც აღემატება 25%-ს, საწინდრით არ იყოს უზრუნველყოფილი.

კარი III.

**ნარდად მუშაობისა და გაყიდვა-მიწოდების ხელშეკრულებით შესრულებული საქმის ჩაბარების წესი.**

12. სახელმწიფო დაწესებულებამ და საწარმომ, რომელსაც იგი ჩაიბარებს ნარდად მუშაობის (გაყიდვა-მიწოდების) ხელშეკრულებით შესრულებულ საქმეს, უნდა შეადგინოს ჩაბარების დაწვრილებითი აქტი. ამ აქტის თარიღად დაიწერება ჩაბარების დამთავრების (ხელშეკრულების შესრულების) დღე; ამ აქტის ასლი დაუყოვნებლივ გადაეცემა სამუშაოს ნარდად ამღებს (გამყიდველ-მიმწოდებელს).

კარი IV.

**სამუშაოს ნარდად ამღების (გამყიდველ-მიმწოდებლის) მიერ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა.**

13. ნარდად მუშაობის და გაყიდვა-მიწოდების უზრუნველსაყოფად სამუშაოს ნარდათ ამღებმა და გამყიდველ-მიმწოდებელმა უნდა შეიტანოს საწინ-

*Примечание.* От предоставления залога могут быть освобождены, за исключением случая, предусмотренного примечанием к ст. 11, государственные учреждения или предприятия, смешанные акционерные общества, а также республиканские и областные кооперативные об'единения, вступающие в качестве подрядчиков (поставщиков).

14. Претензии государства, вытекающие из договора, удовлетворяются из имущества подрядчика (поставщика) преимущественно перед всеми долгами его, за исключением недоимок по государственным налогам и сборам и задолженности по заработной плате рабочим и служащим, по социальному страхованию и алиментам.

15. В договор государственного подряда (поставки), под страхом недействительности его, должно включаться условие о неустойке как на случай просрочки, так и на случай неисполнения договора подрядчиком (поставщиком). Размер неустойки за неисполнение договора не может быть ниже десяти процентов суммы договора.

II.

Ввести в Гражданский Кодекс новые статьи: примечание к 55 ст., 2-е примечание к 60 ст., 1 и 2 примечание к 90 ст., примечание к 153 ст., ст.ст. $182^1$—$182^3$, ст.ст. $205^1$—$205^8$, 1 и 2 примечание к 265 ст., 2 примечание к 324 ст., примечание к 327 ст. и $375^1$—$375^6$ ст.ст.

Ст. 55.

*Примечание.* Всякая передача концессионером об'екта концессии третьему лицу, как полностью, так и частично, может быть производима не иначе, как с безусловным соблюдением порядка, установленного для первоначального предоставления данной концессии. Самовольная передача концессии недействительна, не сообщает каких либо прав третьему лицу и влечет за собой досрочное прекращение

დარი ხელშეკრულების ფასის არა ნაკლებ 10%-ის რაოდენობისა. საწინდარი შეიძლება წარადგინოს როგორც ნარდად მუშაობისა და გაყიდვა-მიწოდების ხელშეკრულების კონტრაგენტმა, ისე სხვა პირმაც.

**შენიშვნა.** საწინდრის შეტანისაგან, გარდა 11 მუხლის შენიშვნაში გათვალისწინებული შემთხვევისა, შეიძლება განთავისუფლებულ იქნეს სამუშაოს ნარდად ამღების (გამყიდველ-მიმწოდებლის) სახით გამოსული სახელმწიფო დაწესებულება და საწარმო, შერეული სააქციო საზოგადოება და აგრეთვე რესპუბლიკის და ოლქის მაშტაბით მომქმედი კოოპერატიული შენაერთი.

მუხ 2. სპეციალური კატეგორიის საქმეების განსახილველად, მათი განსაკუთრებული ხასიათის და განხილვისათვის სპეციალური ცოდნისა და გამოცდილების საჭიროების გამო, და აგრეთვე იმის გამო, რომ დანაშაულებრივ ქმედობათა ზოგიერთი კატეგორია განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს რესპუბლიკის სამხედრო ძლიერებისათვის ან მეურნეობის წარმატებისათვის, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო სასამართლოს ერთიან სისტემასთან ერთად, დროებით მოქმედობს შემდეგი სპეციალური სასამართლოები: ა) სამხედრო და სხვა ისეთი დანაშაულის საქმეებისათვის, რაც წითელი არმიის სიმტკიცეს და ძლიერებას საფრთხეს უქადებს — სამხედრო ტრიბუნალი, ბ) ისეთი დანაშაულის საქმეებისათვის, რაც შრომის კანონთა კოდექსის დარღვევას ეხება, — სახალხო სასამართლოების შრომის საქმეთა განსაკუთრებული სესიები და გ) სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა შორის ქონებრივი დავის საქმეებისათვის — უმაღლესი საარბიტრაჟო კომისია საქართველოს

на входящих в те или иные отделения, как равно возбуждение ходатайства пред НКЮ об увеличении общего количества членов Обсуда для обслуживания нужд области, б) разрешение вопросов, подлежащих ведению Председателя Обсуда, если он признает необходимым внести их на рассмотрение Президиума, в) предварительный просмотр материалов и обсуждение вопросов, подлежащих внесению в Пленум Обсуда и подготовка материалов, касающихся дисциплинарной ответственности Нарсудей, Нарследователей и других судебных работников, г) наблюдение за деятельностью Коллегии Защитников.

*Примечание.* Вопросы, связанные с отменой и пересмотром судебных решений и приговоров или вопросы, по которым имеется протест Прокурора, вносятся непосредственно в Пленум и предварительному рассмотрению в Президиуме не подлежат.

Ст. 86.

*Примечание.* Права Народного Комиссара Юстиции и Прокуратуры ССРГ в отношении организации Военной Прокуратуры Грузинских Дивизий, а также взаимоотношения Прокуратуры ССР Грузии и Военной Прокуратуры Груздивизий означены в 131 ст. Положения о Судоустройстве.

Ст. 101. Председатель, его Заместитель и председатели Коллегий Верховного Суда назначаются Президиумом Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета непосредственно, прочие же члены Верховного Суда по представлению НКЮ.

*Примечание.* В состав Верховного Суда входят два члена от Автономной Области Юго-Осетии, избранные ЦИК'ом Автономной Области Юго-Осетии и утверждаемые Президиумом Всегрузинского ЦИК'а. Члены Верховного Суда от Автономной Области Юго-Осетии принимают

სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოსთან.

ამ სასამართლოების ორგანიზაციისა და მოქმედების წესი განსაზღვრულია ამა დებულების V კარის XVII თავში.

მუხ. 73¹. ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმს ეკისრება: ა) ოლქის სასამართლოს წევრების განაწილება თანაგანყოფილებებში; ცალკე საქმეებისათვის განსაკუთრებულ შემადგენლობის მოწყობა სასამართლოს იმ წევრთაგან, რომელნიც არც ერთ თანაგანყოფილებაში არ შედიან; აგრეთვე შუამდგომლობის აღძვრა იუსტიციის სახალხო კომისარიატის წინაშე ოლქის სასამართლოს წევრთა საერთო რიცხვის გადიდების შესახებ ოლქის საჭიროებისათვის, ბ) იმ საკითხების გადაწყვეტა, რაც ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის გამგებლობაშია, უკეთუ იგი საჭიროდ სცნობს ამ საკითხის პრეზიდიუმში შეტანას განსახილველად, გ) წინასწარი გადათვალიერება მასალებისა და განხილვა იმ საკითხებისა, რაც შეტანილ უნდა იქნეს ოლქის სასამართლოს პლენუმში, და დამზადება იმ მასალისა, რომელიც შეეხება სახალხო სასამართლოსა. სახალხო გამომძიებლისა და სხვა სასამართლოს მომუშავის სადისციპლინო წესით პასუხისმგებლობას, დ) მეთვალყურეობა დამცველთა კოლეგიის მოქმედებისათვის.

**შენიშვნა** ის საკითხი, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს გადაწყვეტილების და განაჩენის გაუქმებასა და გადასინჯვასთან ან და ის საკითხი, რომლის შესახებ არის პროკურორის პროტესტი, შეიტანება მხოლოდ პლენუმში და არც სწორ არ განიხილება პრეზიდიუმში.

მუხ. 86

**შენიშვნა.** საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარის და პროკურატურის უფლება ქართული დივიზიის სამხედრო პროკურატურის ორგანიზაციის საქმეში, აგრეთვე ურთიერთ დამოკიდებულებისა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის პროკურატურის და ქართული დივიზიების სამხედრო პროკურატურის შორის აღნიშნულია სასამართლოს წყობილების დებულების 131 მუხლში.

მუხ. 101. უზენაესი სასამართლოს

участие при рассмотрении в кассационной коллегии дел по жалобам и протестам на приговоры и решения Главного Суда Автономной Области Юго-Осетии, а также обязательно в Пленуме по делам, рассмотренным судебными учреждениями Юго-Осетии, по вопросам, возникающим в судебной практике этих учреждений и, по делам, рассматриваемым в Пленуме в порядке 447 ст. Угол Процесс. Кодекса.

Ст. 127 Постановление Дисциплинарной Коллегии Обсуда может быть обжаловано в 7 дневный срок в Верховный Суд. Обжалование постановлений Дисциплинарной Коллегии Верховного Суда не допускается.

*Примечание.* Постановление, вынесенное Дисциплинарной Коллегией Обсуда в качестве второй инстанции по делам о членах Коллегии Защитников (п. „б" 44 ст.) является окончательным и дальнейшему обжалованию не подлежит.

Ст. 131. Права Народного Комиссара Юстиции и Прокуратуры ССРГ в отношении Военных Трибуналов, действующих в пределах ССРГ, их личного состава (председателей и членов) и Прокуратуры их определяются положением о Верховном Суде Союза ССР. Взаимоотношение Военной Прокуратуры и Прокуратуры ССРГ, а равно взаимоотношения между Прокуратурой ССРГ и Военными Трибуналами определяются положением о Верховном Суде Союза ССР и особым положением о Военных Трибуналах и Военной Прокуратуре.

Ст. 133. В каждом военном округе, фронте, армии, флоте, корпусе и ином войсковом об'единении, при котором имеется Военный Трибунал, состоит Военный Прокурор и при нем в числе определенном штатами его помощники, непосредственно ему подчиненные. Военные Прокуроры непосредственно подчиняются Помощнику Прокурора Верховного Суда СССР по Военной Прокуратуре. Военные Прокуроры назначаются,

თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და კოლეგიათა თავმჯდომარეებს დანიშნავს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი უშუალოდ, ხოლო დანარჩენ წევრებს — იუსტიციის სახალხო კომისარის წარდგენისამებრ.

**შენიშვნა.** უზენაესი სასამართლოს შედგენილობაში შედის ორი წევრი სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქიდან, რომელთაც აირჩევს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და დაამტკიცებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქიდან არჩეული უზენაესი სასამართლოს წევრები მონაწილეობას მიიღებენ საკასაციო კოლეგიის მიერ იმ საქმეების გადაწყვეტაში, რაც აღიძვრება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთავარ სასამართლოს განაჩენზე და გადაწყვეტილებაზე საჩივრის შემოსვლის ან მათ შესახებ პროტესტის შეტანის გამო; პლენუმში მათი დასწრება სავალდებულოა აგრეთვე იმ საქმეების გამო, რომელნიც განხილულ იქნა სამხრეთ-ოსეთის სასამართლო დაწესებულებათა მიერ, იმ საკითხების გამო, რომლებიც წარმოიშვა ამ დაწესებულებათა სასამართლო პრაქტიკაში და ისეთი საქმის გამო, რომლებიც პლენუმში შედის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 447 მუხლისამებრ.

მუხ 127. ოლქის სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის დადგენილება შვიდი დღის ვადაზე შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს უზენაეს სასამართლოში. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის დადგენილების გასაჩივრება არ შეიძლება.

**შენიშვნა.** ოლქის სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის, როგორც მეორე ინსტანციის, დადგენილება დამცველთა კოლეგიის წევრთა საქმეების გამო (44 მუხ. „ბ" პუნქ.) არის საბოლოო და ისი შემდეგში განსაჩივრება არ შეიძლება.

მუხ. 131. საქართველოს სოც. საბჭ.

увольняются и перемещаются Прокурором Верховного Суда СССР по представлениям Прокурора ССРГ (ст. 23 Положения о Верховном Суде СССР).

Ст. 134. Председатели Военных Трибуналов и Военные Прокуроры имеют право возбуждения дисциплинарного исследования против всех лиц, работающих в подведомственных им учреждениях.

Ст. 140. Образуемая для разрешения споров между государственными учреждениями и предприятиями Высшая Арбитражная Комиссия при Экономическом Совете ССРГ действует на основании особого положения. Высшая Арбитражная Комиссия при Экономическом Совете ССРГ в порядке надзора подчиняется Народному Комиссариату Юстиции и его органам, Верховному Суду и Прокурору Республики. В своей деятельности Арбитражная Комиссия руководствуется общими началами Советской хозяйственной политики, Союзным законодательством и законодательством ССРГ.

IV.

Исключить из Положения о Судоустройстве примечание к 41 статье.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. октября 30.
Тифлис—Дворец.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისრის და პროკურატურის უფლება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში მომქმედი სამხედრო ტრიბუნალებისა, მათი პირადი შედგენილობისა (თავმჯდომარეების და წევრებისა) და მათი პროკურატურის მიმართ განისაზღვრება ს. ს. რ. კავშირის უზენაესი სასამართლოს დებულებით. სამხედრო პროკურატურისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის პროკურატურის ურთიერთ შორის დამოკიდებულება, აგრეთვე დამოკიდებულება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის პროკურატურისა და სამხედრო ტრიბუნალებს შორის განისაზღვრება ს. ს. რ. კავშირის უზენაესი სასამართლოს დებულებით და სამხედრო ტრიბუნალებისა და სამხედრო პროკურატურის განსაკუთრებული დებულებით.

მუხ. 133. ყოველ სამხედრო ოლქს, ფრონტს, არმიას, ფლოტს, კორპუსს ან ჯარის სხვა შენაერთს, რომელთანაც კი არსებობს სამხედრო ტრიბუნალი, ჰყავს სამხედრო პროკურორი და მასთან იმყოფებიან შტატით განსაზღვრული რიცხვის მისი თანაშემწეები, რომელნიც უშუალოდ ემორჩილებიან მას. სამხედრო პროკურორი უშუალოდ ემორჩილება ს. ს. რ. კავშირის უზენაესი სასამართლოს პროკურორის თანაშემწეს სამხედრო პროკურატურის საქმეთა სფეროში. სამხედრო პროკურორს დანიშნავს, დაითხოვს და გადაიყვანს ს. ს. რ. კავშირის უზენაესი სასამართლოს პროკურორი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის პროკურორის წარდგენით (ს. ს. რ. კავშირის უზენაესი სასამართლოს დებულ. 23 მუხლი).

მუხ. 134. სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარეს და სამხედრო პროკურორს აქვთ სადისციპლინო წესით დევნის აღძვრის უფლება მათ ქვემდებარე დაწესებულებებში მომუშავე ყველა პირის წინააღმდეგ.

მუხ. 140. სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა შორის ქონებრივი დავის საქმეებისათვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოსთან არსებული უმაღლესი საარბიტრაჟო კომისია მოქმედობს თანახმად განსაკუთრებული დებულებისა. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოსთან არსებული უმაღლესი საარბიტრატო კო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მისია ზედამხედველობის წესით ექვემდებარება იუსტიციის სახალხო კომისარიატს და მის ორგანოებს—უზენაეს სასამართლოს და რესპუბლიკის პროკურორს. თავის მოქმედებაში საარბიტრაჟო კომისია იხელმძღვანელებს საბჭოთა სამეურნეო პოლიტიკის ზოგად პრინციპებს, საკავშირო კანონმდებლობას და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კანონმდებლობას.

IV.

სასამართლოს წყობილების დებულებიდან ამოშლილ იქნეს 41 მუხლის შენიშვნა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. **მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. ოქტომბრის 30.
ტფილისი—სასახლე.

## 80. დადგენილება № 57

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**განათლების სახალხო კომისარიატისათვის კინო-სურათების გაქირავების მონოპოლიის მინიჭების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში კინო სურათების გაქირავების სამონოპოლიო უფლება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს.

2. ყველა მოქმედი კერძო საზოგადოებრივი და სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც კი კინო-სურათების გაქირავებას აწარმოებს, დახურულ უნდა იქნეს ორი კვირის ვადაზე დღიდან განათლების სახალხო კომისარიატის ინსტრუქციის გამოქვეყნებისა მათი დახურვის წესის შესახებ.

3. ნება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს თავისი სამონოპოლიო უფლება განახორციელოს სხვა ორგანი-

## 80. Постановление № 57

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**О предоставлении Народному Комиссариату Просвещения монополии по сдаче на прокат кино-картин.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

1. Монопольное право сдачи на прокат кино-картин в пределах С.С.Р. Грузии предоставить Народному Комиссариату Просвещения.

2. Все функционирующие частные, общественные и государственные организации по сдаче на прокат кинокартин подлежат закрытию в двухнедельный срок со дня опубликования Инструкции Народного Комиссариата Просвещения о порядке их закрытия.

3. Предоставить Народному Комиссариату Просвещения осуществлять монопольное его право через другие организации или учреждения на определенных условиях.

ზაციისა და დაწესებულების შეშვეობით განსაზღვრული პირობებისამებრ.

4. დაევალოს განათლების სახალხო კომისარიატს გამოსცეს ინსტრუქცია კინო-სურათების გამქირავებელი ყველა ორგანიზაციის ლიკვიდაციის შესახებ თანახმად არსებული კანონებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1925 წ. ნოემბრის 3.

ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-257 №-ში 1925 წ. ნოემბრის 7.

4. Народному Комиссариату Просвещения издать Инструкцию о порядке закрытия всех существующих организаций по сдаче на прокат кино-картин с соблюдением существующих законов.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. ноября 3.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газ. „Коммунист" № 257 от 7 ноября 1925 г.

---

## 81. დადგენილება № 58

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**იმ სახალხო მსაჯულთა განსაკუთრებული სიის შესახებ, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიიღონ რთულ სამეურნეო საქმეთა განხილვაში.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დროებით, სახალხო მსაჯულთა სიების შესადგენად არსებული წესის გარეშე, შედგენილ იქნეს დამატებითი განსაკუთრებული სია, იმ სახალხო მსაჯულთა, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ოლქის სასამართლოში რთულ სამეურნეო საქმეთა გადაწყვეტის დროს. სია ქ. ტფილისისათვის შესდგება 20 კაცისაგან, ხოლო ქუთაისისათვის — 15 კაცისაგან; ეს სახალხო მსაჯულნი არჩეულ უნდა იქნენ სახელმწიფო სამეურნეო საწარმოთა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეთაგან.

2. სახალხო მსაჯულთა სიების შედგენა დაევალოს კომისიას, რომელშიაც შედიან ქალ. ტფილისში — მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარი, იუსტიციის სახალხო კომისარი და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარმომადგენელი; ხოლო ქ. ქუ-

## 81. Постановление № 58

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**Об особом списке народных заседателей для участия при рассмотрении сложных хозяйственных дел.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

1. Временно, в отступление существующих правил составления списков народных заседателей, для участия в Областных Судах в качестве народных заседателей при рассмотрении сложных хозяйственных дел составить особые дополнительные списки народных заседателей, в гор. Тифлисе в числе 20 человек и в гор. Кутаисе в числе 15 человек из числа рабочих и служащих в государственных хозяйственных предприятиях и учреждениях.

2. Составление списка народных заседателей возложить на Комиссии в гор. Тифлисе в составе: Народного Комиссара Рабоче-Крестьянской Инспекции, Народного Комиссара Юстиции и представителя Совета Профессиональных Союзов Грузии, в гор. Кутаисе в составе: Председателя Уисполкома, Прокурора Областного Суда

თაისში — აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს პროკურორი და პროფესიონალური კავშირთა სამაზრო ბიუროს წარმომადგენელი.

3. აღნიშნული სიები სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცების შემდეგ გაეგზავნოს სათანადო ოლქის სასამართლოს.

4. ამა თუ იმ საქმის მეურნეობრივად რთულ საქმედ ცნობის საკითხი, რის გამოც იგი განხილულ უნდა იქნეს განსაკუთრებულ დამატებით სიაში აღნიშნულ სახალხო მსაჯულთა შედგენილ სასამართლოში, გადაწყდება სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე.

5. განსაკუთრებულ სიაში აღნიშნული სახალხო მსაჯულის დანიშვნა სასამართლო სხდომაში მონაწილეობის მისაღებად მოხდება იმ საერთო წესით, რაც სახალხო მსაჯულთათვის არის დადგენილი.

6. სიების შედგენა დაწყებულ იქნეს დაუყოვნებლივ და დამთავრდეს ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. ნოემბრის 3.
ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-263 №-ში 1925 წ. ნოემბრის 15.

Западной Грузии и представителя от Уездпрофбюро.

3. Означенные списки по утверждении их Президиумом Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета препроводить в подлежащие Областные Суды.

4. Вопрос о признании дела хозяйственно-сложным, требующим рассмотрения в составе суда с участием народных заседателей из особого дополнительного списка, разрешается в распорядительном заседании суда.

5. Народные заседатели особого списка назначаются для участия в судебном заседании в общем порядке, установленном для народных заседателей.

6. К составлению списков приступить немедленно и закончить в 2-х недельный срок со дня опубликования настоящего постановления.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. ноября 3.
Тиф ис—Дворец.

Распубликовано в газ. „Коммунист" № 263 от 15 ноября 1925 г.

## 82. დადგენილება № 59

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი**

**მიწის კოდექსის მე-9, 23, 26 და 37 მუხლის შეცვლისა და დამატების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრუ-

## 82. Постановление № 59

**Президиума Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов и Совета Народных Комиссаров С. С. Р. Грузии**

**Об изменении и дополнении 9, 23, 26 и 37 статей Земельного Кодекса.**

На основании 2-ой статьи постановления 2-й Сессии II Созыва Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов от 1 -го

ლებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10 თარიღისა და 77 ნომრის დადგენილების მე 2 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მიწის კოდექსის მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შენიშვნა:

„ყოფილ მემამულეს არა აქვს უფლება მიიღოს მიწა იმ მაზრაში, სადაც მამული ჰქონდა“.

2. 23 მუხლის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

„ყველა ნაგებობა, შენობა, ნათესი, მცენარე და საერთოდ ყველაფერი, რაც დაკავშირებულია მიწის ნაკვეთთან და რაც მიწის მოსარგებლის სარგებლობაშია, ეკუთვნის მას, გარდა მემამულის სამოსახლო ადგილისა და ინვენტარისა, რაც ჩამორთმეულ იყო ნაციონალიზაციით და ითვლება სახელმწიფო საკუთრებად“.

3. 26 მუხლს დაემატოს შემდეგი: „მიწის იჯარით გაცემის უფლება ყოფილ მემამულეზე არ გავრცელდება“.

4. 37 მუხლს დაემატოს შემდეგი შენიშვნა:

„მუდმივი დაქირავებული შრომის გამოყენება არ შეუძლიათ ყოფილ მემამულეს, გარდა იმისა, ვისაც შრომის უნარი დაეკარგა“.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სრ. საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1925 წ. ნოემბრის 3.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე 263 №-ში 1925 წ. ნოემბრის 15.

марта 1924 г. за № 77, Президиум Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов и Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляют:

1. 9 ую статью Земельного Кодекса дополнить следующим примечанием:

Бывшие помещики не имеют права получать земли в пределах того уезда, где находятся их бывшие имения".

2. Редакцию статьи 23-ой изложить в следующем виде:

„Все сооружения, постройки, посевы и растения и, вообще, все, соединенное с участком земли, находящимся в пользовании землепользователя, принадлежит ему, за исключением национализированных помещичьих усадеб и инвентаря, которые считаются государственной собственностью".

3. К статье 26-ой сделать следующее добавление: „право на сдачу земли в аренду не распространяется на бывших помещиков".

4. Статью 37-ю дополнить следующим примечанием:

„Постоянным наемным трудом не могут пользоваться бывшие помещики, за исключением потерявших трудоспособность".

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Председатель Совета Нар Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *Ш. Элиава.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. ноября 3.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газ „Коммунист" № 263 от 15 ноября 1925 г.

## 83. დადგენილება № 60

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**პატიმართა და საპატიმრო ადგილებიდან განთავისუფლებულთა დამხმარე კომიტეტის დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება პატიმართა და საპატიმრო ადგილებიდან განთავისუფლებულთა დამხმარე კომიტეტისა.

2. კომიტეტის ფუნქციების განხორციელებისათვის კომიტეტის თავმჯდომარეს დაევალოს კომიტეტის დამფუძნებელ წევრთა საერთო კრების მოწვევა კომიტეტის საერთო კრების მოწვევის დროს დასანიშნავად.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. ნოემბრის 3.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-6 №-ში 1926 წ. იანვრის 9.

## დებულება

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საპატიმრო ადგილებში მყოფ პატიმართა და ამ საპატიმრო ადგილებიდან განთავისუფლებულთა დამხმარე კომიტეტისა.**

### I. ზოგადი დებულებანი.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოსთან არსებულ დამხმარე კომიტეტს მიზნად აქვს: ა) მატერიალური და მორალური დახმარება აღმოუჩინოს პატიმართ და საპატიმრო

## 83. Постановление № 60

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**О введении в действие Положения о Комитете помощи содержащимся в местах заключения ССР Грузии и освобожденным из них.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

1. Утвердить и ввести в действие прилагаемое при сем Положение о Комитете помощи содержащимся в местах заключения ССР Грузии и освобожденным из них.

2. Для осуществления функций Комитета председателю Комитета созвать собрание членов учредителей для назначения времени созыва Общего Собрания Комитета.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. ноября 3.
Тифлис — Дворец.

Распубликовано в газ. „Коммунист" № 6 от 9 января 1926 г.

## ПОЛОЖЕНИЕ

**о Комитете помощи содержащимся в местах заключения ССР Грузии и освобожденным из них.**

### *I. Общие положения.*

1. Комитет помощи, существующий при Главном Управлении Местами Заключения Наркомвнудела ССР Грузии, имеет своей задачей:

а) оказание помощи, как материальной, так и моральной заключенным и освобожденным из мест заключения, с целью содействовать им стать на правильный и трудовой путь и б) оказание помощи семьям неимущих заключенных.

Комитет помощи организуется пу-

ადგილიდან განთავისუფლებულთ, რათა ისინი დაადგნენ სწორე და შრომის გზას, და ბ) დახმარება აღმოუჩინოს ხელმოკლე პატიმრის ოჯახს.

დამხმარე კომიტეტი მოეწყობა სახელმწიფო, პროფესიონალურ, კოოპერატიულ და პოლიტიკურ დაწესებულ ბათა და ცალკე მოღვაწეთა გაერთიანებით.

2. პატიმართა დამხმარე კომიტეტის საზრუნავია: ა) პატიმარი, ბ) საპატიმრო ადგილიდან თავისუფლების აღკვეთის ვადის გასვლის შემდეგ განთავისუფლებული, გ) ვადამდე პირობით განთავისუფლებული, (დ) წინასწარ დაპატიმრების წესით დაპატიმრებული ან სისხლის სამართლის საქმის მოსპობის გამო თუ გამართლების გამო განთავისუფლებული ხელმოკლე პირი და ე) ხელმოკლე პატიმრის ოჯახი.

3. დამხმარე კომიტეტი ზრუნავს ზემოაღნიშნულ პირთა შორის იმაზე, ვინც ამის თანხმობას განაცხადებს.

4. პირველ §-ში აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად დამხმარე კომიტეტი:

ა) დაარსებს ფულად და მატერიალურ ფონდს;

ბ) დახმარებას გაუწევს სამუშაოს ან სამსახურის შოვნისათვის და სამშობლოში ან სამსახურის (სამუშაოს) ადგილას წასვლისათვის;

გ) გახსნის საერთო საცხოვრებლებს, სასადილოებს და სახელოსნო საწარმოო დაწესებულებებს;

დ) გააერთიანებს განთავისუფლებულებს არტელის, კოოპერატივის და სხვ. სახით;

ე) ხელს შეუწყობს მუშებს შეღავათიანი პირობით შეიძინონ იარაღი და საოჯახო საგნები;

ვ) დააარსებს პროფესიონალურ და საერთო განათლების სკოლებს და კურსებს;

ზ) გაუწევს სამკურნალო და იურიდიულ დახმარებას;

თ) მოაწყობს ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს, კლუბებს, გამართავს გამოფენებს, ლექციებს, წარმოდგენებს, კონცერტებს და სხვ;

ი) მოიწვევს კონფერენციებს და ყრილობებს და გამოსცემს ნაშრომებს და ჟურნალებს თავისი მოქმედების სფეროში;

კ) შეიძენს, გაასხვისებს და იჯარით

тем об'единения государственных, профессиональных, кооперативных и политических учреждений и отдельных деятелей.

2. Под попечением Комитета помощи заключенным находятся:

а) содержащиеся в местах заключения, б) лица, освобожденные из мест заключения по отбытии срока лишения свободы, в) досрочно условно освобожденные, г) неимущие лица, находящиеся в предварительном заключении и освобожденные вследствие прекращения возбужденного против них уголовного дела или же вследствие оправдания их по Суду и д) семьи неимущих заключенных.

3. Под попечение Комитета помощи поступают те из указанных выше лиц, которые из'явят на то свое согласие.

4. Для осуществления указанных в § 1 целей Комитет помощи:

а) образует денежный и материальный фонд;

б) оказывает помощь в приискании работы или службы и для поездки на родину или на место службы (работы);

в) устраивает общежитие, столовые и ремесленно-производственные предприятия;

г) об'единяет освобожденных в артели, кооперативы и т. п.;

д) содействует обзаведению на льготных условиях рабочими инструментами и предметами домашнего обихода;

е) учреждает профессиональные и общеобразовательные школы и курсы;

ж) оказывает медицинскую и юридическую помощь;

з) устраивает библиотеки, читальни, клубы, выставки, лекции, спектакли, концерты и т. п.;

и) созывает конференции и с'езды и издает труды и журналы по вопросам своей деятельности;

к) приобретает, отчуждает, арендует необходимое для него имущество и заключает сделки и договоры, отвечающие задачам Комитета.

*Примечание.* Поименованные в § 4 полномочия Комитет осуществляет в пределах существу-

იღებს საჭირო ქონებას და დასდებს გარიგებას და ხელშეკრულებას, რაც შეესაბამება კომიტეტის მიზნებს.

**შენიშვნა.** მე-4 §-ში აღნიშნულ უფლებამოსილებას კომიტეტი განახორციელებს არსებულ კანონთა თანახმად და ამ კანონთა მიერ განსაზღვრულ ფარგალში.

**5.** კომიტეტს აქვს ბეჭედი სახელმწიფო ღერბით და წარწერით: „საქართველოს სოციალ. საბჭ. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების მთავარ სამართველოსთან არსებული პატიმართა და საპატიმრო ადგილებიდან განთავისუფლებულთა დამხმარე კომიტეტი“

**6.** კომიტეტის წევრს ეძლევა კომიტეტის წევრობის მოწმობა.

**7.** კომიტეტი იმყოფება ქ. ტფილისში. მას შეუძლიან რესპუბლიკის სხვა ქალაქში სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან გახსნას თავისი განყოფილება, რომელიც იმოქმედებს კომიტეტის საერთო კრების მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული დებულებისამებრ. კომიტეტის სამაზრო განყოფილება მოეწყობა კომიტეტის დაგვარად; ამასთანავე განყოფილებათა დებულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამა დებულებას.

### II. კომიტეტის შედგენილობა.

**8.** კომიტეტი შესდგება: ნამდვილი წევრებისაგან და წევრ-თანამშრომელთაგან.

**9.** ნამდვილ წევრად ჩაითვლება: ა) კომიტეტის დამფუძნებელი წევრი, ბ) იურიდიული პირის მიერ წარმოგზავნილი დელეგატი (§ 1) — თვითეულ იურიდიულ პირზე თითო, და გ) კერძო მოქალაქე, რომელსაც კომიტეტის საერთო კრება, თავისი გამგეობის წინადადებისამებრ, წევრად აირჩევს.

**შენიშვნა.** დამფუძნებელ წევრად ჩაითვლება: სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარგზავნილი წარმომადგენელი, საპატიმრო ადგილების მთავარი სამართველოს უფროსი და დაწესებულების მიერ წარგზავნილი წარმომადგენელი.

**10.** თანამშრომელ-წევრად შეიძლება იყოს ის პირი, რომელსაც სურს ხელი შეუწყოს კომიტეტის მუშაობას. მას ჩაირიცხავს კომიტეტის გამგეობა.

ющих узаконений и на их основаниях.

5. У Комитета имеется печать с Государственным Гербом и с надписью: «Комитет Помощи заключенным и освобожденным из мест заключения при Главном Управлении Местами Заключения Наркомвнудела ССРГ».

6. Членам Комитета выдаются свидетельства о том, что они состоят членами Комитета.

7. Комитет находится в гор. Тифлисе. В других городах Республики он может иметь при Уисполкомах свои Отделения, действующие по особому положению, утвержденному Общим Собранием Комитета. Уездные Отделения Комитета помощи организуются аналогично Комитету и положение о них не должно противоречить настоящему Положению.

### *II. Состав комитета.*

8. Комитет состоит из членов: действительных и сотрудников.

9. Действительными членами Комитета являются: а) члены-учредители Комитета, б) делегируемые представители юридических лиц (§ 1), по одному на каждое, и в) принятые в число таковых на общих собраниях Комитета по предложению его Правления отдельные граждане.

*Примечание.* Членами-учредителями являются делегируемый Всегрузинским ЦИК'ом его представитель, Начальник Главного Управления местами заключения и делегированные представители учреждений (§ 1).

10. Членами-сотрудниками могут быть лица, желающие оказывать Комитету содействие в его работах, по зачислении их в таковые Правлением Комитета.

В собраниях Комитета они пользуются правом совещательного голоса и не могут быть избираемы в состав должностных лиц.

11. Списки членов Комитета в установленном порядке представляются в надлежащий орган ежегодно.

12. Выбытие из членов Комитета может иметь место либо по личному

კომიტეტის კრებაზე წევრს-თანამშრომელს აქვს სათათბირო ხმის უფლება. იგი არ შეიძლება არჩეულ იქნეს რაიმე თანამდებობაზე.

11. კომიტეტის წევრთა სია დადგენილი წესით ყოველ წელს წარედგინება სათანადო ორგანოს.

12. წევრთა რიცხვიდან გასვლა შეიძლება როგორც წევრობისათვის თავის დამნებებელის პირადი განცხადებებით, ისე კომიტეტის დამსწრე წევრთა $^2/_3$ დადგენილებით; ამასთანავე უკანასკნელ შემთხვევაში წევრთაგან გამორიცხვა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ წევრი თავისი საქციელით სახელს გაუტეხს კომიტეტს ან ჩაიდენს სისხლის სამართლით სადევნელ ქმედობას.

### III. კომიტეტის სახსარი.

13. კომიტეტის სახსარი შესდგება:

ა) საპატიმრო ადგილების საწარმოთა შემოსავლის პროცენტული ანარიცხისაგან;

ბ) სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა სუბსიდიისაგან;

გ) კერძო მოქალაქეთა შემოწირულებისა და ანარიცხისაგან;

დ) კომიტეტის საწარმოთა, დაწესებულებათა და სპეციალურ ღონისძიებათა შემოსავლისაგან.

### კომიტეტის მართველობის ორგანოები.

14. კომიტეტის მართველობის ორგანო არის:

ა) კომიტეტის წევრთა საერთო კრება,

ბ) კომიტეტის გამგეობა,

გ) სარევიზიო კომისია.

### კომიტეტის კრება.

15. კომიტეტის საერთო კრებას მოიწვევს კომიტეტის გამგეობა უწყებების დაგზავნით ან განცხადებებით. საერთო კრება შემდგარად ჩაითვლება, უკეთუ იქნება კომიტეტის გამგეობის მიერ დაწესებული კვორუმი, რაც აღნიშნულ უნდა იქნეს მოსაწვევ უწყებაში.

16. საერთო კრება მოწვეულ უნდა იქნეს წელიწადში ერთხელ მაინც. იგი მოიწვევა აგრეთვე სარევიზიო კომისიის დადგენილებით ან ნამდვილ წევრთა მოთხოვნით, რომლის რიცხვიც 10 ნაკლები არ უნდა იყოს. ამ შემთხვევაში

заявлению выбывающего, либо по постановлению $^2/_3$ всего наличного числа членов Комитета, причем исключение в последнем случае допускается только при условии совершения исключаемым порочащих Комитет поступков или преследуемых в порядке уголовном деяний.

### *III. Средства Комитета.*

13. Средства Комитета составляются из:

а) %-ных отчислений от чистой прибыли предприятий мест заключения;

б) субсидий правительственных и общественных учреждений;

в) пожертвований и отчислений отдельных граждан;

г) доходов от своих предприятий, учреждений и специальных мероприятий.

### *IV. Органы управления Комитета.*

14. Органами управления Комитета являются:

а) общие собрания членов Комитета,

б) Правление Комитета,

в) Ревизионная Комиссия.

### *V. Собрания Комитета.*

15. Общее собрание Комитета созывается Правлением Комитета повестками или об'явлениями и считается состоявшимся при наличии кворума, устанавливаемого Правлением Комитета, о чем сообщается в повестках о собрании.

16. Общее собрание созывается не менее одного раза в год, а также по постановлениям Ревизионной Комиссии или по заявлению не менее как 10 действительных членов Комитета, причем Правление обязано в таком случае созвать собрание в двухнедельный срок.

17. Все дела решаются открытым голосованием простым большинством присутствующих членов Комитета, кроме вопросов об исключении членов Комитета и его закрытии, для положительного решения которых требуется большинство не менее $^2/_3$

გამგეობა ვალდებულია მოიწვიოს საერთო კრება ორი კვირის განმავლობაში.

17. ყველა საქმე გადაწყდება ახდილი ხმის მიცემით და დამსწრე წევრთა ხმების მარტივი უმეტესობით, გარდა კომიტეტის წევრის გამორიცხვისა და კომიტეტის დახურვის საკითხისა, რის გადასაწყვეტად საჭიროა დამსწრე წევრთა ხმების არა ნაკლებ $2/3$-ისა. ხმის უფლების გადაცემა არ შეიძლება. თუ ხმები თანასწორად გაიყო, საკითხი უარყოფილად ჩაითვლება.

18. საერთო კრება:

ა) აირჩევს კომიტეტის გამგეობის წევრთ, სხვა თანამდებობის პირებს და სარევიზიო კომისიის წევრთ;

ბ) დაამტკიცებს ინსტრუქციას კომიტეტის სარევიზიო კომისიისა, თანამდებობის პირთა და სხვა ორგანოთათვის;

გ) განიხილავს და დაამტკიცებს გამგეობის მიერ შეტანილ პროექტებს;

დ) გახსნის და დახურავს კომიტეტის განყოფილებას და სხვა ორგანიზაციას და დაამტკიცებს კომიტეტის სამაზრო განყოფილებათა დებულებას;

ე) მიიღებს ნამდვილ წევრად სხვა და სხვა პირს და გამორიცხავს კომიტეტის წევრებს;

ვ) განიხილავს და დაამტკიცებს სარევიზიო კომისიის დასკვნას, გამგეობის ანგარიშს კომიტეტის მოქმედების შესახებ, მომავალი მუშაობის პროექტს და ხარჯთაღრიცხვას,

ზ) განიხილავს კომიტეტის საერთო წესდების ცვლილების ან დამატების პროექტს.

> **შენიშვნა.** საერთო წესდების ესა თუ ის გამონაკლისი, ცვლილება ან დამატება, რასაც საერთო კრება მიიღებს, დასამტკიცებლად წარედგინება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

თ) განიხილავს საკითხს კომიტეტის დახურვის შესახებ.

**დამხმარე კომიტეტის გამგეობა.**

19. კომიტეტის გამგეობა არის მისი აღმასრულებელი ორგანო და შესდგება თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა, ხაზინადრისა და გამგეობის წევრებისაგან, რომელთა რიცხვს დააწესებს საერთო კრება.

голосов присутствующих членов. Передача права голоса не допускается. В случае равенства голосов вопрос считается отклоненным.

18. Общее собрание:

а) избирает членов Правления и других должностных лиц Комитета и членов Ревизионной Комиссии;

б) утверждает инструкцию для Ревизионной Комиссии, должностных лиц и органов Комитета;

в) рассматривает и утверждает предположения, вносимые Правлением Комитета;

г) открывает и закрывает отделения Комитета и другие его организации и утверждает положения об Уездных Отделениях Комитета;

д) принимает в действительные члены отдельных лиц и исключает членов Комитета;

е) рассматривает и утверждает заключения Ревизионной Комиссии, отчеты Правления о деятельности Комитета, предположения о его дальнейшей работе и смете;

ж) обсуждает предположения об изменениях общего устава Комитета или его дополнениях.

> *Примечание.* Принятые общим собранием отступления от общего устава или его дополнения или изменения поступают на утверждение в Президиум Всегрузинского ЦИК'а.

з) обсуждает вопросы о закрытии Комитета.

*VI. Правление Комитета помощи.*

19. Правление Комитета является его исполнительным органом и состоит из председателя, заместителя, казначея и членов Правления, число которых устанавливается общим собранием.

> *Примечание 1.* В Правление Комитета входят также по одному представителю: Всегрузинского ЦИК'а, НКЮ — в лице помощника Прокурора Республики, НКВД, Нар. Ком. Здравоохранения и ЦСГ. Главное Управление местами заключения Республики, как наиболее тесно связанное с работой Комитета

შენიშვნა 1. კომიტეტის გამგეობაში შედის აგრეთვე თითო წარმომადგენელი: სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, იუსტიციის სახალხო კომისარიატისა-რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწე, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი. რესპუბლიკის საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოს, როგორც დაწესებულებას, რომელსაც ყველაზე მეტად მჭიდრო კავშირი აქვს კომიტეტის მუშაობასთან, თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის გარდა, ეკუთვნის კიდევ ერთი ადგილი კომიტეტის გამგეობაში.

შენიშვნა 2. კომიტეტის გამგეობა იმყოფება ტფილისში და ამიტომ ერთ და იმავე დროს არის ტფილისის დამხმარე კომიტეტიც და მის შედგენილობაში, 1-ლ შენიშვნაში ჩამოთვლილ პირთა გარდა, შედის ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის ერთი წარმომადგენელიც.

20. კომიტეტის თავმჯდომარედ არის სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარმოგზავნილი წარმომადგენელი, თავმჯდომარის მოადგილედ—რესპუბლიკის საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველოს უფროსი, ხოლო გამგეობის დანარჩენ წევრებს გაჰგზავნიან სათანადო დაწესებულებანი ან ირჩევს კომიტეტის საერთო კრება ერთის წლის ვადით.

21. ამორჩეული გამგეობის შედგენილობა და ყველა ის ცვლილება, რაც ამ გამგეობაში მოხდება, დადგენილი წესისამებრ, უნდა ეცნობოს სათანადო ორგანოს.

22. გამგეობა თვალყურს ადევნებს საერთო კრების დადგენილებათა ასრულებას, აგრეთვე კომიტეტის საქმეთა სათანადოდ მსვლელობას, განაგებს ადმინისტრატიულ, საფინანსო და სამეურნეო ნაწილს და პასუხს აგებს კომიტეტის მუშაობის მიმართულებისა და შედეგებისათვის.

23. კომიტეტის გამგეობა ყოველ-

учреждение, кроме заместителя председателя имеет еще одно место в Правлении Комитета.

*Примечание 2.* Правление Комитета, находясь в Тифлисе, является одновременно и Тифлисским Комитетом Помощи и имеет в своем составе, помимо перечисленных в примечании 1-м лиц, одного представителя от Тифлисского Исполкома.

20. Председателем Комитета является делегированный Всегрузинским ЦИК-ом его представитель, заместителем Председателя—Начальник Главного Управления местами заключения Республики, остальные члены Правления выдвигаются соответствующими органами или избираются общим собранием Комитета сроком на 1 год.

21. О составе избранного Правления и о всех происходящих в нем изменениях сообщается в установленном порядке в надлежащие органы.

22. Правление наблюдает за исполнением постановлений общих собраний, а также за правильным течением деятельности Комитета и ведает административной, финансовой и хозяйственной частью, неся ответственность за направление и результат деятельности Комитета.

23. Правление Комитета ежегодно составляет отчет о деятельности Комитета, который представляет Общему Собранию на утверждение.

## *VII. Ликвидация Комитета.*

24. Комитет может быть закрываем как по распоряжению правительственных органов, так и по постановлению общего собрания.

25. В случае ликвидации Комитета, все его имущество поступает в распоряжение Главного Управления местами заключения Республики.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. ноября 3.
Тифлис—Дворец.

წლიურად შეადგენს კომიტეტის მუშაობის ანგარიშს და წარუდგენს დასამტკიცებლად საერთო კრებას.

### კომიტეტის ლიკვიდაცია.

4. კომიტეტი შეიძლება დაიხუროს, როგორც მთავრობის ორგანოს განკარგულებით, ისე საერთო კრების დადგენილებით.

5. უკეთუ მოხდება კომიტეტის ლიკვიდაცია, მისი ქონება მთლად გადავა რესპუბლიკის საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოს განკარგულებაში.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1925 წ. ნოემბრის 3.
ტფილისი—სასახლე.

---

## 84. დადგენილება № 61

### სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

### საბჭოების და საბჭოთა ყრილობების არჩევნების შესახებ 1926 წელში.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის 66 მუხლისა და ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების არჩევნების შესახებ ა. წ. ოქტომბრის 12-ის თარიღით გამოცემულ დადგენილებისა თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მოხდენილ იქნას სასოფლო, სათემო და ქალაქების საბჭოებისა, აგრეთვე სათემო, სამაზრო და ქალ. ფოთის აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნები 1926 წლისათვის.

2. მოსამზადებელ მუშაობას არჩევნებისათვის სათანადო ორგანოები უნდა შეუდგნენ 1925 წლის ნოემბრის 15-დან, ხოლო არჩევნები უნდა მოხდეს 1926

## 84. Постановление № 61

### Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов

### О перевыборах Советов и на С'езды Советов в 1926 году.

На основании статьи 66 Конституции ССРГ и согласно постановления Закавказского Центрального Исполнительного Комитета от 12-го октября 1925 г. о производстве перевыборов в Советы и на С'езды Советов, Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

1. Произвести перевыборы Сельских, Темских и Городских Советов, а также Темских и уездных Исполнительных Комитетов и Исполнительного Комитета г. Поти на 1926 год.

2. К подготовительной работе по перевыборам подлежащие органы обязаны приступить с 15-го ноября 1925 года, а перевыборы произвести в течение января и февраля 1926 года.

3. С'езды Советов в 1926 году со-

წლის იანვრისა და თებერვლის განმავლობაში.

3. საბჭოთა ყრილობები 1926 წელში მოწვეულ იქნებიან მხოლოდ თემებში (სადაც სასოფლო საბჭოები არსებობენ, ე. ი. მოწვეულ იქნებიან საბჭოთა სათემო ყრილობები) და მაზრებში (საბჭოთა სამაზრო ყრილობები).

**შენიშვნა.** არჩევნების წესრიგი განისაზღვრება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ცალკე ინსტრუქციით მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოებისა, საბჭოთა ყრილობებისა და აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნებისათვის.

სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. **მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. ნოემბრის 12.
ტფილისი—სასახლე.

зываются только в Теми (где имеются сельские Советы, т. е. созываются Темские С'езды Советов) и в уездах (уездные С'езды Советов).

*Примечание.* Порядок выборов определяется особою Инструкцией Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета о выборах Советов, С'ездов Советов и Исполнительных Комитетов.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. ноября 12.
Тифлис—Дворец.

## 85. ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ № 62

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.**

ს. ს. ცაკის პრეზიდიუმის ა/წ. ნოემბრის 24 დადგენილების თანახმად, აფხაზეთის ავტონომიური ცაკის და სახკომსაბჭოს ა/წ 27 თებერვლის დადგენილება დამტკიცებულ იქნეს და „ნოვი აფონს“ შეეცვალოს სახელწოდება „ფსირცხა“-დ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. **მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. ნოემბრის 15.
ტფილისი—სასახლე.

## 85. Постановление № 62

**Президиума Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов.**

Согласно Постановления Президиума ЦИКА-а Грузии от 24 ноября с. г. Постановление ЦИК-а и СНК Автономной СС Республики Абхазии от 24 февраля с. г. утвердить и „Новый Афон“ переименовать в „Фсирцха“.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. ноября 15.
Тифлис—Дворец.

## 86. დადგენილება № 63

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი**

**მიწის კოდექსის მე-40 მუხლისა და მისი შენიშვნის ქართული რედაქციის შეცვლის შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10 თარიღის და 77 ნომრის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწის კოდექსის მე-40 მუხლის და მისი შენიშვნის ქართული რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

„მუხ. 40. კომლის წევრად ჩაითვლება ყველა მისი მონაწილე, განურჩევლად წლოვანებისა, როგორც სახლში მყოფი, ისე დროებით სამუშაოზე წასული, რომელიც კანონიერი წესით არ არის ამორიცხული კომლიდან. კომლის შედგენილობა იზრდება დაქორწინებით და გარეშე პირის მეკომურად მიღებით, ხოლო მცირდება კომლის წევრის სიკვდილით ან კომლიდან გასვლით.

**შენიშვნა.** ქორწინებით ან გარეშე პირის მეკომურად მიღების წესით კომლში შესულ პირს იგივე უფლება აქვს კომლის საერთო მიწისა და ქონების სარგებლობაში, რაც ძირითად წევრს, და ეკარგება სხვა კომლში მიწის სარგებლობის უფლება".

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ხ. თოდრია.**

1925 წ. ნოემბრის 15.
ტფილისი—სასახლე.

## 87. დადგენილება № 64

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**სავეტერინარო წესდების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული სავეტერინარო წესდება.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ხ. თოდრია.**

1925 წ. ოქტომბრის 6.
ტფილისი—სასახლე.

**საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სავეტერინარო წესდება.**

ნაწილი I.

**სახელმწიფოებრივი ვეტერინარიის ძირითადი მიზნები და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოვალეობანი ამ მიზნების განხორციელებისათვის.**

1. სახელმწიფოებრივი ვეტერინარიის ძირითადი მიზანია:

ა) მოწყობა და განხორციელება იმ ღონისძიებათა, რაც საჭიროა შინაური პირუტყვების გადამდები სენის თავიდან ასაცილებლად და მოსასპობად;

ბ) ვეტერინარ-სანიტარული ზედამხედველობის მოწყობა;

გ) მოსახლეობისათვის ვეტერინარულ-სამკურნალო დახმარების მოწყობა;

დ) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა იმ გადამდები სენისაგან, რომელიც საერთოა შინაური პირუტყვისა და ადამიანისათვის.

2. პირველ მუხლში აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს სავეტერინარო საქმის სფეროში დაევალება:

ა) შემუშავება სავეტერინარო ღონის-

ძიებათა საერთო გეგმისა და მისი განხორციელებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა;

ბ) დაცვა საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახმელეთო და საზღვაო საზღვრებისა პირუტყვთა გადამდები სენის შემოტანისაგან და მოწყობა, საჭიროების მიხედვით, როგორც საზღვრებზე, ისე შიგნით, დამცველი საკარანტინო ზოლისა;

გ) მოწყობა გადამდები სენების საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებათა;

დ) საერთო ხელმძღვანელობა და მოწესრიგება ვეტ სანიტარული ზედამხედველობისა სასაკლაოსა და იმ ადგილებისათვის, სადაც საერთოდ საქონელი იკვლის, საცივადოსა და ხორცეულის სხვა საწყობისათვის, ხორცეულის სავაჭრო და გადასამუშავებელი პუნქტებისათვის, პირუტყვის სავაჭრო და მისარეკი ადგილისათვის, პირუტყვთა უმი პროდუქტების გადამუშავების, გამოყენებისა და ვაჭრობის ყველა დაწესებულებისა, საწარმოსა და ადგილისათვის;

ე) საერთო ხელმძღვანელობა ვეტ-სამკურნალო საქმისათვის და სავეტერინარო უბნებში პირუტყვთა სამკურნალოებისა და ამბულატორიების მოწყობა და აგრეთვე მოსახლეობისათვის კარზე სავეტერინარო დახმარების აღმოჩენა;

ვ) ხელმძღვანელობა სავეტერინარო-საგანმანათლებლო საქმისათვის და მისი მოწყობა;

ზ) დაარსება შარაგზასა, რკინისგზასა და წყალსავალ გზაზე სავეტერინარო გადასარეკ პუნქტების საერთო ქსელისა სავეტერინარო ზედამხედველობის გასაწევად პირუტყვისა და პირუტყვთა უმი პროდუქტებისათვის;

თ) მოწყობა სავეტერინარო უბნების ქსელისა;

ი) შემუშავება და გატარება სათანადო დაწესებულებებში სავეტერინარო საქმის საკანონმდებლო პროექტებისა;

კ) ღონისძიებათა შემუშავება: 1) საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის საზღვრებით ეპიზოოტიის შემოტანის წინააღმდეგ. 2) შემოყვანილი და გაყვანილი პირუტყვის ჯანმრთელობისა და შემოტანილ და გატანილ პირუტყვთა უმი პროდუქტების სისაღის უზრუნველყოფის სფეროში და 3) პირუტყვისა და პირუტყვთა უმი პროდუქტების ვაჭრობის სფეროში;

ლ) მონაწილეობის მიღება იმ ღონისძიებათა შემუშავებაში, რომელთა მიზანიც არის სავეტერინარო სწავლა-განათლების გაუმჯობესება და მისი განვითარებისათვის ხელისშეწყობა;

მ) მონაწილეობის მიღება გაწყდომისაგან შინაური პირუტყვის სახელმწიფო დაზღვევის ძირითადი საფუძვლების შემუშავებაში;

ნ) მოწყობა სავეტერინარო სტატისტიკისა და აღნუსხვა სავეტერინარო პერსონალისა;

ო) სახელმწიფო ექსპერტიზის მოწყობა სავეტერინარო საკითხების სფეროში;

პ) მოწყობა მეცნიერულ-საკვლევ და მეცნიერულ-პრაქტიკული სავეტერინარო ინსტიტუტებისა, ლაბორატორიებისა და დიაგნოსტური კაბინეტებისა და მათი ქსელის გაფართოება;

ჟ) მონაწილეობის მიღება იმ საკითხების შემუშავებაში, რაც წითელი არმიის ვეტ-სანიტარული ნაწილის სათანადოდ დაყენებას შეეხება;

**შენიშვნა 1.** მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დადგენილებანი ეპიზოოტიასთან ბრძოლის შესახებ სავალდებულოა წითელი არმიის სავეტერინარო ნაწილისათვისაც.

**შენიშვნა 2.** როცა სავეტერინარო ღონისძიებანი უნდა შეასრულონ სამხედრო და სამოქალაქო სავეტერინარო უწყებებმა ერთად, მაშინ ეს უწყებები მოქმედებენ შეთანხმებით და სათანადო შემთხვევაში საკითხი დასამტკიცებლად წარედგინება სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს.

რ) ვეტ-პერსონალის მობილიზაცია არსებული წესით ეპიზოოტიასთან ბრძოლისათვის რესპუბლიკაში.

**შენიშვნა.** წითელი არმიის ვეტ-პერსონალის მობილიზაცია რესპუბლიკაში ეპიზოოტიასთან ბრძოლისათვის შეიძლება მხოლოდ ს. ს. რ. კავშირის სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს თანხმობით და მისივე განკარგულებით.

ს) ზედამხედველობის გაწევა ლაბორატორიებისა, ქარხნებისა და სხვა საწარმოსათვის, სადაც მზადდება სავეტერინარო საქმისათვის საჭირო ასაცრელი,

სამკურნალო, ფარმაცევტიული და სხვა პრეპარატები;

ტ) შემოწმება საზღვარგარეთიდან შემოტანილ და ადგილობრივ დამზადებულ (პ. „ს“) პრეპარატებისა;

უ) მეთვალყურეობა კერძო პრაქტიკის მქონე ვეტ-ექიმთა და ვეტ-ფერშალთა მოქმედებისათვის და აგრეთვე სამკურნალოებისა, ამბულატორიებისა და სხვა სავეტერინარო დაწესებულებისათვის;

ფ) მოწყობა სოფლად ვეტსანიტარული სამზრუნველოებისა იმ მიზნით, რათა ადგილობრივი მოსახლეობა ჩაებას პირუტყვთა გადამდები სენის მოსპობისა და თავიდან აცილების საქმეში;

> **შენიშვნა.** ვეტსანიტარული სამზრუნველოები მოეწყობიან სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ გამოცემულ განსაკუთრებულ დადგენილებათა თანახმად.

ქ) შემუშავება სათანადო წესებისა სამთაბარო საქონლისათვის სავეტერინარო მეთვალყურეობის მოსაწყობად.

## ნ ა წ ი ლ ი II.

## პირუტყვთა გადამდებ სენის წინააღმდეგ ბრძოლა.

### კ ა რ ი I.

### ზოგადი დებულებანი.

3. გადამდებ სენის თავიდან ასაცილებელი და მომსპობი ღონისძიებანი, რაც ამა კარშია დაწესებული, ვრცელდება ყოველგვარ შინაურ პირუტყვსა და ფრინველზე.

4. ამა წესდებაში დადგენილი ვეტსანიტარული ღონისძიებანი მიღებულ უნდა იქნეს შინაურ პირუტყვთა და ფრინველთა შემდეგი გადამდები სენის წინააღმდეგ: 1. საქონლის ჭირისა, 2. მსხვილფეხა რქოსან საქონლის ეპიზოოტიურ ფილტვების ანთებისა (პერიპნევმონია), 3. თურქულისა, 4. ხუზარის (ციმბირის იარა), 5. სიმპტომატიური კარბუნკულისა, 6. ტუბერკულოზისა, 7. ცოფისა, 8. ჰემორაგული სეპტიცემიისა, 9. მსხვილფეხა საქონლის და ცხენების გადამდები მოგდებისა, 10. მსხვილფეხა საქონლის და ცხენების ინფექციონური ვაგინიტისა (ძროხის საშოს გადამდები ანთება), 11. მუნისა, 12. ცხვრის ყვავილისა, 13. ქოთაოსი, 14. ცხენის ეპიზოოტიური ლიმფანგიტისა (აფრიკანული ქოთაო), 15. ჩამომრებისა, 16. ცხენის ინფლუენციისა და ფილტვების გადამდები ანთებისა, 17. ცხენის სავრილობელი ავადმყოფობისა, 18. ცხენის მენინგიტისა (თავისა და ხერხემლის ტვინის გარსის ანთება), 19. ღორის წითელასი, 20. ღორის ჭირისა, 21. ფრინველის ხოლერისა, 22. ქათმის ჭირისა, 23. ფრინველის დიფტერიტისა (ხრინწისა).

> **შენიშვნა.** უკეთუ საჭირო იქნება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებით ამა წესდებაში ჩამოთვლილი ღონისძიებანი შეიძლება გავრცელებულ იქნეს სხვა გადამდებ სენზედაც და შინაურ ცხოველთა გარდა სხვა ცხოველზედაც.

5. იმის მიხედვით, თუ რამდენად საშიშია სენი და რამდენად არის იგი გავრცელებული, ცხოველები განიყოფებიან სამ კატეგორიად:

ა) აშკარად ავადმყოფნი, რომელთაც ცხადათ ემჩნევათ ამა თუ იმ სენის ნიშნები; ბ) სიცხიანი, რომელთაც თუმცა სენის ნიშნები არ ემჩნევათ, მაგრამ სიცხე ეჰვს ბადებს მათ ჯანმრთელობაში; გ) საეჭვონი, რომელთაც არც სენის გარეგანი ნიშნები აქვთ, არც სიცხე აქვთ, მაგრამ ეჭვს ბადებენ, რადგანაც აშკარად დაავადებულ ცხოველებს ან სენმოდებულ საგნებს შეეხენ. თვითეული გადამდები სენისათვის განსაზღვრულია ცალკე ვადა, რომლის გათავების შემდეგაც ამა თუ იმ საეჭვო ცხოველს ან გამოაჩნდება სენი ან მოეხსნება ეჭვი.

### კ ა რ ი II.

### გადამდები სენის წინასწარი და მოსახსპობი ღონისძიებანი.

#### თ ა ვ ი I.

#### ღონისძიებანი უცხოეთიდან ცხოველთა გადამდები სენის შემოტანის წინააღმდეგ.

6. უცხოეთიდან შემოყვანილ ცხოველებს და პირუტყვთა შემოზიდულ ნედლ პროდუქტებს თან უნდა ახლდეს ადგილობრივ ვეტ-ექიმის მიერ გაცემული და საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგე-

ნელის მიერ დადასტურებული მოწმობა პირუტყვთა და მათ პროდუქტთა სისაღის შესახებ.

**შენიშვნა.** უკეთუ ცხოველები ან პროდუქტები მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკიდან შემოდის, ამ შემთხვევაში საკმარისია ვეტერინარის მოწმობა.

7. უკეთუ პირუტყვი და მისი უმი პროდუქტი შემოტანილია ისეთ უცხო სახელმწიფოდან, სადაც ვეტსანიტარული ზედამხედველობა ცუდათ არის მოწყობილი, პირუტყვი შეიძლება შემოშვებულ იქნეს საზღვარზე კარანტინში გატარების შემდეგ, ხოლო პირუტყვის პროდუქტი იმ პირობების დაცვით, რაც განსაზღვრულია ცალკე წესებით.

8. უცხოეთიდან პირუტყვის შემორეკვა და შემოყვანა, აგრეთვე პირუტყვის უმი პროდუქტის შემოტანა ნებადართულია მხოლოდ განსაზღვრული სანაპირო პუნქტებით, რასაც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი დააწესებს სათანადო უწყებებთან შეთანხმებით; საჭიროა აგრეთვე ამ საგანზე გამოცემული განსაკუთრებული წესების დაცვა. აღნიშნული პუნქტები და წესები გამოქვეყნებულ უნდა იქნეს საჯაროდ.

9. სანაპირო პუნქტების რაოდენობა დროებით შეიძლება შემცირებულ იქნეს იმის და მიხედვით, თუ რამდენად გავრცელებულია გადამდები სენი მეზობელ სახელმწიფოში.

10. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში ისეთი პირუტყვის შემორეკვა ან მის ტერიტორიაზე გზად გატარება, აგრეთვე ცხოველთა ისეთი უმი პროდუქტისა, საკვებისა და სხვა საგნების შემოტანა, რაც შეიძლება სენის გავრცელების მიზეზად იქცეს, უნდა აიკრძალოს უწყებული ვადით, რომელსაც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი დააწესებს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ამიერკავკასიაში) შეთანხმებით.

11. როდესაც საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას მეზობელ სახელმწიფოდან გადამდები სენის შემოტანის მხრით განსაკუთრებით დიდი საფრთხე მოელის, ამ წესდების 9 და 10 მუხლში გათვალისწინებული ღონისძიებანი განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება ხმარებულ იქნეს სანაპირო მაზრის აღმასკომის მიერაც იმ პირობითკი, რომ დაუყოვნებლივ დეპეშით აცნობოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს თუ რა ღონისძიება იხმარა და რამ გამოიწვია ამ ღონისძიების ხმარება.

## თ ა ვ ი II.

**პირუტყვის გადამდები სენის თავიდან ასაცილებელი და მოსასპობი საერთო ღონისძიებანი საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბ. ფარგლებში.**

12. რათა თავიდან აცილებულ იქნეს და მოსპობილი პირუტყვის ყოველგვარი გადამდები სენი, დაარსდება მუდმივი ვეტ-სანიტარული ზედამხედველობა:

ა) ყოველგვარი შინაური პირუტყვისა და ფრინველის მოძრაობისათვის და აგრეთვე პირუტყვის უმი პროდუქტის გადაზიდვისათვის შარა-გზით, რკინისგზით და წყალსავალი გზით;

ბ) ისეთი ადგილებისათვის, სადაც გროვდება შინაური პირუტყვი და შეინახება, გაიყიდება და გადამუშავდება პირუტყვთა უმი პროდუქტი, როგორიც არის, მაგალითად: სასაკლაო, ბაკი, ბაზარი, საფოსტო სადგური, ცხოველთა და ფრინველთა გამოსაკვები ადგილი, საჯიშო, სარძევე ფერმა, კუმისის დასამზადებელი ქარხანა, საგრილობელი პუნქტი, პირუტყვთა და ფრინველთა გამოფენა, პირუტყვთა სამკურნალო, ხორცის გასასინჯი სადგური, საცივადო, პირუტყვთა უმი პროდუქტის საწყობი, პირუტყვთა პროდუქტის დასამუშავებელი ქარხანა, დაბახანა, ძვლების დასაფქველი, წებოს სახარშავი და სხვა ქარხანა, საუტილიზაციო ქარხანა, პირუტყვთა სასაკლაო, საექვო პირუტყვთა საიზოლაციო სადგომი და სხვ.

13. ყველა დაწესებულებაში, სადაც საჭირო იქნება ვეტ-სანიტარული ზედამხედველობის მოწყობა, ამ ზედამხედველობის განხორციელების წესსა და პირობებს შეიმუშავებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი შინაგან საქმეთა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარატებთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით.

14. გადამდები სენის თავიდან ასაცილებლად და მოსასპობად ხმარებულ უნდა იქნეს შემდეგი ღონისძიებანი:

1) რეგისტრაცია ყველა იმ შემთხვევისა, როდესაც შინაური პირუტყვი და ფრინველი ავად გახდება გადამდებ სე-

ნით, რომლის წინააღმდეგაც, თანახმად ამა წესდების მე-4 მუხლისა, უნდა იქნეს ხმარებული სავეტერინარო ღონისძიებანი;

2) შინაური პირუტყვის მოკვლა—მისი ხორცად გამოყენების ნებადართვით—იმ ადგილას, სადაც გადამდები სენი გაჩნდა, ან სასაკლაოზე, რომელიც სავეტერინარო ზედამხედველობას ექვემდებარება;

3) შინაური პირუტყვის მოკვლა იმ პირობით, რომ ლეში ან გამოყენებულ იქნეს ტეხნიკური გადამუშავების საშუალებით ან იგი სრულიად მოისპოს (დაწვა, მიწაში ჩაფლვა);

4) წინასწარი და იძულებითი აცრა სამკურნალო ან და დიაგნოსტური მიზნით;

5) ავადმყოფი და საეჭვო პირუტყვის წამლობის ნებართვის მიცემა მარტო ვეტ-ექიმისათვის და სათანადო შემთხვევაში სრული აკრძალვა წამლობის სხვა პირ..სათვის;

6) პირუტყვის იზოლაცია სავეტერინარო ზედამხედველობის დაწესებით, როდესაც პირუტყვი უნდა მოთავსდეს განცალკევებულ სადგომში, თანაც აკრძალულია ამ პირუტყვის საზოკადო საძოვარზე და საერთო წყლის დასალევინებელ ადგილზე გამოშვება, საღი პირუტყვის ავადმყოფ პირუტყვებში გარევა და გარეშე პირთა მიკარება; სახორცედ დაკვლა ვეტერინარის გაუსინჯავად და ნებადაურთველად;

7) პირუტყვისათვის სავეტერინარო ზედამხედველობის დაწესება, რომლის განმავლობაშიაც პირუტყვის მოვლაშენახვა სწარმოებს ჩვეულებრივ პირობებში, ამასთანავე აკრძალულია მისი გაყიდვა და სახორცედ დაკვლა ექიმის ნებადაურთველად და გაუსინჯავად;

8) პირუტყვთა აღრიცხვა კლება-მატებით, გასინჯვა თვითეულ სულისა ცალკე ან ჯგუფ-ჯგუფად როგორც ჭირიან ადგილას, ისე საეჭვო ადგილას;

9) აკრძალვა ვეტერინარის ნებადაურთველად სენიან ან საეჭვო ადგილიდან და რაიონიდან პირუტყვის გამოყვანისა ან უმი პროდუქტის გამოტანისა;

10) აკრძალვა სენიან ადგილას ისეთი გვარის პირუტყვის მორეკვისა, რომელსაც გაჩენილი სენი შეიძლება გადაედოს, აგრეთვე ასეთი პირუტყვის გავლისა;

11) პირუტყვის გავლისათვის ასაქცევი გზის მიჩენა;

12) აკრძალვა ღორისა, კატისა, ძაღლისა, ფრინველისა და სხვა წვრილფეხა ცხოველის თავისუფლად გაშვებისა, რადგან მათ შეუძლიანთ სენის გავრცელება, თუმცა თითონ არ ხდებიან ავად ამ სენით;

13) საძოვრისა და წყლის დასალევინებელი ადგილის მიჩენა საღი პირუტყვისათვის;

14) საერთო საძოვრისა, წყლის დასალევინებელი და საბანაო ადგილის გამოყენების აკრძალვა იმ პირუტყვისათვის, რომელსაც შეიძლება შეეყაროს გაჩენილი სენი;

15) დაგრილების აკრძალვა;

16) პირუტყვის სისხლიანი ოპერაციის და დაკოდვის აკრძალვა სენიან ადგილას და კარზე სათანადო ვეტერინარის ნება-დაურთველად, უკეთუ ასეთი ოპერაცია საშიშია სენის გავრცელების მხრით;

17) საჭიროების მიხედვით საქონლის დადაღვა და პლომბის დადება იმ მეურნეობაში, სადაც სენია, აგრეთვე ბეჭდის დასმა ბაგასა და სადგომზე;

18) ავათმყოფ საქონელთან მიკარების აკრძალვა ყველასათვის, ვინც ავათმყოფ საქონელს მიეკარა, ვიდრე ხელს არ დაიბანს და ფეხსაცმლის და ტანსაცმლის დეზინფექციას არ გაიკეთებს ვეტერინარის ხელმძღვანელობით;

19) სენიანი რაიონიდან პირუტყვის უმი პროდუქტის გატანის აკრძალვა, აგრეთვე ისეთი საკვებისა და საგნების გატანის აკრძალვა, რომელთაც შეუძლიანთ სენი გაავრცელონ. გატანისათვის აუცილებლად საჭიროა ვეტერინარის ნებართვა;

20) გაყიდვის აკრძალვა სენიანი და საეჭვო ავადმყოფი პირუტყვის ხორცეულისა, რძეულისა და სხვა პროდუქტისა, უკეთუ წინასწარ ისინი გაუვნებელ არ იქნებიან;

21) რკინისგზით გატანის აკრძალვა პირუტყვის უმი პროდუქტისა, უკეთუ იგი სათანადოდ არ იქნება შეხვეული და დეზინფექციაში გატარებული, თანახმად საამისო ინსტრუქციებისა;

22) სათანადო სიღრმეზე ჩაფლვა ან დაწვა ავადმყოფი და საეჭვო პირუტყვის ლეშისა ტყავიანად და მასთან ერთად საგებისა, ნაკელისა და სხვა ნაყარისა; მოსპობა ამასთანავე ყველა სენიანი ნივთებისა, რომლის გაწმენდა და დეზინფექცია შეუძლებელია;

23) გასუფთავება და დეზინფექცია იმ სადგომისა, სადაც ავადმყოფი და საეჭვო პირუტყვი იმყოფებოდა, აგრეთვე იმ საგნებისა, რაც ავადმყოფი პირუტყვის ახლოს იყო;

24) სენიან ადგილას გამოფენისა, საჯარო ვაჭრობისა, ბაზრობისა და, საერთოდ, პირუტყვთა შეგროვების აკრძალვა, ან და ზოგიერთი გვარი პირუტყვის არ მიშვება;

25) საკარანტინო სადარაჯოებისა ან საკარანტინო ხაზების დაწესება სენიან საეჭვო ადგილებში;

26) საეჭვოდ გამოცხადება იმ პუნქტებისა, საცა სენი იქნა აღმოჩენილი, და აგრეთვე იმ ადგილებისა, რომლებიც სენიან პუნქტებთან ახლო მდებარეობენ; ხოლო სენიან პუნქტებზე დაშორებულ, მაგრამ ეკონომიურად მათთან მჭიდროდ დაკავშირებულ ადგილების გამოცხადება საშიშარ ადგილებად; მოსახლეობას ეს გარემოება უნდა ეცნობოს;

27) ახსნა-განმარტება მცხოვრებთათვის, თუ რას წარმოადგენს გაჩენილი სენი, რა საშუალებით უნდა აიცილოს იგი თავიდან და როგორ უნდა ებრძოლოს მას;

28) პირუტყვის შარა-გზით გადარეკვის დროებით აკრძალვა მთელს რაიონებში და მისი სავალდებულო გადაყვანის დაწესება მხოლოდ რკინისგზით;

ამა მუხლის 1, 23 და 27 პუნქტში გათვალისწინებული ღონისძიებანი ხმარებულ უნდა იქნეს ყველა იმ გადამდები სენის წინააღმდეგ, რაც აღნიშნულია ამა წესდების მე-4 მუხლში.

ის ღონისძიებანი, რაც ჩამოთვლილია ამა მუხლის დანარჩენ პუნქტებში, ხმარებულ უნდა იქნეს თვითეული გადამდები სენის წინააღმდეგ, მისი თვისების მიხედვით, თანახმად ამა წესდების 15—54 მუხლში აღნიშნული წესისა.

## თ ა ვ ი III.

### განსაკუთრებული ღონისძიებანი თვითეული გადამდები სენის წინააღმდეგ.

### მსხვილფეხა საქონლის ჭირი.

15. იმისდა მიხედვით, თუ რამდენად გავრცელებულია საქონლის ჭირი, რა დანიშნულება აქვს საქონელს, ან და რა პირობებია ადგილობრივ, უნდა მოხდეს ან მოკვლა ყველა ავადმყოფი, სიცხიანი და საეჭვო საქონლისა, ან აცრა საეჭვო საქონლისა და შრატით წამლობა სიცხიანისა და მოკვლა აშკარად ავადმყოფისა.

16. უკეთუ საბრძოლველ ღონისძიებად ხმარებული იქნება საეჭვო საქონლის მოკვლა, მოკლული საქონლის პროდუქტი (რქა, ტყავი, ხორცი) შეიძლება გამოყენებულ იქნეს საამისო განსაკუთრებული წესების დაცვით.

17. დაჭირიანებული და აგრეთვე ყველა საეჭვო ადგილი შეიკვრება საკარანტინო ხაზით და ხმარებულ უნდა იქნეს ზოგიერთი აუცილებელი ღონისძიება იმ ღონისძიებათაგან, რაც აღნიშნულია ამა წესდების მე-14 მუხლში.

18. დაჭირიანებული პუნქტი განთავისუფლდება კარანტინისაგან 14 დღის შემდეგ, რომელიც იანგარიშება დღიდან ჭირიანი საქონლის უკანასკნელი მოკვლისა ან მორჩენისა, ან აცრის შემდეგ მოკვდომისა, ან და დაჭირიანებული ადგილის დეზინფექციის მოხდენისა.

### მსხვილფეხა საქონლის ეპიზოოტიური ფილტვების ანთება.

19. ეპიზოოტიური ფილტვების ანთების მწვავე ან ქრონიკული ფორმით აშკარად ავადმყოფი და სიცხიანი საქონელი მოკლული უნდა იქნეს.

20. იმ შემთხვევაში, როცა ფილტვების ანთება შემოტანილ იქნება საღ რაიონში, მაშინ საეჭვო საქონელიც უნდა მოიკლას.

21. იმ რაიონსა და იმ ადგილას, სადაც დიდი ხანია ბუდობს ფილტვების ანთება და ძლიერაც არის გავრცელებული, ავადმყოფი და სიცხიანი საქონელი უნდა მოიკლას, საეჭვო კი იძულებით აიცრას (მე-4 მუხლის 14 პუნქტი); ამავე დროს აცრილ საქონელს მკაცრი სავეტერინარო ზედამხედველობა უნდა გაეწიოს. ასეთ რაიონებში შეიძლება საქონლის წინასწარი აცრაც მოხდეს.

22. მოკლული ცხოველის ხორცი (მუხ. 19, 20 და 21) შეიძლება მოხმარებულ იქნეს საჭმელად, თანახმად ხორცეულის შემოწმების წესებისა, ხოლო ტყავი შეიძლება გამოყენებულ იქნეს წინასწარ დეზინფექციაში გატარების შემდეგ.

23. იმ ადგილას, რომელიც ფილტვე-

ბის ანთების მხრით საეჭვოა, მთელი საქონელი სავეტერინარო ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება (14 მუხლის პუნქ. 7) და შეფარდებულ უნდა იქნეს 14 მუხლის მე-9 პუნქტი.

24. სენიან პუნქტებში ხმარებულ უნდა იქნეს ყველა ღონისძიება, რაც ჩამოთვლილია 14 მუხლის 8, 14, 17, 21, 24 და 26 პუნქტში.

## თ უ რ ქ უ ლ ი.

25. იმ ადგილას, სადაც თურქულია, და აგრეთვე საეჭვო ადგილას განხორციელებულ უნდა იქნეს სათანადო ღონისძიებანი ამა წესდების 14 მუხლის 5, 15, 17, 21, 24 და 26 პუნქტში ჩამოთვლილ ღონისძიებათა შორის.

26. სენიან მეურნეობაში, ჯოგში ან საქონლის ჯგუფში, თუ საჭიროება მოითხოვს, მოხდება საერთო აცრა.

## ციმბირის იარა (ხუზარა) და სიმპტომატიური კარბუნკული.

27. საეჭვო მეურნეობაში, ჯოგში, სოფელში და აგრეთვე საეჭვოდ გამოცხადებულ რაიონში განხორციელდება სათანადო ღონისძიებანი ამა წესდების 14 მუხლში ჩამოთვლილ ღონისძიებათა შორის, გარდა 2, 3 და 28 პუნქტებში აღნიშნულ ღონისძიებათა.

## ტუბერკულოზი.

28. აშკარად ავადმყოფი პირუტყვი, რომელიც ამასთანავე საერთოდ დამაბუნებულია და ცურიც დასნეულებული აქვს, მოკლულ უნდა იქნეს (14 მუხლის პუნქტი 2).

29. ის პირუტყვი, რომელსაც 28 მუხლში აღნიშნული ავადმყოფობის ნიშნები არ აღმოაჩნდება, მაგრამ ავადმყოფობის ეჭვს კი ბადებს, გამოცალკევდება და სავეტერინარო ზედამხედველობის ქვეშ დარჩება (14 მუხ. პუნ. 6); ასეთი პირუტყვის რძე შეიძლება იხმარებოდეს ადამიანისა და ცხოველის საჭმელად, უკეთუ წინასწარ გაუვნებელი იქნება.

30. საეჭვო პირუტყვი დაიტოვება სავეტერინარო ზედამხედველობის ქვეშ (მუხ. 14 პუნქტი 7).

31. ავადმყოფობის გამოსარკვევად, როგორც საეჭვო, ისე ყველა დანარჩენი პირუტყვი სენიანი მეურნეობისა ან ჯოგისა უნდა გაისინჯოს ტუბერკულინიზაციის მოხდენით და სხვა საშუალებით, რაც მიღებულია ტუბერკულოზის გამოსარკვევად.

## ც ო ფ ი.

32. ცოფიანი პირუტყვი მოკლულ უნდა იქნეს (14 მუხ. პუნქტი 3).

33. ცოფის მხრით საეჭვო:

ა) ძაღლი და კატა მოკლულ უნდა იქნეს (14 მუხლის პუნქტი 3);

ბ) დანარჩენი პირუტყვი დაიტოვება სავეტერინარო ზედამხედველობის ქვეშ (14 მუხლის პუნქტი 6) ავადმყოფობის გამორკვევამდე.

**შენიშვნა.** რათა წესიერი დახმარება აღმოეჩინოს იმ პირს, რომელსაც ცოფის მხრით საეჭვო ძაღლი ან კატა დაკბენს, ეს ცხოველები დაიტოვებიან სავეტერინარო ზედამხედველობის ქვეშ ავადმყოფობის ხასიათის გამორკვევამდე.

34. ცოფიანი პირუტყვისაგან დაკბენილი:

ა) ძაღლი და კატა მოკლულ უნდა იქნეს;

ბ) დანარჩენი პირუტყვი დაიტოვება სავეტერინარო ზედამხედველობის ქვეშ (14 მუხლის პუნქტი 6) და შეიძლება წინასწარ აცრილ იქნეს.

35. ძაღლი და კატა, რომლის შესახებაც აღიძვრის ეჭვი, რომ იგი დაკბენილია ცოფიანი პირუტყვისაგან, დაიტოვება სავეტერინარო ზედამხედველობის ქვეშ განსაზღვრული ვადით (14 მუხლის პუნქტი 6). უკეთუ პატრონი არ მოისურვებს იგი სავეტერინარო ზედამხედველობის ქვეშ დასტოვოს, საეჭვო ძაღლი თუ კატა უნდა მოიკლას.

36. საეჭვო რაიონში ყველა ძაღლი დაბმულ უნდა იქნეს ან სატუჩური გაუკეთდეს. აშვებული და უსატუჩურო ძაღლი მოკლულ უნდა იქნეს.

## ჰემორაგიული სეპტიცემია.

37. ჰემორაგიული სეპტიცემიის წინააღმდეგ ხმარებულ უნდა იქნეს სათანადო ღონისძიებანი 14 მუხლში აღნიშნულ ღონისძიებათაგან, გარდა 2, 3, 24, 25 და 28 პუნქტებში გათვალისწინებულ ღონისძიებათა.

**ძროხისა და ჰაკი ცხენის გადამდები მოგდება.**

38. მოგდების შემდეგ ავადმყოფი ძროხა და ცხენი იმყოფება სავეტერინარო ზედამხედველობის ქვეშ (14 მუხლის 6 პუნქტი), ხოლო დანარჩენი პირუტყვი სავეტერინარო მეთვალყურეობის ქვეშ (14 მუხლის 7 პუნქტში), 14 მუხლის 5, 8, 14, 15 და 26 პუნქტების შეფარდებით.

**მუნი (ქავანა).**

39. ავადმყოფი და საეჭვო პირუტყვის წინააღმდეგ ხმარებულ უნდა იქნეს 14 მუხლის 5, 7, 8, 14, 15 და 26 პუნქტში აღნიშნული ღონისძიებანი.

**ცხვრის ყვავილი.**

40. ავადმყოფი, სიცხიანი და საეჭვო ცხვარი დაიტოვება სავეტერინარო ზედამხედველობის ქვეშ (14 მუხლის 6 პუნქტი); საეჭვო მეურნეობის ან პუნქტის ცხვარი შეიძლება აიცრას (14 მუხ. 4 პუნქტი). გარდა ამისა ხმარებულ უნდა იქნეს სათანადო ღონისძიებანი 14 მუხლის 8, 14, 17—22, 24—26 პუნქტში აღნიშნულ ღონისძიებათაგან.

41. ცხვრის წინასწარი აცრა ყვავილის წინააღმდეგ იმ ადგილას, სადაც ავადმყოფობა არ არის, აკრძალულია.

**ქ ო თ ა ო.**

42. ცხენი, ვირი, ჯორი, რომელსაც ქოთაოს აშკარა ნიშნები აღმოაჩნდება, უნდა მოიკლას (14 მუხლის 3 პუნქტი).

43. სიცხიანი ცხენი, ვირი და ჯორი დაიტოვება სავეტერინარო ზედამხედველობის ქვეშ (14 მუხლის 6 პუნქტი), ხოლო საეჭვო—სავეტერინარო მეთვალყურეობის ქვეშ (14 მუხლის 7 პუნქტი), ვიდრე ავადმყოფობის ხასიათი გამოირკვეოდეს; გარდა ამისა, ხმარებულ უნდა იქნეს სათანადო ღონისძიებანი ამა წესდების 14 მუხლის 8, 17, 18, 22 და 26 პუნქტში აღნიშნულ ღონისძიებათაგან.

**ცხენის ეპიზოოტიური ლიმფანგიტი (აფრიკანული ქოთაო).**

44. ავადმყოფი და საეჭვო ცხენი დაიტოვება სავეტერინარო ზედამხედველობის ქვეშ საექიმო დახმარების აღმოჩენით (14 მუხლის 5 და 6 პუნქტი). გარდა ამისა ხმარებულ უნდა იქნეს 14 მუხლის 22 პუნქტში აღნიშნული ღონისძიებანი.

**ჩამომრები.**

45. ავადმყოფი და სიცხიანი ცხენი დაიტოვება სავეტერინარო ზედამხედველობის ქვეშ (14 მუხლის 6 პუნქტი) საექიმო დახმარების აღმოჩენით (14 მუხლის 5 პუნქტი), ხოლო საეჭვო—სავეტერინარო მეთვალყურეობის ქვეშ (14 მუხ. 7 პუნქტი).

**ცხენის იმფლუენცა და კონტაგიური პლევროპნევმონია.**

**გადამდები ფილტვების ანთება.**

46. ავადმყოფი და სიცხიანი ცხენი დაიტოვება სავეტერინარო ზედამხედველობის ქვეშ (14 მუხ. 6 პუნქტი), საექიმო დახმარების აღმოჩენით (14 მუხლის 5 პუნქტი), ხოლო საეჭვო—სავეტერინარო მეთვალყურეობის ქვეშ (14 მუხლის 7 პუნქტი).

**ცხენის დაგრილების ავადმყოფობა.**

47. აშკარად ავადმყოფი, სიცხიანი და საეჭვო ცხენი არ მიიშვება დასაგრილებლად; ავადმყოფი და სიცხიანი დაიტოვება სავეტერინარო ზედამხედველობის ქვეშ (14 მუხლის 6 პუნქტი), საექიმო დახმარების აღმოჩენით (14 მუხლის 5 პუნქტი), ხოლო საეჭვო—სავეტერინარო მეთვალყურეობის ქვეშ (14 მუხლის 7 პუნქტი).

**ღორის წითელა და ჭირი.**

48. ავადმყოფი, სიცხიანი და საეჭვო ღორი დაიტოვება სავეტერინარო ზედამხედველობის ქვეშ (14 მუხლის 6 პუნქტი) საექიმო დახმარების აღმოჩენით (14 მუხ. 5 პუნქტი).

49. საეჭვო ღორი შეიძლება იძულებით აცრილ იქნეს (14 მუხლის 4 პუნქტი).

50. საეჭვო რაიონში შეიძლება მოხდეს წინასწარი აცრა (14 მუხლის 4 პუნქტი).

51. იმ ადგილას, სადაც წითელა და ჭირი შემთხვევით არის შეტანილი და ძალიან გავრცელებული არ არის, ავად-

მყოფი და სიცხიანი ღორები შეიძლება მოკლულ იქნენ (14 მუხლის 2 პუნქტი).

### ფრინველის ხოლერა და ხუნაგი (ხრინწი) და ქათმის ჭირი.

52. ავადმყოფი, სიცხიანი და საეჭვო ფრინველი დაიტოვება სავეტერინარო ზედამხედველობის ქვეშ (14 მუხლის 6 პუნქტი) საექიმო დახმარების აღმოჩენით (14 მუხლის 5 პუნქტი).

53. ხოლერის მხრით საეჭვო ფრინველი შეიძლება აიცრას (14 მუხლის 4 პუნქტი).

54. იმ ადგილას, სადაც ხოლერა, ჭირი და ხრინწი წინად არ ყოფილა და სადაც ეს ავადმყოფობანი გავრცელებული არ არის, შეიძლება ნებადართულ იქნეს მოკვლა ავადმყოფი და სიცხიანი ფრინველისა (14 მუხლის 3 პუნქტი).

## ნაწილი III.

## ვეტსანიტარული ზედამხედველობა.

### კარი I.

### ვეტსანიტარული ზედამხედველობა პირუტყვისა და მისი უმი პროდუქტის მოძრაობისათვის.

55. პირუტყვის გადაყვანა რკინისგზით ან წყალსავალი გზით ნებადართულია მიუხედავათ რაოდენობისა და დანიშნულებისა იმ შემთხვევაში:

ა. უკეთუ ადგილობრივი ვეტერინარისა, და თუ ეს უკანასკნელი არ არის— ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოსაგან მიღებული იქნება მოწმობა, რომ ის ადგილი, სადაც პირუტყვი ნაყიდია, გადამდები სენის მხრით საშიში არ არის;

ბ. უკეთუ პირველი გასასინჯი პუნქტის სათანადო ვეტერინარისაგან მიღებულ იქნება მოწმობა, რომ პირუტყვი ჯანსაღია.

**შენიშვნა** 1. ამა მუხლში აღნიშნული წესი გავრცელდება აგრეთვე სამრეწველო და გადასახლებულთა პირუტყვზე, რომელიც გადარეკილ იქნება შარა გზით.

**შენიშვნა** 2. მომთაბარო საქონლის მოძრაობის შესახებ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი გამოსცემს განსაკუთრებულ წესებს.

**შენიშვნა** 3. იმ შემთხვევაში, როცა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი საჭიროდ დაინახავს, გადასაყვან თუ გადასადენ პირუტყვს დაესმება დაღი ან სხვა რაიმე ნიშანი, რომელიც ადვილად არ წაიშლება.

**შენიშვნა** 4. მოზარდი პირუტყვისა, წვრილ-ფეხა საქონლისა და ფრინველის რკინისგზით ან წყალსავალი გზით გადაყვანა უნდა ხდებოდეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ ცალკე გამოცემული ინსტრუქციის თანახმად.

56. 55 მუხლის პირველ შენიშვნაში აღნიშნული პირუტყვი გადარეკილ უნდა იქნეს იმ გზით, რომელსაც მაზრის აღმასკომი დანიშნავს, ხოლო ერთი მაზრიდან მეორეში გადარეკვა უნდა ხდებოდეს იმ გზით, რომელსაც ორივე მაზრის აღმასკომები ურთიერთ შეთანხმებით დანიშნავენ.

57. სამრეწველო პირუტყვისა და ჯოგის ვაგონში თუ გემში ჩასხმა, ან გადმოსხმა შეიძლება მხოლოდ განსაზღვრულ სარკინისგზო სადგურებზე და მდინარეთა და საზღვაო ნავთსადგურებზე; ამასთანავე აუცილებელია სავეტერინარო გასინჯვა.

58. პირუტყვის უმი პროდუქტის გადატანა შეიძლება მხოლოდ გადამდები სენის მხრით არა საშიშ რაიონიდან, რაც დამოწმებულ უნდა იქნეს ადგილობრივი ვეტერინარის მიერ, ხოლო თუ ეს უკანასკნელი არ არის,—ხელისუფლების სათანადო ორგანოს მიერ.

59. პირუტყვის უმი პროდუქტის გამოტანისათვის იმ ადგილიდან, რომელიც გადამდები სენის მხრით საშიშრად არის გამოცხადებული, აუცილებლად საჭიროა განსაკუთრებული ნებართვის აღება იმ ვეტერინარისაგან, რომლის გამგებლობაშიაც ეს რაიონი არის.

60. პირუტყვის უმი პროდუქტი, რომელიც ვეტერინარის უმოწმობოთ გამოტანილია გადამდებ სენიანი ადგილიდან, გაუვნებელ უნდა იქნეს ადგილობრივვე, ან გადამუშავებული მახლობელ საუტილიზაციო ქარხანაში, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, პროდუქტი უნდა მოისპოს.

61. ის პროდუქტი, რომელიც უკვე იხრწნება, უნდა მოისპოს ან საუტილიზაციო ქარხანაში გადამუშავდეს.

62. პირუტყვის უმ პროდუქტად ითვლება: ხორცეული, დამარილებული

ხორცი, გადაუდნობელი ქონი, კუჭი, ნაწლავი, გამოუქნელი ტყავი, სისხლი, ძვალი, რქა, ჩლიქი, მატყლი, ბეწვი, ჯაგარი, ძუა და კუდი.

63. წესი და პირობები, რაც დაცულ უნდა იქნეს პირუტყვის უმი პროდუქტის გადატან-გადმოტანის დროს, მარა-გზით, რკინისგზით ან წყალსავალი გზით, განსაზღვრულია მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ სათანადო უწყებებთან შეთანხმებით გამოცემულ ინსტრუქციებში და წესებში.

## კ ა რ ი II.

### ვეტსანიტარული ზედამხედველობა სასაკლაოსა, ხორცეულისა და პირუტყვის სხვა უმი პროდუქტისათვის.

64. ყოველგვარი შინაური პირუტყვის დაკვლა სახორცედ და გასაყიდად უნდა მოხდეს საამისოდ მოწყობილ განსაკუთრებულ პუნქტებში (სასაკლაო), რომლებიც მუდმივ ვეტსანიტარულ ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან.

65. სასაკლაოს ვეტსანიტარული ნაწილის გამგებლობა დაეკისრება ვეტერინარს, პატარა სასაკლაოსი კი—ვეტფერშალს; ეს უკანასკნელი მუშაობს ვეტერინარის ხელმძღვან ლობით.

66. პირუტყვი, რომელიც სასაკლაოზე დაიკვლება, უნდა გაისინჯოს ვეტერინარის მიერ დაკვლის წინ და დაკვლის შემდეგ; ამასთანავე ღორის ხორცი გასინჯულ უნდა იქნეს ტრიხინის გამოსაკვლევად მიკროსკოპით. მთელ სახორცეს და მის ნაწილებს აუცილებლად დაღი უნდა დაესვას.

67. ხორცეულის ის უვარგისი პროდუქტი, რომელიც ბაზარზე გამოტანამდე მოითხოვს გაუვნებლობას (დამარილებით, მოხარშვით, სტერილიზაციით), თვით სასაკლაოზე უნდა იქნეს გაუვნებელი საამისოდ არსებულ ხელსაწყოში.

68. დაკლული საქონლის ხორცის ნაწილები და შიგნეული, რომელიც სავეტერინარო გასინჯვის შემდეგ საჭმელად დაწუნებული იქნება, გაუვნებელი უნდა იქნეს, ან ტეხნიკურად გადამუშავდეს; თუ ეს შეუძლებელია, ხორცის ნაწილები სრულიად უნდა მოისპოს.

69. ისეთი პირუტყვის დაკვლა, რომელიც საჭმელად არ არის დანიშნული, და აგრეთვე გადამუშავება დაწუნებული ხორცის პროდუქტისა, ლეშისა და მისი ნაწილებისა სამრეწველო მიზნით შეიძლება მხოლოდ საუტილიზაციო ქარხანაში და სხვა სპეციალურ დაწესებულებაში.

70. ის პირუტყვი, რომელსაც ინახავენ 69 მუხლით გათვალისწინებულ გადასამუშავებელ ქარხანაში, და უმი პროდუქტების საწყობში, არასოდეს არ უნდა იქნეს ჯოგში გაშვებული; ქარხნის და საწყობის სათავეში მდგომი პირი ვალდებულია ყოველი შემთხვევა ავადმყოფობისა ან პირუტყვის ახლად მოყვანისა აცნობოს სათანადო ვეტერინარს.

71. ქალაქსა და დიდ სოფელში შეტანილი უმი პროდუქტი, ვიდრე ბაზარზე იქნებოდეს გამოტანილი, აუცილებლად გასინჯულ უნდა იქნეს ვეტერინარის მიერ; გარდა ამისა, ბაზარზე გამოტანილი ღორის ხორცი გასინჯულ უნდა იქნეს ტრიხინოსკოპითაც.

**შენიშვნა.** ვაჭრობა ისეთი ხორცის პროდუქტისა, რომელიც ვეტერინარის მიერ გასინჯულ არ არის და გასინჯვის ნიშანი არ აზის, აკრძალულია. დაწვრილებითი სია პირუტყვთა იმ უმი პროდუქტებისა, რომლის გასინჯვაც სავალდებულოა, განისაზღვრება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული ინსტრუქციით.

72. მთელი სახორცე, მისი ნაწილები და ხორცის სხვა პროდუქტები მიიღება საწყობში იმ პირობით, უკეთუ იგი ვეტერინარის მიერ გასინჯული იქნება; საწყობიდან მისი გამოტანა შეიძლება ვეტერინარის მიერ გასინჯვის შემდეგ და სათანადო მოწმობით.

73. კუმისის ქარხანაში ჭაკი ცხენი, გარდა იმისა, რომ მუდმივ ვეტ-სანიტარულ ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება, საკუმისო სეზონის დაწყებისას ყურადღებით უნდა იქნეს გასინჯული, რომ ქოთაოთი არ იყოს ავად. წინააღმდეგ შემთხვევაში კუმისის გაკეთება აკრძალულია.

74. მოწყობა ამა კარში ჩამოთვლილ დაწესებულებათა და ადგილთა, სადაც ინახება, მუშავდება ან იყიდება პირუტყვდა უმი პროდუქტი, აგრეთვე წესი გასინჯვისა, დაწუნებისა ან გაყიდვის აკრძალვისა, რაც გათვალისწინებულია ამა წესდების 14 მუხლის 20 და 29 პუნქტში, განისაზღვრება ამა წესდების 13 მუხლის თანახმად გამოცემული წესებით და ინსტრუქციით.

## ნ ა წ ი ლ ი IV.

### მართვა-გამგეობის ორგანოები, საქონლის პატრონთა და თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობანი.

## კ ა რ ი I.

### სავეტერინარო ნაწილის ორგანიზაცია.

## თ ა ვ ი I.

### მართვა-გამგეობის სავეტერინარო ორგანოები.

75. საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკაში სავეტერინარო საქმის ყველა დარგის გამგეობა და ხელმძღვანელობა დაევალება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სავეტერინარო სამმართველოს და მაზრებში—სააღგილმამულო განყოფილების სავეტერინარო ორგანოებს. დებულება და შტატი შემუშავდება სათანადო წესით.

76. მაზრის ფარგლებში სავეტერინარო საქმიანობის ტეხნიკური ხელმძღვანელობა და კონტროლის გაწევა ადგილობრივ მომუშავე სავეტერინარო დაწესებულებისა და პერსონალისათვის დაევალება მაზრის ვეტერინარს.

77. ძირითად ტერიტორიალურ ერთეულად, სადაც ეპიზოოტიებთან ბრძოლა და სავეტერინარო მეთვალყურეობა უნდა განხორციელდეს, ჩაითვლება სავეტერინარო უბანი, რომლის ქსელიც განისაზღვრება სამაზრო სავეტერინარო ორგანოს მიერ მაზრის ვეტერინარის წარდგენით და ადგილობრივი ადმინისტრატიული დანაწილებისა და მესაქონლეობის ვითარების მიხედვით.

## თ ა ვ ი II.

### ვეტერინარის, ვეტ-ფერშალის დი ტეხნიკური სავეტერინა~ო პერსონალის უფლება-მოვალეობანი.

78. ვეტერინარული პრაქტიკისა და მუშაობის წარმოების უფლება საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში მინიჭებული აქვს მხოლოდ იმას, ვისაც ვეტერინარის ან ვეტფერშალის წოდება მიუღია.

79. ვეტერინარის წოდება ენიჭება საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში იმ პირს, ვისაც დაუმთავრებია ერთ-ერთი ვეტერინარული ინსტიტუტი ს. ს. რესპუბლიკების კავშირში.

**შენიშვნა.** იმ პირს, რომელსაც ექნება მოწმობა, რომ უცხოეთის რომელიმე სახელმწიფოს ვეტერინარული ინსტიტუტი გაუთავებია, შეუძლიან აწარმოოს ვეტერინარული პრაქტიკა მხოლოდ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ნებართვით.

80. ვეტ-ფერშლის ხარისხი საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში მიენიჭება იმ პირს, რომელსაც დაუმთავრებია ვეტ-ფერშლის სკოლა, სამკურსიანზე არა ნაკლები, და აქვს სწავლის გათავების სათანადო მოწმობა, აგრეთვე იმ პირს, რომელსაც დაუმთავრებია სამხედრო ვეტ-ფერშლის სკოლა 1907 წ. პროგრამით და იმას, ვისაც გამოცდა ჩაუბარებია ყოფილ საგუბერნიო სავეტერინარო სამმართველოში და ვეტ-ფერშლის სკოლაში.

81. ვეტერინარისა და ვეტ-ფერშლის უფლება-მოვალეობანი, რაც 79 და 80 მუხლშია აღნიშნული, აგრეთვე ვეტერინარული სანიტარისა, პირუტყვის ჭედვის ინსტრუქტორისა, ტრიხინოსკოპისტისა, პრეპარატორისა, მსახურისა და სხვა დამხმარე სავეტერინარო პერსონალის უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება იმ დებულებებით, რაც საკანონმდებლო წესით გამოიცემა.

82. თავისუფალი პრაქტიკის ვეტერინარი, ვეტ-ფერშალი და აგრეთვე სახელმწიფო სამსახურში მყოფი ვეტპერსონალი მოვალეა ყოველი შემთხვევა გადამდები სენის გაჩენისა აცნობოს დაუყოვნებლივ სარაიონო და სხვა სათანადო ვეტერინარს; ამ უკანასკნელის მოსვლამდე კი ვალდებულია თვითონ მიიღოს წინასწარი ღონისძიებანი სენის გავრცელების შესაჩერებლად.

83. სახელმწიფო სამსახურში მყოფ ვეტერინარს, ვეტ-ფერშალს და სხვა სავეტერინარო მომუშავეს და აგრეთვე მათ ოჯახებს ენიჭებათ სახელმწიფო უზრუნველყოფის უფლება სათანადო დებულების თანახმად, უკეთუ ისინი შრომის უნარს დაჰკარგავენ ან გარდაიცვლებიან პირუტყვთა გადამდებ სენთან ბრძოლის დროს.

## კ ა რ ი II.

**პირუტყვის პატრონისა, თანამდებობის პირისა და მართვა-გამგეობის ორგანოების მოვალეობანი სავეტერინარო ღონისძიებათა განხორციელების საქმეში.**

84. როდესაც პირუტყვს გადამდები სენის ნიშნები აღმოაჩნდება ან გამოურკვეველი მიზეზით უეცრად მოკვდება ან და როდესაც რამდენიმე სული ერთი და იმავე სენით გახდება ავად, პირუტყვის პატრონი მოვალეა დაუყოვნებლივ განაცხადოს ეს, სადაც ჯერ არს.

> **შენიშვნა 1.** ამა მუხლში აღნიშნული მოვალეობა ვავრცელდება აგრეთვე ყველა პირზე, რომელიც თავის ხელობის მიხედვით ახლო სდგას საქონელთან, ხორცეულთან და პირუტყვის სხვა უმ პროდუქტთან.

> **შენიშვნა 2.** სარძევე ფერმის ძროხისა და თხის, და აგრეთვე კუმისის ქარხნის ცხენის ავად გახდომის ყოველი შემთხვევა პატრონმა უნდა განაცხადოს, სადაც ჯერ არს, იმავე დღეს, რა დღესაც პირუტყვი ავად გახდება.

85. ცნობა გაეგზავნება ვეტერინარს ან ვეტ-ფერშალს, რომელსაც ესა თუ ის ადგილი ექვემდებარება, უშუალოდ ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს საშუალებით და იმ წესით, რაც განსაზღვრული იქნება სამაზრო აღმასკომის სავალდებულო დადგენილებით.

86. ისეთი სენის გაჩენის დროს, რაც ეჭვს დაბადებს, რომ ის საქონლის ჭირი .უნდა იყოს, პატრონი და აგრეთვე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელმაც ცნობა მიიღო სენის გაჩენის შესახებ. მოვალეა ვეტერინარის ან ვეტ-ფერშლის მოსვლამდე გამოაცალკეოს ავადმყოფი საქონელი, ნება არ დართოს სახორცედ დასაკლავად, არ გამოუშვას სენიან მეურნეობიდან არც ავადმყოფი, არც საღი საქონელი, და აკრძალოს ამ მეურნეობიდან პირუტყვის ური პროდუქტისა და საკვების გამოტანა.

87. ვეტერინარი ან ვეტ-ფერშალი, რომლის გამგებლობაშიაც იმყოფება სენიანი ადგილი, მიიღებს თუ არა ცნობას საქონლის სენის გაჩენის ან საქონლის დახოცვის შესახებ, მოვალეა დაუყოვნებლივ გაემგზავროს ადგილობრივ და მიიღოს სათანადო ღონისძიებანი სენის მოსასპობლად.

88. თუ ეჭვი დაიბადება, რომ საქონლის ჭირი, მხვილფეხა საქონლის გადამდები ფილტვების ანთება, ან ღორის გადამდები სენი შემოტანილია გარედან იმ ადგილას, სადაც მანამდე არცერთი ზემოაღნიშნული სენი არ ყოფილა, ვეტერინარს უფლება აქვს სენის სასწრაფო გამოკვლევის მიზნით მოკლას ერთი ან რამდენიმე ავადმყოფი პირუტყვი ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის წარმომადგენელთა თანდასწრებით.

89. როცა ვეტერინარის მიერ დადასტურებული იქნება, რომ გაჩენილი სენი ნამდვილად გადამდებია, ადგილობრივი ხელისუფლება მოაწყობს სავეტერინარო აღმასრულებელ კომისიას სენის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განსახორციელებლად. კომისიაში შევლენ: ვეტერინარი, ადგილობრივი მოსახლეობისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელნი; კომისიის თავმჯდომარეობა ვეტერინარს დაეკისრება.

> **შენიშვნა.** სავეტერინარო აღმასრულებელი კომისიის კომპეტენცია და სამუშაო გეგმა განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციით, რომელსაც გამოსცემს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

90. მაზრის ფარგლებში ამა თუ იმ დასახლებულ ადგილს საეჭვოდ ან საშიშრად და სენის მოსპობის შემდეგ—საღად და არა-საშიშრად გამოაცხადებს მაზრის აღმასკომი მაზრის ვეტერინარის წარდგენით, რაც სასწრაფოდ უნდა ეცნობოს სავეტერინარო სამმართველოს.

> **შენიშვნა.** განსაკუთრებულ სასწრაფო შემთხვევაში სენიან პუნქტს საშიშრად გამოაცხადებს თვით სავეტერინარო აღმასრულებელი კომისია, თანაც ეს უკანასკნელი დაუყოვნებლივ აცნობებს ამას სამაზრო აღმასკომს.

91. როცა გადამდები სენი მაზრაში ძლიერ ვრცელდება, ედება მთელ სოფელს, თემს და მეზობელ მაზრასაც ემუქრება,—მაზრის აღმასკომი სათანადო სამაზრო ვეტერინარის წარდგენით გამოაცხადებს რამდენიმე სოფელს, თემს

და მთელ მაზრასაც საშიშრად, ხოლო სენის მოსპობის შემდეგ—სალად.

**შენიშვნა.** მაზრაში გადამდები სენის გავრცელების დროს სამაზრო აღმასკომი დაუყოვნებლივ შეატყობინებს მეზობელი მაზრის აღმასკომს გადამდები სენის გაჩენას.

92. რამდენიმე მაზრისაგან შემდგარ ტერიტორიას გამოაცხადებს საშიშრად, ხოლო სენის მოსპობის შემდეგ—სალად, სახალხო კომისართა საბჭო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარდგენით.

93. რამდენიმე სოფლისა და თემისაგან შემდგარ სენიან რაიონში მაზრის აღმასკომი განახორციელებს 14 მუხლის 24, 25, 26 და 27 პუნქტებში აღნიშნულ ღონისძიებათ. რამდენიმე მაზრისაგან შემდგარ სენიან რაიონში სათანადო ღონისძიებებს განახორციელებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი. ამა წესდების 14 მუხლის 28 პუნქტში აღნიშნულ ღონისძიებათ განახორციელებს სახალხო კომისართა საბჭო, ხოლო 14 მუხლში ჩამოთვლილ დანარჩენ ღონისძიებათ საევტერინარო აღმასრულებელი კომისია.

**შენიშვნა.** გადამდები სენის მხრით საშიშრად გამოცხადებულ სოფლისა, თემისა და მაზრის ფარგლებში მაზრის აღმასკომი განახორციელებს 14 მუხლის 26 და 27 პუნქტში აღნიშნულ ღონისძიებათ.

94. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს განკარგულებით და საევტერინარო-სასანიტარო მოთხოვნათა თანახმად ყოველ სოფელში მოეწყობა პირუტყვთა სასაფლაო, სადაც უნდა ჩაიფლას საუტილიზაციო ქარხანაში გადასამუშავებლად უვარგისი ლეში.

## კ ა რ ი III.

**პატრონისათვის გადამდები სენის მოსპობის მიზნით მოკლულ ან სავალდებულო აცრის გამო დახოცილ პირუტყვთა და აგრეთვე მოსპობილ საგანთა ანაზღაურება.**

95. სენის მოსპობის ან გამორკვევის მიზნით მოკლული, აგრეთვე სავალდებულო აცრის გამო მომკვდარი პირუტყვი და ჯველა მოსპობილი საგანი უნდა აენაზღაუროს პატრონს ფულის მიცემით თანახმად ამა წესდების 96—103 მუხლებისა.

96. ფულადი ანაზღაურება ეძლევა პატრონს მაშინ, როდესაც პირუტყვი მოკლულ იქნება ან იგი სავალდებულო აცრის გამო მოკვდება ან როდესაც ესა თუ ის საგანი მოისპობა შემდეგ გადამდებ სენთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს: მსხვილფეხა საქონლის ჭირი, მსხვილფეხა საქონლის გადამდები ფილტვების ანთება, ქოთაო და ციმბირის იარა.

97. პირუტყვსა და მოსასპობ საგნებს შეაფასებს და საფასურის რაოდენობას განსაზღვრავს საევტერინარო აღმასრულებელი კომისია პატრონის ან მისი რწმუნებულის თანდასწრებით.

**შენიშვნა.** შეფასება მოხდება ყოველთვის, მიუხედავად იმისა, მიეცემა პატრონს ანაზღაურება თუ არა.

98. მოკლული და აცრის გამო მომკვდარი პირუტყვის საფასურის რაოდენობის განსაზღვრის დროს კომისია იხელმძღვანელებს იმ ფასებით, რომელსაც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი პერიოდულად გადასინჯავს და დაამტკიცებს ხოლმე.

99. პირუტყვის ასანაზღაურებელ სასყიდლად პატრონს მიეცემა შეფასების ¾ და, ყოველ შემთხვევაში, არა უმეტეს იმ საფასურისა, რომელსაც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი დააწესებს.

100. დაწესებული შეფასება და ანაზღაურების რაოდენობა, რაც დაზარალებულ პატრონს უნდა მიეცეს, საევტერინარო აღმასრულებელი კომისიის მიერ შეტანილ უნდა იქნეს სათანადო აქტში, რომელიც შესდგება პირუტყვის მოკვლისა ან აცრის გამო მოკვდომისა და სენიანი საგნები მოსპობის შესახებ. აქტი გაეგზავნება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საევტერინარო სამმართველოს, ხოლო პატრონს მიეცემა მოწმობა, რომლითაც ის მიიღებს ანაზღაურებას.

101. დიაგნოსტური მიზნით მოკლული პირუტყვისათვის, რაც აღნიშნულია ამა წესდების 88 მუხლში, ანაზღაურება პატრონს მიეცემა თანახმად საევტერინარო აღმასრულებელი კომისიის შეფასებისა, ხოლო არა უმეტეს იმ საფასურისა, რომელსაც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი დააწესებს.

102. გადამდები სენის თავიდან ასა-

ცილებლად მოსპობილი საგნებისათვის პატრონს ანაზღაურება მიეცემა სავეტერინარო-აღმასრულებელი კომისიის შეფასებით, ხოლო არა უმეტეს იმ ფასისა, რასაც დააწესებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

**შენიშვნა.** მოსპობილი ნაკელი და საკვები მასალა ანაზღაურებული არ იქნება

103. იმ შემთხვევაში, როდესაც მოკლული პირუტყვის ხორცსა და ტყავს კომისია პატრონს საჭმელად და მოსახმარად მისცემს, მათი ღირებულება ჩაითვლება იმ ფულში, რაც პატრონს ანაზღაურების სახით ერგება.

104. ანაზღაურების თანხა დაზარალებულ პატრონს ხელში ეძლევა და არ შეიძლება იგი რაიმე გადასახადის ან კერძო ვალის დასაფარავ თანხაში ჩაითვალოს.

105. ანაზღაურება არ უნდა მიეცეს:

ა) უცხოეთიდან შემოყვანილი პირუტყვისა და მოსპობილი საგნებისათვის, უკეთუ გადამდები სენი ამ პირუტყვს გამოაჩნდება იმ ვადის გათავებამდე, რაც უცხოეთიდან შემოყვანილი პირუტყვისათვის არის დაწესებული,

ბ) იმ პირს, რომელიც სასამართლოს მიერ დამნაშავედ იქნება ცნობილი ამა წესდების 108—112 მუხლის დარღვევისათვის.

## კ ა რ ი IV.

### პასუხისმგებლობა სავეტერინარო წესდების ნორმების დარღვევისათვის.

106. ყველა თანამდებობის პირი, რომელიც ამა წესდების თანახმად ვალდებულია განახორციელოს სავეტერინარო ღონისძიებანი, პასუხს აგებს თავისი მოქმედებისათვის, როგორც ადმინისტრატიული, ისე სასამართლოს წესით.

107. ვეტ-ფერშალი და სხვა დამხმარე ვეტ-პერსონალი, რომელიც ნებადაურთველად შეასრულებს ისეთ საქმეს, რაც მის მოვალეობას არ შეადგენს, დაისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 94 მუხლის თანახმად.

108. პატრონი, რომელიც თავის დროზე არ შეატყობინებს სათანადო ხელისუფლებას სენის გაჩენას ან პირუტყვის მოკვდომას, დაისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 222 მუხლის თანახმად.

109. უკეთუ პირუტყვის პატრონი არ შეასრულებს იმ ღონისძიებათ, რაც ამა წესდებით ევალებათ და აგრეთვე დამატებით გამოცემულ ინსტრუქციებსა და წესებს,—დაისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 88 და 225 მუხლის თანახმად.

110. გაკეთება ყალბი სავეტერინარო მოწმობისა და იმ ნიშნისა, რასაც სავეტერინარო ზედამხედველობა პირუტყვსა და მის უმ პროდუქტს დაადებს, დაისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 195 მუხლის თანახმად.

111. დალისა და პლომბის აცლა პირუტყვისა და მის უმი პროდუქტისათვის, აგრეთვე პირუტყვის სადგომის გატეხვა დაისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 103 მუხლის თანახმად.

112. ამა წესდების 71 მუხლის შენიშვნაში გათვალისწინებული პროდუქტების ვაჭრობა დაისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 145 მუხლის თანახმად.

---

## 88. ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ № 65.

### სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

### სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდევინების სფეროში თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდევინების სფეროში ფინანსთა სა-

## 88. Постановление № 65

### Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов

### О борьбе с злоупотреблениями должностных лиц в связи со взысканием сельскохозяйственного налога.

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

1. Для рассмотрения жалоб и злоупотреблений со стороны агентов Народного Комиссариата Финансов и других должностных лиц в связи со

ხალხო კომისარიატის აგენტების ბოროტმოქმედებაზე შეტანილ საჩივარისა და თვით ამ ბოროტმოქმედების განსახილველად დაარსებულ იქნეს კომისია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის ამხ. თოდრიას თავმჯდომარეობით. ქომისიაში შევლენ: მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა და ა/ქ. ფინსახკომის რწმუნებულის წარმომადგენელნი.

2. კომისიის დაჯისრება გაემგზავროს ხოლმე იმ ადგილას, სადაც აღმოჩნდება 1 მუხლში აღნიშნული ბოროტმოქმედება, ადგილობრივ გამოიკვლიოს იგი და დამნაშავე პასუხისგებაში მისცეს.

3. კომისიამ თავისი მოქმედების შედეგი უნდა მოახსენოს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. დეკემბრის 15.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-300 №-ში 1925 წ. დეკემბრის 31.

взысканием сельско-хозяйственного налога образовать Комиссию под председательством Секретаря Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов тов. Тодрия в составе представителей Н. К. Р. К. И. и УполЗак-НКФина в Грузии.

2. Указанной Комиссии поручить выезжать в местности, где обнаружатся упомянутые в 1 ст. злоупотребления, для расследования их на местах и предания виновных суду.

3. Комиссии о результатах своих действий доводить до сведения Президиума Всегрузинского Центрального Комитета Советов.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. декабря 15.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в г. „Коммунист" № 300 от 31 декабря 1925 г.

## 89. დადგენილება № 66

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი**

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწის კოდექსის მე-9 მუხლის შევსების შესახებ, რითაც მშრომელ უცხოელთ მიენიჭებათ შრომის საფუძველზე მიწის სარგებლობის უფლება.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწის კოდექსის მე-9 მუხლს დაემატოს შენიშვნა:

## 89. Постановление № 66

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов и Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Республики Грузии**

**О дополнении ст. 9 Земельного Кодекса ССР Грузии в отношении предоставления трудящимся иностранцам права на трудовое землепользование.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов и Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляют:

Дополнить ст. 9 Земельного Кодекса ССР Грузии следующим примечанием:

„Трудящиеся иностранцы, проживающие на территории ССР Грузии

„მშრომელ უცხოელს, რომელიც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე სცხოვრობს და რომელსაც, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, მინიჭებული აქვს პოლიტიკური უფლებანი, შეუძლიან საქართველოს ყველა სხვა მოქალაქის თანაბრად ისარგებლოს მიწა სოფლის მეურნეობისათვის".

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. დეკემბრის 18.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-18 №-ში 1926 წ. იანვრის 24.

и пользующиеся политическими правами согласно Конституции ССР Грузии, имеют право на трудовое пользование землей для ведения сельского хозяйства на одинаковых основаниях с гражданами ССР Грузии".

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Председатель Совета Народ. Комис. Соц. Сов. Респ. Грузи *Ш. Элиава.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. декабря 18.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газ. „Коммунист" № 18 от 24 января 1926 г.

## 90. დადგენილება № 67

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების არჩევნების შესახებ 1926 წელში.**

სრულიად საქართვ. საბჭ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ამა წლის ნოემბრის 12-ის თარიღით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის შესაცვლელად, საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების არჩევნების შესახებ 1926 წელში, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

მოსამზადებელი მუშაობა საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების არჩევნებისათვის სწარმოებს 1925 წლის ნოემბრის 15-დან და უნდა დამთავრდეს 1926 წლის თებერვლის 1-მდე, ხოლო თვით არჩევნები უნდა დაიწყოს 1926 წლის

თებერვლის 1-დან და დამთავრდეს იმა-ვე წლის აპრილის 1-მდე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა-ცენტრალური აღმასრულებელი კომიტე-ტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტე-ტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წლ. დეკემბრის 18.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის". მე-295 №-ში 1925 წ. დეკემბრის 23.

---

## 91. დადგენილება № 68

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენ-ტრალური აღმასრულებელი კომიტე-ტისა**

**ქ. ქუთაისისათვის მიწის ნორმის შეცვლის შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტე-ტი ადგენს:

მიწის კოდექსის მუხლით დაწესებული მიწის ნორმა შეიცვალოს ქ. ქუთაისისა-თვის შემდეგი ნორმით:

შიდა-უბანში—300 კვ. საჟ., შუა-უბან-ში—600 კვ. საჟ. და გარეთ-უბანში—900-დან 1200 კვ. საჟენამდე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტე-ტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტე-ტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. დეკემბრის 25.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-18 №-ში 1926 წ. იანვრის 24.

## 91. Постановление № 68

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**Об изменении земельных норм для города Кутаиса.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

Установленные 96 статьей Земельного Кодекса земельные нормы для Кутаиса заменить следующими нормами: в центральном районе—300 кв. саж., серединном районе—600 кв. саж. и во внешнем районе - от 900 до 1200 кв. саж.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. декабря 18.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газ. „Коммунист" № 18 от 24 января 1926 г.

---

## 92. დადგენილება № 69

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებული კომიტეტისა**

**სრულიად საქართველოს ხაბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ. მარტის 16 თარიღის და მე-13 ნომრის დადგენილების ზოგიერთ დანაშაულისათვის არ-შეფარდების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

უფლება მიეცეთ სასამართლო ორგანოებს სთხოვონ სათანადო შემთხვევაში სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რათა მისი 1925 წ. მარტის 16 თარიღისა და 13 ნომრის დადგენილება, რაც გამოცემულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიის 1925 წ. მარტის 7-ის ამნისტიის განსახორციელებლად, არ შეეფარდოს სისხლის სამართლის კოდექსის 108 მუხ. 1 ნაწ., 109, 113, 116, 117, $117^1$, 132, 133, 134, 146, 187 მუხ. და 191 მუხ. მე-2 ნაწილში გათვალისწინებულ დანაშაულს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ხ. თოდრია.**

1925 წ. დეკემბრის 18.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-19 №-ში 1926 წ. იანვრის 26.

## 92. Постановление № 69

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**О неприменении Постановления Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета от 16 марта 1925 года за № 13 к некоторым преступлениям.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

Предоставить судебным органам право просить в соответствующих случаях Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов о неприменении Постановления его от 16 марта 1925 года за № 13, изданного для проведения в жизнь амнистии 3-й сессии Центрального Исполнительного Комитета Союза ССР от 7 марта 1925 г., к преступлениям, предусмотренным 1 ч. 108 ст., 109, 113, 116, 117, $117^1$, 132, 133, 134, 146, 187 ст.ст. и 2 ч. 191 ст. Уголовного Кодекса.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. декабря 18.

Тифлис—Дворец.

Распубликовано в г. „Коммунист" № 19 от 26 января 1926 г.

---

## 93. დადგენილება № 70

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი**

**მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის უფლების შესახებ—იკისრის ხოლმე ვალდებულება თამასუქით.**

რადგანაც მომქმედ კანონმდებლობაში არ მოიპოვება ისეთი ნორმა, რომელიც

## 93. Постановление № 70

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов и Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии**

**„О праве Уездных Исполнительных Комитетов обязываться по векселям".**

В виду отсутствия в действующем законодательстве положительных

ამყარებდეს მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის უფლებას იკისროს ხოლმე ვალდებულება თამასუქით, აგრეთვე განსაზღვრავდეს ამ უფლების ფარგალს, დროებით, ვიდრე მაზრის საბჭოთა ყრილობისა და მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის ახალი დებულება გამოიცემოდეს, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს, რომელსაც თავის სამეურნეო სფეროში მინიჭებული აქვს იურიდიული პირის უფლება, შეუძლიან იკისროს თამასუქით ვალდებულება მარტოოდენ იმ ოპერაციის გამო, რაც გამომდინარეობს მისი სამეურნეო მოქმედებიდან.

2. თამასუქით მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლიან იკისროს ვალდებულება, რომლის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს მისი წლიური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის 3°/°-ს. ამაზე მეტი თანხის თამასუქის გაცემა მაზრის აღმასრ. კომიტეტს შეუძლიან მხოლოდ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ნებადართვით.

> შენიშვნა. იმ თანხის გამოანგარიშების დროს, რომლის ფარგლებშიაც მაზრის აღმასრულებულ კომიტეტს შეუძლიან დამოუკიდებლად იკისრის ვალდებულება თამასუქით, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის საერთო თანხიდან გამორიცხულ უნდა იქნეს ის თანხა, რაც ხარჯთ-აღრიცხვით გადადებულია სამუშაო ხელფასისათვის.

3. მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ თამასუქით აღებული სესხის ვადა ერთ წელიწადს არ უნდა აღემატებოდეს.

4. ამა დადგენილების წინა მუხლებით გათვალისწინებული წესები თამასუქით ვალის აღების შესახებ არ გავრცელდება მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის იმ უფლებაზე, რომლითაც მას შეუძლიან აიღოს ის სესხი, რაც სპეციალურად გათვალისწინებულია მის წლიურ ხარჯთ-აღრიცხვაში.

5. მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის სათამასუქო ვალდებულებაზე გავრცელდება თამასუქის დებულების მოქმედება და ამ თამასუქით გადახდევინება

норм, устанавливающих право Уездных Исполнительных Комитетов обязываться по векселям, а равно определяющих пределы этого права, Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов и Совет Народных Комиссаров ССР Грузии временно, впредь до издания нового Положения об Уездных С'ездах Советов и Уездных Исполнительных Комитетах, постановляют:

1. Уездные Исполнительные Комитеты, пользуясь в своей хозяйственной деятельности правами юридического лица, имеют право обязываться по векселям, исключительно по операциям, вытекающим из их хозяйственной деятельности.

2. Уездные Исполнительные Комитеты имеют право обязываться по векселям в общей сумме, непревышающей 3°/₀ доходной части их годового бюджета. Обязываться по векселям свыше указанной суммы Уездные Исполнительные Комитеты могут лишь с разрешения Совета Народных Комиссаров ССРГ.

> *Примечание.* При исчислении суммы, в пределах коей Уездные Исполнительные Комитеты могут самостоятельно обязываться по векселям, из общей суммы доходной части бюджета подлежат исключению суммы, ассигнованные по смéте на заработную плату.

3. Срок кредитования Уездных Исполнительных Комитетов по векселям не может превышать одного года.

4. Указанные в вышеизложенных статьях сего Постановления правила пользования вексельным кредитом не распространяются на права Уездных Исполнительных Комитетов по кредитованию, специально предусмотренному их годовой сметой.

5. Вексельные обязательства Уездных Исполнительных Комитетов подлежат полностью действию Положения о векселях, при чем взыскания по ним производятся на точном осно-

მოხდება მომქმედი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. **მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. დეკემბრის 18.
ტფილისი--სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-19 №-ში 1926 წ. იანვრის 26.

ваннии действующего Гражданского Процессуального Кодекса.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Председатель Совета Народ. Комис. Соц. Сов. Респ. Грузии *Ш. Элиава.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. декабря 18.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в г. „Коммунист“ № 19 от 26 января 1926 г.

## 94. დადგენილება № 24

### საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომ. საბჭოსი

### პოლიგრაფიული მრეწველობის კომიტეტის დაარსების შესახებ.

1. რათა მთლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. პოლიგრაფიული მრეწველობა, ვის გამგებლობაშიაც უნდა იყოს იგი, გეგმაშეწონილად იქნეს მოწესრიგებული და სათანადოდ განვითარდეს, საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამრეწველო-ეკონომიურ განყოფილებასთან დაარსდეს პოლიგრაფიული მრეწველობის კომიტეტი.

**შენიშვნა.** აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკისა, სამხრეთოსეთის ავტონომიურ ოლქისა და აფხაზეთის მოკავშირე რესპუბლიკის პოლიგრაფიული მრეწველობის კომიტეტები მოეწყობიან სათანადო რესპუბლიკის ან ოლქის სახ. კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად.

2. პოლიგრაფიული მრეწველობის კომიტეტის სათავეში სდგას თავმჯდომარე, რომელს დანიშნავს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. მბეჭდავთა კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან შეთანხმებით. კომიტეტში წევრებად შევლენ: თითო წარმომადგე-

## 94. Постановление № 24

### Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии

### Об учреждении Комитета по делам полиграфической промышленности.

1. В целях планомерного регулирования и развития всей полиграфической промышленности ССР Грузии, в чьем бы ведении и управлении она ни состояла, при Промышленно-Экономическом Отделе ВСНХ Грузии образуется Комитет по делам полиграфической промышленности.

*Примечание.* Комитеты по делам полиграфической промышленности автономной республики Аджаристана, договорной республики Абхазии и автономной области Юго-Осетии организовываются согласно постановления СНК соответствующей республики или области.

2. Во главе Комитета по делам полиграфической промышленности стоит его Председатель, назначаемый Президиумом ВСНХ Грузии по согласовании с Центральным Правлением Союза Печатников ССРГ. В состав Комитета входят в качестве его членов по одному представителю союза печатников и ВСНХ Грузии и один представитель от всех ведомств и

ნელი მბეჭდავთა კავშირისა და საქართველოს სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოსი და ერთი წარმომადგენელი ყველა იმ უწყებათა და დაწესებულებათა, რომელთაც აქვთ პოლიგრაფიული მრეწველობის საწარმონი (საქართველოს განათლების სახ. კომისარიატი, ცეკავშირი, წითელი ჯვრის საზოგადოება, ქართული დივიზია და სხვ.).

კომიტეტის შედგენილობას დაამტკიცებს საქართველოს ეკონომიური საბჭო.

**შენიშვნა.** ამავე პრინციპის მიხედვით მოეწყობა კომიტეტის შედგენილობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკისა, სამხრეთოსეთის ავტონომიურ ოლქისა და აფხაზეთის მოკავშირე რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოსთან.

3. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის კომიტეტს მთლად პოლიგრაფიული მრეწველობის სფეროში დაეკისრება:

ა) შეიმუშაოს საერთო ღონისძიებანი პოლიგრაფიული მრეწველობის განვითარების და გაფართოებისათვის;

ბ) მისცეს დასკვნა პოლიგრაფიული ხელსაწყოს და მასალების შემოტანისა და გატანის საკითხების შესახებ;

გ) მისცეს დასკვნა საზღვარგარეთ საბეჭდავის სამუშაოს შეკვეთების შესახებ;

დ) მისცეს დასკვნა პოლიგრაფიული მრეწველობის საწარმოთა კონცესიების საკითხების შესახებ;

ე) შეიმუშაოს საკითხები სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გამგებლობაში ყოფილ საწარმოთა სხვა უწყებისა, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის გადაცემისა და მიმაგრების შესახებ; თვალყური ადევნოს ამ საწარმოთა წესიერ გამოყენებას;

ვ) განიხილოს საერთო საკითხები პოლიგრაფიული მრეწველობის საწარმოთა დენაციონალიზაციის შესახებ;

ზ) განიხილოს პოლიგრაფიული მრეწველობის ნაკეთობათა კალკულაციის საერთო მეთოდები;

თ) განიხილოს პოლიგრაფიული მრეწველობის ნაკეთობათა შემუშავების საერთო ნორმები;

ი) შეიმუშაოს ღონისძიებანი ბეჭდვითი საქმის ტეხნიკის გაუმჯობესებისა და სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის;

учреждений, имеющих предприятия полиграфической промышленности (Наркомпрос Грузии, Цекавшири, О-во Красного Креста, Груздивизия и др.).

Состав Комитета подлежит утверждению ЭКОСО Грузии.

*Примечание.* По такому же принципу организуется состав Комитета при СНК автономной республики Аджаристана, договорной республики Абхазии и автономной области Юго-Осетии.

3. На Комитет по делам полиграфической промышленности при ВСНХ ССРГ по отношению ко всей полиграфической промышленности возлагается:

а) разработка общих мероприятий для развития и расширения полиграфической промышленности;

б) дача заключения по вопросам импорта, экспорта полиграфического оборудования и материалов;

в) дача заключений по вопросам передачи заказов на напечатание работ заграницу;

г) дача заключений по вопросам концессий предприятий полиграфической промышленности;

д) разработка вопроса о передаче и прикреплении предприятий, находившихся ранее в ведении ВСНХ, к ведомствам, учреждениям или другим организациям; наблюдение за правильностью использования этих предприятий;

е) рассмотрение общих вопросов о денационализации предприятий полиграфической промышленности;

ж) рассмотрение общих методов калькуляции изделий полиграфической промышленности;

з) рассмотрение общих норм выработки изделий полиграфической промышленности;

и) разработка мероприятий по поднятию и улучшению техники печатного дела;

к) разработка общих вопросов концентрации производства (закрытие действующих предприятий и открытие новых, переброска оборудования и пр.);

ქ) შეიმუშაოს საერთო საკითხები წარმოების კონცენტრაციის შესახებ (დახურვა არსებულ საწარმოოა და გახსნა ახლისა, ხელსაწყოთა სხვაგან გადატანა და სხვ.);

ლ) მოაწყოს პოლიგრაფიული მრეწველობის საწარმოთა აღნუსხვა.

4. ის უწყება და დაწესებულება, რომლის გამგებლობაშიაც იმყოფება პოლიგრაფიული მრეწველობის საწარმო, ყოველ საკითხის გამო, რაც მე-3 მუხლშია აღნიშნული, სთხოვს დასკვნას სათანადო რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის პოლიგრაფიული მრეწველობის კომიტეტს.

ᲮᲣ. საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის კომიტეტი შეიმუშავებს ზოგად დირექტივებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა, აფხაზეთის მოკავშირე რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის პოლიგრაფიული მრეწველობის კომიტეტებისათვის — იმ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რაც შეეხება მე-3 მუხლში აღნიშნულ საკითხებს.

6. საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაევალება შეიმუშაოს და გამოსცეს, მბეჭდავთა კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან შეთანხმებით, დაწვრილებითი ინსტრუქციები პოლიგრაფიული მრეწველობის კომიტეტის მოქმედების შესახებ.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ. თავმჯდომ. მოადგ. **ს. ჟუღელი.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ. საქმეთა მმართვ. **ალ. სალარიძე.**

1925 წ. ივლისის 13.
ტფილისი — სასახლე.

л) организация учета предприятий полиграфической промышленности;

4. Ведомства и учреждения, в ведении которых находится предприятия полиграфической промышленности, по всем вопросам, указанным в ст. 3-й, запрашивают заключение Комитета по делам полиграфической промышленности соответствующей республики или автономной области.

5. Комитет по делам полиграфической промышленности при ВСНХ Грузии разрабатывает обще-директивные указания для Комитетов по делам полиграфической промышленности автономной республики Аджаристана, договорной ССР Абхазии и автономной области Юго-Осетии для проведения в жизнь мероприятий по всем вопросам, указанным в ст. 3-ей.

6. ВСНХ Грузии поручается разработать и издать, по соглашению с Центральным Правлением Союза Печатников ССРГ, подробные инструкции о порядке деятельности Комитета по делам полиграфической промышленности.

Зам. Председ. Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Республики Грузии *С. Джугели.*

Управ. Делами Совета Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *Ал. Саларидзе.*

1925 г. июля 13.
Тифлис — Дворец.

## 95. ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ № 25

**საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი**

**წიგნის პალატაში სავალდებულოდ წარსადგენი ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებათა ეგზემპლიარების რაოდენობის გადიდების შესახებ.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წლის მარტის 8-ს თარიღითა და

## 95. Постановление № 25

**Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии**

**Об увеличении числа экземпляров произведений печати, подлежащих обязательному представлению в Книжную Палату при Народном Комиссариате Просвещения.**

Во изменение постановления Совета Народных Комиссаров ССР Гру-

მე-7 №-ით გამოცემული დადგენილების შესაცვლელად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ წიგნის პალატაში სავალდებულოდ წარსადგენი ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა ეგზემპლიარების რაოდენობა, ნაცვლად ხუთმეტი ცალისა, განსაზღვრულ იქნეს ოცდაათ (30) ცალად.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭ. თავმჯდ. **შ. ელიავა.**

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1925 წ. აგვისტოს 12.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-188 №-ში 1925 წ. აგვისტოს 19.

зии от 8 марта 1924 г. за № 7, Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляет:

Число экземпляров произведений печати, подлежащих обязательному представлению в Книжную Палату при Народном Комиссариате Просвещения, взамен 15-ти установить в количестве тридцати (30).

Председатель Сов. Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *Ш. Элиава.*

Управляющий Делами Сов. Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *Ал. Саларидзе.*

1925 г. августа 12.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в г. „Коммунист“ № 188 от 19 августа 1925 г.

---

## 96. დადგენილება № 26

### საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

**სახელმწიფო გამომცემლობისათვის სახწავლო წიგნებისა და სახელმძღვანელოების გამოცემის მონოპოლიის მინიჭების შესახებ.**

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს ს.ს.რ. სოციალური აღზრდისა და პროფესიონალური განათლების მთავარი სამმართველოს მიერ მოწონებული და ნებადართული ყველა სასწავლო წიგნისა და სახელმძღვანელოს გამოცემის მონოპოლია მიენიჭოს საქართველოს ს.ს.რ. განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ სახელმწიფო გამომცემლობას.

2. ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოს და აგრეთვე კერძო პირს ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული სასწავლო წიგნების და სახელმძღვანელოების გამოცემა შეუძლია

## 96. Постановление № 26

### Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии

**О предоставлении Государственному Издательству монопольного права издания учебников и учебных пособий.**

Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляет:

1. Предоставить Государственному Издательству при Народном Комиссариате Просвещения ССР Грузии монопольное право издания всех одобренных и разрешенных к пользованию Главным Управлением Социального Воспитания и Профессионального Образования ССР Грузии учебников и учебных пособий.

2. Издание упомянутых в п. 1 настоящего постановления учебников и учебных пособий Государственными и Общественными организациями и частными лицами допускается исключительно по разрешениям Государственного Издательства.

მხოლოდ სახელმწიფო გამომცემლობის ნებართვით.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ კომ. საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1925 წ. აგვისტოს 17.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-191 №-ში 1925 წ. აგვისტოს 22.

3. Настоящее постановление ввести в действие со дня его опубликования.

Председатель Сов Народ. Комис. Соц. Сов. Респ. Грузии *Ш. Элиава.*

Управляющий Делами Совета Нар. Ком. Соц. Сов Респ. Грузии *Ал. Саларидзе.*

1925 г. августа 17.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в г. „Коммунист" № 191 от 22 августа 1925 г.

---

## 27. დადგენილება № 27

### საქართვ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოსი

**საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დანიშვნის შესახებ.**

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს ამა წლის აგვისტოს 12-ს დადგენილებით საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნულია ამხ. **ალშიბაია ეპიფანე.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭ. თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1925 წ. აგვისტოს 19.
ტფილისი—სასახლე.

## 97. Постановление №

### Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии

**О назначении Заместителя Председателя Государственной Плановой Комиссии ССР Грузии.**

Постановлением Совета Народных Комиссаров ССР Грузии от 12 августа с. г. Заместителем Председателя Государственной Плановой Комиссии ССР Грузии назначается тов. Алшибая Епифан.

Председатель Совета Народ. Комис. Соц. Сов. Респ. Грузии *Ш. Элиава.*

Управляющий Делами Совета Народ. Комис. Соц. Сов. Респ. Грузии *Ал. Саларидзе.*

1925 г. августа 19.
Тифлис—Дворец.

---

## 98. დადგენილება № 28

### საქართვ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოსი

**ირაო საქონლის შესახებ.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყველა ის, ვინც დაიჭერს ირაო საქონელს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ეს საქონლის პატრონს და ჩააბაროს იგი ამ უკანასკნელს მოთხოვ-

## 98. Постановление № 28

### Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии

**О пригульном скоте.**

Совет Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии постановляет:

1. Каждый, кто задержит пригульный скот, обязан немедленно сообщить о задержании владельцу и выдать его по требованию последнего; при неизвестности владельца задер-

ნისათანავე. უკეთუ საქონლის პატრონის ვინაობის გამორკვევა შეუძლებელია, მპოვნელი ვალდებულია, არა უგვიანეს სამი დღისა, გადასცეს საქონელი მილიციის უახლოეს ორგანოს და აცნობოს მას საქონლის დაჭერის დრო და ადგილი, ან და ესევე აცნობოს სათემო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, რომელიც თავის მხრივ დაუყოვნებლივ აცნობებს ამას მილიციის ორგანოს.

2. ირაო საქონელი აგრეთვე შეიძლება უშუალოდ გადაეცეს უახლოეს გლეხთა კომიტეტს. გლეხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვალდებულია, სისხლის სამართლის კოდექსის 121 მუხლში გათვალისწინებული პასუხისმგებლობის რიდით, დაუყოვნებლივ აცნობოს საქონლის დაჭერა მილიციის ორგანოს.

3. მილიციის ორგანო, ჩაიბარებს თუ არა ირაო საქონელს, დაუყოვნებლივ შეუდგება პატრონის მოძებნას, თანაც მოახსენებს ამას სათანადო მაზრისა ან ქალაქის მილიციის უფროსს.

4. მილიციის ორგანო მის მიერ მიღებულ ირაო საქონელს გადასცემს შესაბამისად უახლოეს გლეხთა კომიტეტს, ხოლო, უკეთუ უკანასკნელი მიღებაზე უარს განაცხადებს, იგი შეიძლება გადაეცეს იმ მოქალაქეს, რომელიც ამაზე სურვილს განაცხადებს და რომელსაც მილიცია იცნობს.

5. გლეხთა კომიტეტი მილიციისაგან ან უშუალოდ მპოვნელისაგან მისთვის ჩაბარებულ საქონელს გამოიყენებს თავისი მიზნებისა და საჭიროების მიხედვით. მას შეუძლიან აგრეთვე გადასცეს საქონელი ყველაზე ღარიბეს გლეხებს დროებითი სარგებლობისათვის.

6. მიბარებულ საქონელს ჰკვებავს კომიტეტი ან და ის პირი, ვისაც საქონელი გადაეცა დროებითი სარგებლობისათვის.

7. ირაო საქონლის დროებით გამოყენება განისაზღვრება შემდეგი ვადით: მსხვილფეხა—ცხენისა, ძროხისა, კამეჩისა და სხვ. სარგებლობა შეიძლება ერთი წლით, წვრილფეხა საქონლისა კი—ორი თვით.

8. უკეთუ მე-7 მუხ. აღნიშნული ვადის განმავლობაში აღმოჩნდება ირაო საქონლის პატრონი და წარადგენს იმის დამამტკიცებელ სარწმუნო საბუთებს, რომ საქონელი მას ეკუთვნის, საქონელი მას დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნოს. დამ-

жавший обязан, не позже трех дней, передать скот ближайшему органу милиции с сообщением о времени и месте задержания скота или сообщить о задержании председателю темского Исполнительного Комитета, который немедленно доводит о том до сведения органа милиции.

2. Пригульный скот может быть передан также непосредственно ближайшему крестьянскому комитету. Председатель последнего обязан немедленно довести о том до сведения органа милиции под страхом ответственности по ст. 121 Уголовного Кодекса.

3. Орган милиции, приняв скот, немедленно приступает к розыску владельца и доносит подлежащему уездному или городскому управлению милиции.

4. Принятый органами милиции пригульный скот отдается на прокормление ближайшему крестьянскому комитету, а в случае отказа со стороны последнего, может быть отдан кому-либо из граждан, известных органу милиции и из‘явивших на то согласие.

5. Скот, принятый крестьянским комитетом от милиции или непосредственно от задержателя, эксплоатируется сообразно с целями и нуждами комитета и может быть передаваем отдельным беднейшим крестьянам во временное пользование.

6. Принятый Комитетом скот довольствуется либо за счет самого комитета, либо за счет лица, коему скот передан комитетом во временное пользование.

7. Временное пользование пригульным скотом определяется следующими сроками; в отношении крупного скота: лошадей, коров, буйволов и др.—в течении года, в отношении мелкого скота—в течении двух месяцев.

8. В случае обнаружения в течение указанного в п. 7 срока владельца пригульного скота, представившего достоверные доказательства о принадлежности ему такового, последний немедленно ему возвращается; о воз-

რუნება უნდა ეცნობოს მილიციის უფროსს.

9. უკეთუ მე-7 მუხ. აღნიშნულ ვადაზე ირაო საქონლის პატრონი არ აღმოჩნდება, საქონელი გადაეცემა ადგილობრივ გლეხთა კომიტეტს და პატრონი დაჰკარგავს ყოველივე უფლებას საქონლის დაბრუნებაზე.

10. უკეთუ ირაო საქონელი პატრონს ან გლეხთა კომიტეტს გადაეცემა, ეს უკანასკნელი ვალდებულ არიან აუნაზღაურონ მილიციის ორგანოს და იმ პირს, ვინც საქონელს არჩენდა, ყველა ის ხარჯი, რაც გაწეულ იყო როგორც პატრონის მოსაძებნად, ისე ირაო საქონლის გამოსაკვებად, ამასთანავე ამ საზღაურს უნდა გამოაკლდეს ყველა ის გამორჩენა, რაც მიღებულია საქონლის გამოყენებით.

11. განზრახი, მითვისების მიზნით, განუცხადებლობა ირაო საქონლის დაჭერისა სათანადო ორგანოსათვის დაისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 192 მუხლით.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **შ. ელიავა.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭ. საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1925 წ. სექტემბრის 21.
ტფილისი—სასახლე.

вращении уведомляется орган милиции.

9. В случае необнаружения владельца пригульного скота в течение указанного в п. 7 срока, скот передается местному крестьянскому комитету, а владелец его теряет всякое право на возвращение ему скота.

10. При передаче пригульного скота в течение указанного в п. 7 срока, скот передается местному крестьянскому комитету; последние обязаны возместить органам и лицам, у коих скот содержался, понесенные ими расходы по розыску владельца, а также по содержанию пригульного скота, с зачетом извлеченных при пользовании таковым выгод.

11. Умышленное с целью присвоения несообщение о задержании скота подлежащим органам карается по ст. 192 Уголовного Кодекса.

Председатель Совета Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *Ш. Элиава.*

Управляющий Делами Совета Нар. Комис. Соц. Сов. Респ. Грузии *Ал. Саларидзе.*

1925 г. сентября 21.
Тифлис—Дворец.

## 99. დადგენილება № 29.

### საქართ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

### 1925/26 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოსაანგარიშებლად კატეგორიების (თანრიგების) დაწესების შესახებ.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 23 მუხლისა და მისივე ინსტრუქციის 53 §-ის თანახმად— საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1925/26 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოსაანგარიშებლად საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში დაწე-

## 99. Постановление № 29

### Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Республики Грузии

### Об установлении разрядов для исчисления единого сельско-хозяйственного налога на 1925/26 г.

На основании ст. 23 Положения об едином сельско-хозяйственном налоге и § 53 Инструкции к нему—Совет Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии постановляет:

1. Для исчисления единого сельско-хозяйственного налога на 1925/26 г. по Соц. Сов. Республике Грузии установить для каждой автономной

სებულ იქნეს თვითეული ავტონომიური ერთეულისა და მაზრისათვის შემდეგი კატეგორიები (თანრიგები) ზემოაღნიშნულ დებულებასთან დართული სავადასახადო განაკვეთის 96 №-რის ცხრილისა:

| | | |
|---|---|---|
| აფხაზეთისათვის | | V. |
| აჭარისათვის | | VI. |
| სამხრეთ-ოსეთისათვის | | V. |
| ახალქალაქის მაზრისათვის | | IV. |
| ახალციხის | " | V. |
| ბორჩალოს | " | VI. |
| გორის | " | V. |
| დუშეთის | " | V. |
| სიღნაღის | " | VI. |
| თელავის | " | VI. |
| ტფილისის | " | IV. |
| ზუგდიდის | " | V. |
| ქუთაისის | " | VI. |
| ლეჩხუმის | " | VI. |
| რაჭის | " | VI. |
| სენაკის | " | VI. |
| შორაპნის | " | V. |
| ოზურგეთის | " | V. |

2. დადგენილება ესე დაეგზავნოს ყველა სამფინგანებს, თემაღმასკომებს და სოფლის საბჭოებს შესამჩნევ ადგილზე გასაკრავად და სოფლის ყრილობაზე გამოსაცხადებლად.

3. ამა დადგენილებით დაწესებული გადასახადის კატეგორიების (თანრიგები) შეცვლა არ შეიძლება სავადასახადო პერიოდის განმავლობაში.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭ. საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1925 წ. სექტემბრის 29.
ტფილისი—სასახლე.

единицы и каждого уезда следующие разряды обложения по таблице ставок налога № 96, приложенной к означенному Положению:

| | | |
|---|---|---|
| по Абхазии | | V. |
| „ Аджаристану | | VI. |
| „ Южной Осетии | | V. |
| „ Ахалкалакскому уезду | | IV. |
| „ Ахалцихскому | „ | V. |
| „ Борчалинскому | „ | VI. |
| „ Горийскому | „ | V. |
| „ Душетскому | „ | V. |
| „ Сигнахскому | „ | VI. |
| „ Телавскому | „ | VI. |
| „ Тифлисскому | „ | IV. |
| „ Зугдидскому | „ | V. |
| „ Кутаисскому | „ | VI. |
| „ Лечхумскому | „ | VI. |
| „ Рачинскому | „ | VI. |
| „ Сенакскому | „ | VI. |
| „ Шорапанскому | „ | V. |
| „ Озургетскому | „ | V. |

2. Разослать экземпляры настоящего постановления всем уездным финорганам, темисполкомам и сельсоветам для расклейки на местах видных и об'явления на сельских собраниях.

3. Установленные настоящим постановлением разряды обложения и ставки налога не подлежат изменению в течение налогового периода.

Зам. Председ. Сов Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии С. *Джугели.*

Управляющий Делами Совета Народ. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *А. Саларидзе.*

1925 г. сентября 29.
Тифлис—Дворец.

## 100. დადგენილება № 30

### საქართ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

**სრულიად საქართველოს მეხილეთა და მებოსტნეთა კოოპერატიული კავშირის „ბაღ ბოსტან-კავშირი"-ს დაარსების შესახებ.**

საქართველოში მეხილეობის და მებოსტნეობის მდგომარეობის გასაუმ-

## 100. Постановление № 30

### Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии

**Об учреждении Всегрузинского Кооперативного Союза плодоводов и огородников „Баг-Бостан-Кавшири".**

В целях улучшения дела плодоводства и огородничества в Грузии, в основу чего должны лечь самодея-

ჯობესებლად, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს მეხილეთა და მებოსტნეთა თვითმოქმედება და მათი გაერთიანება კოოპერატიულ ორგანიზაციების პრინციპებზე, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაარსდეს სრულიად საქართველოს მეხილეთა და მებოსტნეთა კოოპერატიული კავშირი „ბაღ-ბოსტან-კაკშირი".

2. „ბაღ-ბოსტან-კავშირი"-ს მიზანია:

ა) მიაწოდოს მწარმოებელს, მოკავშირე ორგანიზაციების შეშვეობით, მეხილეობისთვის და მებოსტნეობისთვის საჭირო ნერგი, თესლი, ხელსაწყო იარალი, წამალი, ხილის შესახვევი, ჩასაწყობი და სხვა მასალა;

ბ) მოაწესრიგოს ხილის და ბოსტნეულობის დამზადება-გადამუშავება და აგრეთვე გასაღება როგორც საქართველოს, ისე სოც. საბჭ. რესპ. კავშირის და საგარეო ბაზრებზე;

გ) ხელი შეუწყოს მეხილეობის და მებოსტხეობის განვითარებას სათანადო ცოდნის გავრცელეებით და პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელებით.

3. სპეციალურ კოოპერატიულ აღმშენებლობას მეხილეობის და მებოსტნეობის საქმეში „ბაღ-ბოსტან-კავშირი" განახორციელებს ორსაფეხურიანი სისტემის შექმნით: ადგილობრივი ძირითადი კოოპერატიულ ამხანაგობათა და ცენტრალურ ორგახოს (მათი კავშირის) მოწყობით.

**შენიშვნა.** „ბაღ-ბოსტან-კავშირი" გააერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა ძირითად კოოპერატიულ ოოგანიზაციას მეხილეობისა და მებოსტნეობის დარგში და მოაწყობს ახალ ორგანიზაციებს საქართველოს იმ რაიონებში, სადაც ეს ორგანიზაციები არ არსებობს.

4. ადგილობრივი კოოპერატიული ამხანაგობის მიზანია:

ა) მიაწოდოს წევრებს საჭირო მასალა—ნერგი, თესლი, ხელსაწყო იარალი, წამალი და სხვ.;

ბ) დაამზადოს თავისი წევრების ბაღბოსტნის მოსავალი, რისთვისაც მოაწყოს საჭირო საწყობები;

тельность плодоводов и огородников и об'единение их на кооперативных началах. Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляет:

1. Учредить Всегрузинский Кооперативный Союз плодоводов и огородников „Баг-Бостан-Кавшири".

2. Целью „Баг-Бостан-Кавшири" является:

а) снабжение производителей через организации Союза необходимыми для плодоводства и огородничества посадочным материалом, семенами, инструментами, лечебными, оберточными, упаковочными и другими материалами;

б) урегулирование заготовки и переработки фрукт и овощей, а также организация их сбыта как на рынках Грузии, так и на рынках Союза Советских Социалистических Республик и заграничных;

в) содействие развитию дела плодоводства и огородничества путем распространения соответствующих знаний и осуществления практических мероприятий.

3. Специальное кооперативное строительство в деле плодоводства и огородничества „Баг-Бостан-Кавшири" осуществяет путем создания двухступенной системы: образования местных низовых кооперативных товариществ и центрального органа (их союза).

*Примечание.* „Баг-Бостан-Кавшири" об'единяет существующие в Грузии по отрасли плодоводства и огородничества все низовые кооперативные организации и учреждает новые организации в тех районах Грузии, где таковых нет.

4. Целью местных кооперативных товариществ является:

а) снабжение членов необходимым посадочным материалом, семенами, инструментами, лечебными материалами и пр.;

б) заготовка урожая садов и огородов, принадлежащих членам това-

გ) გადაამუშაოს და გაასაღოს დამზადებული მოსავალი;

დ) ხელი შეუწყოს ადგილობრივ მეხილეობისა და მებოსტნეობის გაუმჯობესებას.

5. „ბაღ-ბოსტან-კავშირი"-ს ცენტრალური ორგანოს მიზანია:

ა) გაუწიოს მეხილეობას და მებოსტნეობას საერთო ხელმძღვანელობა;

ბ) მოაწესრიგოს მეხილეობის და მებოსტნეობის ნაწარმოების გადამუშავება-რეალიზაციის საქმე;

გ) მიაწოდოს მეხილე-მებოსტნეთ საჭირო ხელსაწყო და მასალა;

დ) საერთოდ, იზრუნოს საქართველოში მეხილეობისა და მებოსტნეობის განვითარებისათვის.

6. მეხილეთა და მებოსტნეთა კოოპერატიული კავშირის ორგანიზაციისათვის დაარსდება სამი პირისაგან შემდგარი საორგანიზაციო ბიურო, რომელსაც დაევალება ყველა წინასწარი სამუშაოს შესრულება (წესდების შედგენა და სხვ.).

7. კავშირის ჩამოყალიბებამდე და წესდების საფუძველზე მმართველობის ჩვეულებრივ ორგანოთა (გამგეობა, სარევიზიო კომისია) არჩევამდე, საორგანიზაციო ბიუროს აქვს იურიდიული პირის ყველა უფლება — მას შეუძლიან აწარმოოს სავაჭრო ოპერაციები და დასდოს ყოველგვარი გარიგება, კერძოთ: გაიხსნას ბანკებში კრედიტი, აიღოს სესხი, გასცეს თამასუქები, დააგირაოს საქონელი, დაიქირაოს მუშა-მოსამსახურენი და, საერთოდ, ისარგებლოს ყველა ის უფლება, რაც მინიჭებული აქვს კავშირის აღმასრულებელ ორგანოს კოოპერატიული კავშირების ნორმალური წესდების საფუძველზე. საორგანიზაციო ბიუროსვე გადაეცემა მეხილეობისათვის და მებოსტნეობისათვის დანიშნული ყველა თანხა და კრედიტი.

8. საორგანიზაციო ბიურო აწარმოებს ყველა საჭირო საორგანიზაციო მუშაობას, ვიდრე ჩამოყალიბდებოდეს მეხილეთა და მებოსტნეთა კოოპერატიული კავშირი, რისთვისაც მოწვეული უნდა იქნეს მეხილეთა და მებოსტნეთა კოოპერატიულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობა, რომელიც აირჩევს სრულუფლებიან გამგეობას და სხვა სათანადო ორგანოს.

рищества, с устройством для этого необходимых складов;

в) переработка и реализация заготовленного урожая;

г) содействие улучшению местных плодоводства и огородничества.

5. Целью центрального органа „Баг-Бостан-Кавшири" является:

а) общее руководство делом плодоводства и огородничества;

б) урегулирование дела переработки и организация сбыта продуктов плодоводства и огородничества;

в) снабжение плодоводов и огородников необходимыми инструментами и материалами;

г) вообще, забота о развитии в Грузии плодоводства и огородничества.

6. Для организации Кооперативного Союза плодоводов и огородников образуется из трех лиц Организационное Бюро, на которое возлагается выполнение всей предварительной подготовительной работы (составление устава и пр.).

7. До оформления Союза и избрания на основании устава соответствующих органов управления (правление, ревизионная комиссия) Организационное Бюро пользуется всеми правами юридического лица — оно имеет право производить торговые операции и заключать всякого рода сделки, в частности: кредитоваться в Банках, совершать займы, выдавать векселя, закладывать товары, нанимать рабочих и служащих и вообще пользоваться всеми правами, предоставляемыми согласно нормального устава кооперативных союзов исполнительным органам последних. Организационному же Бюро передаются все суммы и кредиты, предназначенные для дела плодоводства и огородничества.

8. Организационное Бюро выполняет всю необходимую организационную работу впредь до оформления Кооперативного Союза плодоводов и огородников, для чего должно быть созвано собрание представителей кооперативных организаций плодоводов и огородников на предмет избрания

9. საორგანიზაციო ბიურო ვალდებულია ჩააბაროს რწმუნებულთა ყრილობას თავისი მოქმედების ანგარიში.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ. თავმჯდ. მოადგ. **ს. ჯუღელი.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ. საქმეთა მმართვ. **ალ. სალარიძე.**

1925 წ. ოქტომბრის 8.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-243 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 22.

полномочного правления и других соответствующих органов Союза.

9. Организационное Бюро обязано представить Собранию уполномоченных отчет о своей деятельности.

Зам. Пред. Совета Народ. Комис. Соц. Сов. Респ. Грузии *С. Джугели.*

Управляющий Делами Совета Народ. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *Ал. Саларидзе.*

1925 г. октября 8.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газ. „Коммунист" № 243 от 22 октября 1925 г.

---

## 101. დადგენილება № 31

### საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომის. საბჭოსი

**შინამრეწველობისა და ხელოსნობის წარმოების გამოკვლევის შესახებ სოფლად 1925 წ.**

რათა შინამრეწველობისა და ხელოსნობის წარმოება სათანადოთ შესწავლილ იქნეს, და აგრეთვე 1926 წ. განზრახული სრულიად საკავშირო აღწერებისათვის შეკრეფილ იქნეს საამისოდ საჭირო მასალა, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოწყობილ იქნეს შინამრეწველობისა და ხელოსნობის წარმოების გამოკვლევა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სოფლებში.

2. გამოკვლევის საერთო ხელმძღვანელობა დაეკისროს საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს.

3. ამა გამოკვლევის ტეხნიკური განხორციელება-კი ადგილობრივ დაეკისროს თემისა და სოფლის საბჭოებს მათი სრული პასუხისმგებლობით.

4. სოფლისა და თემის საბჭოებს მიეცეს უფლება გამოკვლევის განსახორციელებლად გამოიყენონ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა, განათლების სახალხო კომისარიატისა, სამაზრო აღმასკომების, თემაღმასკომების და სხვ. ორგანოების ადგილობრივი თანამშრომლები.

5. გამოკვლევა დაწყებულ იქნეს ამა წლის ოქტომბრის 15-ს, ხოლო დამთავრებულ—ერთი თვის განმავლობაში.

## 101. Постановление № 31

### Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии

**О производстве обследования в сельских местностях кустарно-ремесленной промышленности.**

В целях всестороннего изучения кустарно-ремесленной промышленности в сельских местностях, а также для того, чтобы подготовить исчерпывающий материал по этому вопросу для Всесоюзных переписей 1926 года, Совет Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии постановляет:

1. Произвести обследование кустарно-ремесленной промышленности в сельских местностях ССР Грузии.

2. Руководство по обследованию возложить на Центральное Статистическое Управление Грузии.

3. Техническое же проведение обследования возложить на темские и сельские советы под их полной ответственностью.

4. В целях успешного произведения означенного обследования темсоветам и сельсоветам предоставляется право привлекать к работе местных работников НКВнудела, НКПроса, Уисполкома, Темисполкомов и т. д.

5. К обследованию приступить с 15 октября с. г. и закончить в месячный срок.

6. Темским и сельским советам

6. სოფლისა და თემის საბჭოები შეკრეფილ მასალას წარუდგენენ საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს—მისი ადგილობრივი ორგანოების (სამაზრო სტატბიუროებისა და რესპუბლიკანური სტატსამმართველოების) მეშვეობით.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭ. თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1925 წ. ოქტომბრის 8.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-232 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 9.

предлагается представлять материал обследования незамедлительно по окончании обследования в Центральное Статистическое Управление Грузии через его местные (уездные статбюро и Стат. Управления авт. республик) органы.

Зам. Председ. Совета Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии С. *Джугели.*

Управ. Делами Совета Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *Ал. Саларидзе.*

1925 г. октября 8.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в г. "Коммунист" № 232 от 9 октября 1925 г.

## 102. ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ № 32

### საქ. სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

**სასამართლოს წესით დადებული ჯარიმისა და სასამართლოს ხარჯის გადახდევინებისათვის, აგრეთვე სასამართლოს მიერ სახელმწიფო სახსარზე მყოფი დაწესებულების სასარგებლოდ გამოტანილ გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის მეთვალყურეობის გაწევის წესების შესახებ.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყველა სასამართლო დაწესებულებამ ყოველი თავისი დადგენილება ან გადაწყვეტილება, რომლითაც დადებულია ჯარიმა, ან და რომლითაც სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულების სასარგებლოდ გადაწყვეტილია სასამართლო ხარჯი და დაკმაყოფილებულია სარჩელი, გადამხდევინებლისთვის აღსრულების ფურცლის მიცემისათანავე, ან გადაწყვეტილების თუ დადგენილების აღმასრულებელ ორგანოსათვის შეტყობინებისთანავე, უნდა აცნობოს ადგილობრივ საფინანსო განყოფილებას, თანაც სათანადო შემთხვევაში უნდა აღნიშნოს, რომელ აღმასრულებელ ორგანოს მიენდო გადახდევინება.

2. აღმასრულებელმა ორგანომ ამა

## 102. Постановление № 32

### Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии

**О порядке наблюдения за взысканием штрафов, налагаемых в судебном порядке, и судебных расходов, а равно за исполнением судебных решений в пользу находящихся на госбюджете учреждений.**

Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляет:

1. Все судебные учреждения о всех вынесенных ими определениях или решениях о наложении штрафа, а равно о присуждении в пользу находящихся на государственном бюджете учреждений судебных расходов и об удовлетворении исков в пользу означенных учреждений, одновременно с выдачей исполнительного листа взыскателю или с извещением о таковых решениях или определениях исполнительных органов, обязаны немедленно уведомить местный Финансовый Отдел, указывая вместе с этим, какому именно исполнительному органу поручается взыскание.

2. Исполнительные органы обязаны без замедления приводить в исполнение упомянутые в ст. 1 насто-

წესების 1 მუხლში აღნიშნული დადგენილება და გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა მოიყვანოს სისრულეში, ხოლო გადახდევინებული თანხა შეიტანოს ადგილობრივ საფინანსო განყოფილებაში.

3. ადგილობრივმა საფინანსო განყოფილებამ სისწორით უნდა აღნუსხოს ყველა დადებული ჯარიმა, აგრეთვე ყველა თანხა, რაც სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულების სასარგებლოდ არის გადაწყვეტილი (მუხ. 1) და თვალყური ადევნოს იმას, რომ ყველა ეს თანხა თავის დროზე იქნეს შეტანილი, ხოლო გადასახდევინებელი თანხის შეტანის დაყოვნება აცნობოს იმ სასამართლოს, რომელმაც გადაწყვეტილება გამოიტანა.

მთლად ის თანხა, რაც საფინანსო განყოფილებაში ჯარიმად შევა, უნდა ჩაირიცხოს სახელმწიფო შემოსავლად, თუ კანონით ან ცენტრალური ხელისუფლების განკარგულებით მას სხვა რამ დანიშნულება არ მიეცა.

5. ყველა თანხა, რაც საფინანსო განყოფილებაში შევა, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულების სასარგებლოდ გადახდილი სასამართლო ხარჯი ან მისი სარჩელის გამო გადახდილი თანხა, უნდა ჩაირიცხოს ან ხაზინის შემოსავლად, ან ამა თუ იმ უწყების კრედიტის აღსადგენად, იმისდა მიხედვით, თუ რა ხასიათისაა გადახდევინებული თანხა—საშემოსავლო თუ უწყების საოპერაციო სახსარი.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭ. თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართვ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭ. საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1925 წ. ოქტომბრის 8.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-237 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 15.

ящего постановления определения и решения, а взысканные суммы немедленно сдавать в местный Финансовый Отдел.

3. Местные Финансовые Отделы обязаны вести точный учет всем наложенным штрафам, а равно суммам, присужденным в пользу находящихся на госбюджете учреждений (п. 1), следить за полной и своевременной их сдачей и, в случае замедления в поступлении взыскиваемых сумм, доводить о том до сведения суда, вынесшего решение.

4. Все суммы, поступающие в Финансовые Отделы от взыскания штрафов, должны зачисляться в доход государства, поскольку в законе или распоряжениях центральной власти не указано иного назначения.

5. Все суммы, поступающие в Финансовые Отделы от взыскания присужденных в пользу находящихся на госбюджете учреждений судебных расходов и по искам их, зачисляются либо в доход казны, либо на восстановление кредитов ведомств, в зависимости от того, являются ли взыскиваемые суммы доходными поступлениями или же операционными средствами ведомств.

Зам. Председ. Сов. Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *С. Джугели.*

Управл. Делами Сов. Нар. Комис. ССР Грузии *Ал. Саларидзе.*

1925 г. октября 8.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в г. „Коммунист" № 237 от 15 октября 1925 г.

## 103. დადგენილება № 33

### საქართვ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

**იმ პირთა შესახებ, რომელთაც დაჰკარგეს უფლება დაწესებულებასთან სახინათ კმაყოფის მიღებისა და ამის გამო მოვალენი არიან დასცალონ მათ მიერ დაჭერილი საცხოვრებ. სადგომი.**

რათა სათანადოდ გამოყენებულ იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ქვემდებარე დაწესებულებებთან არსებული საცხოვრებელი სადგომები, საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ის პირი, რომელმაც სამსახურიდან დათხოვნისა, გადაყვანისა და სხვა ამ გვარი მიზეზის გამო დაჰკარგა უფლება ისარგებლოს საცხოვრებელი სადგომით სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ქვემდებარე დაწესებულებასთან, აგრეთვე ასეთი პირის ოჯახი და ოჯახი გარდაცვალებული მოსამსახურისა,—მოვალეა ერთი თვის განმავლობაში დღიდან დაწესებულების უფროსის მიერ სათანადო მოთხოვნის წარდგენისა დასცალოს მის მიერ დაჭერილი სახელმწიფო სადგომი.

> **შენიშვნა.** გამოსახლებულ უნდა იქნეს ისეთი პირიც, რომელიც დაწესებულებისათვის გარეშეა და 1-მუხლში აღნიშნულ პირებთან ცხოვრობს.

2. დაწესებულების უფროსის მოთხოვნა ბინის დაცლის შესახებ შესრულდება ადმინისტრატიული წესისამებრ.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ. თავმჯდ. მოადგილე **ა. გეგეჭკორი.**

საქართვ. სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭ. საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1925 წ. ოქტომბრის 10.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-236 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 14.

## 103. Постановление № 33

### Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Республики Грузии

**Об обязанности лиц, утративших право на квартирное довольствие при учреждениях, очистить занимаемые ими жилые помещения.**

В целях надлежащего использования жилых помещений при учреждениях, подчиненных Всегрузинскому Центральному Исполнительному Комитету Советов и Совету Народных Комиссаров ССР Грузии, Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляет:

1. Лица, утратившие право на пользование квартирой при учреждениях, подчиненных Всегрузинскому Центральному Исполнительному Комитету Советов и Совету Народных Комиссаров ССР Грузии, вследствие увольнения, перевода и т. п., семьи этих лиц, а также семьи умерших служащих обязаны очистить занимаемые ими казенные помещения в месячный срок со дня пред'явления соответствующего требования начальством учреждения.

> *Примечание.* Выселению подлежат и лица посторонние учреждению, проживающие вместе с перечисленными в 1 ст. лицами.

2. Требования начальства учреждения об очистке квартир приводится в исполнение в административном порядке.

Зам. Председ. Совета Народных Комиссаров Соц. Советской Респ. Грузии *А. Гегечкори.*

Управл. Делами Совета Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *Ал. Саларидзе.*

1925 г. 10 октября.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в г. „Коммунист" № 236 от 14 октября 1925 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 104. დადგენილება

### საქართვ. სოც. საბჭ. რესპუბ. სახ. კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ სამრეწველო საწარმოთა მიერ სტატისტიკური ცნობების წარდგენისა და შეტყობინების წესის შესახებ.**

რათა მოგვარებულ იქნეს საკითხი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ სამრეწველო საწარმოთა მიერ სტატისტიკური ცნობების წარდგენისა და შეტყობინების წესის შესახებ, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სამრეწველო საწარმო, რომელიც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ტრესტში შედის, ყოველგვარ სტატისტიკურ ცნობებს წარუდგენს სათანადო ტრესტის გამგეობას.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ტრესტის გამგეობა სტატისტიკურ ცნობებს დადგენილი ფორმით და განსაზღვრულ ვადაზე წარუდგენს: ა) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სტატისტიკურ ქვეგანყოფილებას და ბ) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ შრომის სტატისტიკურ ბიუროს.

> შენიშვნა. შრომის სტატისტიკურ ბიუროში წარდგენილი სტატისტიკური ცნობების ასლი გადაეგზავნება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სტატისტიკურ ქვეგანყოფილებას და სათანადო პროფესიონალური კავშირის ცენტრალურ გამგეობას.

3. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სტატისტიკური ქვეგანყოფილება წარუდგენს სტატისტიკურ ცნობებს, როგორც დადგენილი ფორმით და განსაზღვრულ ვადაზე, ისე ცალკე დავალებით საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, ხოლო მიმდინარე კონიუნ-

## 104. Постановление

### Совета Народных Комиссаров ССР Грузии

**О порядке представления и сообщения статистических сведений промышленными предприятиями, находящимися на территории ССР Грузии.**

В целях урегулирования вопроса о порядке представления и сообщения статистических сведений промышленными предприятиями, находящимися на территории ССР Грузии, Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляет:

1. Промышленные предприятия, входящие в тресты Высшего Совета Народного Хозяйства ССР Грузии, представляют всякого рода статистические сведения Правлениям соответствующих трестов.

2. Правления трестов Высшего Совета Народного Хозяйства ССР Грузии представляют статистические сведения по установленным формам и в установленные сроки: а) Статистическому п/отделу Высшего Совета Народного Хозяйства ССР Грузии и б) Статистическому бюро труда при народном Комиссариате Труда ССР Грузии.

> *Примечание*. Копии статистических сведений, представляемых Статистическому бюро труда, сообщаются Статистическому п/отделу Высшего Совета Народного Хозяйства ССР Грузии и Центральному Правлению соответствующего профессионального союза.

3. Статистический Под'отдел Высшего Совета Народного Хозяйства ССР Грузии представляет статистические сведения, как по установленным формам и в установленные сроки, так и по отдельным заданиям, Центральному Статистическому Управлению ССР Грузии, а текущие кон'юнктурные сведения о государственной промышленности, кроме того, Государственной Плановой Комиссии при ЭКОСО ССР Грузии.

4. Промышленные предприятия, не

ქტურულ ცნობებს სახელმწიფო მრეწველობის შესახებ, გარდა ზემოხსენებული დაწესებულებისა, წარუდგენს აგრეთვე საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიასაც.

4. ის სამრეწველო საწარმო, რომელიც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გამგებლობაში არ არის, სტატისტიკურ ცნობებს წარუდგენს უშუალოდ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს.

5. ყველა დაწესებულება და უწყება, რომელსაც ესაჭიროება რაიმე სტატისტიკური ცნობა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მრეწველობის შესახებ, მიიღებს მას მხოლოდ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მეშვეობით.

6. იმ საწარმოს, ტრესტის გამგეობის და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სტატისტიკური ქვეგანყოფილებისაგან სტატისტიკური ცნობების უშუალოდ მიღების უფლება აქვს: ა) სასწრაფო შემთხვევაში—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ცენტრალურ სტატისტიკურ განყოფილებას და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, ბ) მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს მათ მიერ წარმოებული გამოკვლევის დროს და გ) სასამართლო, სასამართლო-საგამომძიებლო და საპროკურორო ორგანოებს, აგრეთვე კონტრრევოლიუციასთან, ბანდიტიზმთან და თანამდებობრივ დანაშაულებასთან მებრძოლი საგანგებო კომისიის ორგანოებს მათ წარმოებაში ქონებულ საქმეთა გამო.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ. თავმჯდ. მოადგილე **ხ. ჯუღელი.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ. საქმეთა მმართვ. **ალ. ხალარიძე.**

1925 წ. ოქტომბრის 13.
ტფილისი—სასახლე.

находящиеся в ведении Высшего Совета Народного Хозяйства ССР Грузии, представляют статистические сведения непосредственно в Центральное Статистическое Управление ССР Грузии.

5. Все учреждения и ведомства, заинтересованные в получении всякого рода статистических сведений о промышленности ССР Грузии, получают таковые исключительно через Центральное Статистическое Управление ССР Грузии.

6. Право получения статистических сведений непосредственно от предприятий, Правлений трестов и Статистического Под'отдела Высшего Совета Народного Хозяйства ССРГ принадлежит: а) в случаях экстренной надобности, Центральному Статистическому Отделу Высшего Совета Народного Хозяйства ССРГ и Государственной Плановой Комиссии при ЭКОСО ССР Грузии, б) органам Рабоче-Крестьянской Инспекции, при производящихся ими обследованиях и в) органам судебным, судебно-следственным и прокуратуры, а равно органам Чрезвычайной Комиссии по борьбе с контр-революцией, бандитизмом и преступлениями по должности, по находящимся в их производстве делам.

Зам. Председ. Совета Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *С. Джугели.*

Управ. Делами Совета Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *Ал. Саларидзе.*

1925 г. октября 13.
Тифлис—Дворец.

## 105. დადგენილება

### საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

### დაკარგული დოკუმენტის განახლების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ის პირი, რომელმაც დაჰკარგა საცხოვრებელი დოკუმენტი, მანდატი, პროფესიონალური კავშირის წევრობის წიგნაკი და, საერთოდ, ყოველი დოკუმენტი, რაც ადასტურებს რაიმე სამსახურებრივ ან სამოქალაქო უფლებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ, გაიგებს თუ არა დაკარგვას, შეიტანოს სათანადო განცხადება იმ დაწესებულებაში, რომელმაც დოკუმენტი გასცა, და იმ ადგილის მილიციის სამმართველოში, სადაც დამკარგავი სცხოვრობს ან დროებით იმყოფება; ამის შესახებ მილიცია შეადგენს სათანადო ოქმს.

2. ოქმის ასლი მიეცემა დაინტერესებულ პირს, რომელმაც თავისი ხარჯით უნდა მოათავსოს პუბლიკაცია ერთერთ ადგილობრივ ბეჭდვითი ორგანოში. პუბლიკაციაში აღნიშნულ უნდა იქნეს: დოკუმენტის სახელწოდება, დაწესებულება, რომელმაც დოკუმენტი გასცა, თარიღი და ნომერი გაცემულ დოკუმენტისა და ის პირი, რომელსაც დოკუმენტი მიეცა.

3. პუბლიკაციის დღიდან შვიდი დღის გასვლის შემდეგ დოკუმენტის დამკარგავს, პუბლიკაციის და ოქმის ასლის წარმოდგენისას, შეიძლება სათანადო დაწესებულებიდან მიეცეს, დაკარგული დოკუმენტის სამაგიეროდ, ახალი დოკუმენტი, რომელზედაც უეჭველად უნდა იყოს წარწერა: „დუბლიკატი გაცემულია დაკარგულის ნაცვლად".

4. მილიციის ადგილობრივმა ორგანომ დაკარგული დოკუმენტების სიის ასლი დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მილიციის სამმართველოს, რომელსაც შეუძლიან, საჭირო შემთხვევაში, თავისი ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით, მიიღოს ღონისძიება დაკარგული დოკუმენტების მოსაძებნად.

5. უკეთუ დოკუმენტი გზაში დაიკარგა, დამკარგველმა ამის შესახებ უნდა განუცხადოს საგზაო-სატრანსპორტო საგანგებო კომისიის ადგილობრივ ორგა-

## 105. Постановление

### Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии

### О возобновлении утраченных документов.

Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляет:

1. Лица, утратившие виды на жительство, мандаты, членские книжки профессиональных союзов и вообще всякие документы, удостоверяющие какие-нибудь служебные или гражданские права обязаны немедленно, по обнаружении утраты, сделать надлежащее заявление учреждению, выдавшему документ, и в Управление Милиции по месту их жительства или временного нахождения, о чем последнее составляет соответствующий протокол.

2. Копия протокола выдается на руки заинтересованному лицу, которое за свой счет обязано сделать публикацию в одном из местных органов печати. В публикации должно быть указано: наименование документа, орган, выдавший его, дата выдачи и номер его, лицо, кому документ выдан.

3. По прошествии 7 дней со дня публикации лицу, утратившему документ, по пред'явлении публикации и копии протокола, может быть выдан соответствующим учреждением другой взамен утраченного, при чем на этом документе обязательно делается надпись: „дубликат выдан взамен утраченного".

4. Местные органы милиции обязаны немедленно сообщать копии списков утраченных документов в Управление Милиции, которое может, в необходимых случаях, через свои местные органы принимать меры к розыску этих документов.

5. В случаях утери документов в пути, утерявший должен заявить об утере местному органу ДТЧК; последняя по составлении протокола об утере, выдает заявителю копию протокола и письменную справку, с указанием в ней места, куда следует потерпевший, или места его постоянного жительства, а также срока, на ко-

ნოს; ეს უკანასკნელი, დოკუმენტის დაკარგვის შესახებ სათანადო ოქმის შედგენისას, მისცემს განმცხადებელს ოქმის ასლს და წერილობით ცნობას, რომელშიც აღინიშნება ის ადგილი, სადაც დაზარალებული მიემგზავრება, ან მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, აგრეთვე ვადა, რომლის განმავლობაშიაც ეს ცნობა დაკარგული დოკუმენტის ნაცვლად გამოიყენება. ეს ვადა ერთ თვეს არ უნდა აღემატებოდეს.

6. ის, ვინც დაკარგულ დოკუმენტს იპოვის, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარადგინოს იგი მილიციის ადგილობრივ ორგანოში, რომელიც დოკუმენტს გაჰგზავნის დოკუმენტის დამკარგავის საცხოვრებელ ადგილას, უკეთუ ის ადგილი გამორკვეული არ არის,—შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრატიულ განყოფილებაში.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ. თავმჯდ. მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ. საქმეთა მმართვ. **ალ. სალარიძე.**

1925 წ. ოქტომბრის 13.
ტფილისი—სასახლე.

торый справка эта заменяет утерянный документ. Срок этот не может превышать 1 месяца.

6. Нашедший утраченные документы обязан немедленно представить их в местный орган милиции, который направляет документы по месту жительства лица, утерявшего документ, а в случае неизвестности—в Административный Отдел НКВД.

Зам. Председателя Сов. Нар. Ком. С.С.Р. Грузии С. *Джугели.*

Управл. Делами Сов. Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *Ал. Саларидзе.*

1925 г. октября 13.
Тифлис—Дворец.

## 106. დადგენილება

### საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:
ამხ. ვაშაძე ალექსანდრე განთავისუფლებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობიდან ამა წლის ნოემბრის 6-დან.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ. თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ. საქმ. მმართვ. მაგ. **მ. იაკოვლევი.**

1925 წ. ნოემბრის 6.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-261 №-ში 1925 წ. ნოემბრის 13.

## 106. Постановление

### Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Республики Грузии.

Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляет:
Тов. Вашадзе Александра освободить от обязанностей Заместителя Народного Комиссара Земледелия ССР Грузии с 6 ноября с. г.

Председатель Сов. Народ. Комис. Соц. Сов. Респ. Грузии *Ш. Элиава.*

За Управл. Делами Совета Народ. Комис. ССР Грузии *М. Яковлев.*

1925 г. ноября 6.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газ. „Коммунист" № 261 от 13 ноября 1925 г.

## 107. დადგენილება

### საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოსი

**სამრეწველო საწარმოთა ძირითადი და დამხმარე შენობისა და ნაგებობის აშენებისათვის და კაპიტალური გადაკეთებისათვის პროექტის დამტკიცებისა და წინასწარ სანიტარულ-ტეხნიკური ზედამხედველობის განხორციელების წესის შესახებ.**

ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წლის სექტემბრის 30-ის თარიღით და 36 №-ით გამოცემული დადგენილებისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წლის აგვისტოს 6-ს თარიღით გამოცემული დადგენილების დასამატებლად და განსავითარებლად, აგრეთვე სამრეწველო საწარმოთა ახალი შენობისა და ნაგებობის აშენებისათვის და ძველის კაპიტალური გადაკეთებისათვის სანიტარულ-ტეხნიკურ ზედამხედველობის ყოველმხრივ განსახორციელებლად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს გაუწიოს საერთო მეთვალყურეობა წინასწარი სანიტარულ-ტეხნიკური ზედამხედველობის განხორციელების საქმეში სამრეწველო საწარმოთა როგორც ძირითადი, ისე მათი დამხმარე შენობებისა და ნაგებობის აგებისა და კაპიტალური შეკეთების დროს.

პროექტების განხილვის და დამტკიცების დროს საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი მოიწვევს ტეხნიკურ თათბირს, რომელშიაც შრომის სახ. კომისარიატისა და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენელთა მონაწილეობა სავალდებულოა.

2. საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი განიხილავს და დაამტკიცებს 1-ლ მუხლში აღნიშნულ შენობათა და ნაგებობათა პროექტებს შორის მხოლოდ იმ პროექტებს, რომელთა შესახებაც შრომის სახალხო კომისარიატის და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ორგანოების მიერ მოცემულია დასკვნა,

## 107. Постановление

### Совета Нар. Комис. Соц. Советской Республики Грузии

**О порядке утверждения проектов и осуществления предварительного санитарно-технического надзора при постройке и капитальном переоборудовании зданий и сооружений промышленных предприятий, как основных, так и подсобных к ним.**

В дополнение и развитие постановления Союзного Совета Зак. Соц. Республик от 30 сентября 1922 г. за № 36 и постановления Совета Народных Комиссаров ССР Грузии от 6 августа 1924 года, а также в целях всестороннего осуществления санитарно-технического надзора при постройке новых и капитальном переоборудовании зданий и сооружений промышленных предприятий, Совет Народных Комиссаров постановляет:

1. Возложить на Строительно-Технический Комитет при Экономическом Совете ССР Грузии общее наблюдение за выполнением предварительного санитарно-технического надзора при постройке новых и капитальном переоборудовании зданий и сооружений промышленных предприятий как основных, так и подсобных к ним.

При рассмотрении и утверждении проектов Строительно-Технический Комитет созывает техническое совещание с обязательным участием представителей Народного Комиссариата Труда и Высшего Совета Народного Хозяйства.

2. Строительно-Технический Комитет рассматривает и утверждает лишь те проекты означенных в п. 1 зданий и сооружений, в отношении которых имеется предварительное заключение органов Народного Комиссариата Труда и Высшего Совета Народного Хозяйства и которые снабжены всем необходимым материалом.

3. Порядок рассмотрения проектов и согласования их с заинтересованными ведомствами определяется особой инструкцией, издание которой

და რომელთაც დართული აქვს ყველა საჭირო მასალა.

3. პროექტების განხილვისა და მათი დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმების წესი განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციით, რომლის გამოცემაც დაევალოს საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ. თავმჯდომ. მოადგ. **ს. ჯუღელი.**

საქართველ. სოც. საბჭ. რესპუბლ. სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართვ. მაგ. **მ. იაკოვლევი.**

1925 წ. ნოემბრის 16.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-267 №-ში 1925 წ. ნოემბრის 20.

возложить на Технически-Строительный Комитет.

Зам. Председ. Совета Народ. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *С. Джугели.*

За Управл. Делами Совета Нар. Коммис. С. С. Респ. Грузии *М. Яковлев.*

1925 г. ноября 16.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газ. „Коммунист“ № 267 от 20 ноября 1925 г.

## 108. დადგენილება

### საქ. სოც. საბჭ რესპ. სახ. კომისართა საბჭოსი

**რქოსანი საქონლის ჭირთან საბრძოლველად საგანგებო კომისიის დაარსების შესახებ.**

რადგანაც რქოსანი საქონლის ჭირი ძლიერ გავრცელდა და მისი ლიკვიდაციისათვის საჭიროა სასწრაფო ღონისძიებათა მიღება, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაარსებულ იქნეს საგანგებო კომისია რქოსანი საქონლის ჭირთან ბრძოლისათვის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის თავმჯდომარეობით და შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის და კავკასიის წითელდროშიანი არმიის სამხედრო-სავეტერინარო სამმართველოს წარმომადგენლის მონაწილეობით.

2. დაევალოს რქოსანი საქონლის ჭირთან მებრძოლ საგანგებო კომისიას განახორციელოს ჭირის საწინააღმდეგო ღონისძიებანი, რაც გათვალისწინებულია მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ რქოსანი საქონლის ჭირთან ბრძოლის შესახებ 1923 წლის მაისის 5-ის თარიღით გამოცემულ დროებითი წესებით.

## 108. Постановление

### Совета Нар. Комис. Соц. Советской Республики Грузии

**Об учреждении Чрезвычайной Комиссии по борьбе с чумой рогатого скота.**

Ввиду сильного распространения чумы рогатого скота и необходимости принятия экстренных мер по ликвидации названной эпизоотии, Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляет:

1. Учредить Чрезвычайную Комиссию по борьбе с чумой рогатого скота под председательством Народного Комиссара Земледелия с участием Народных Комиссаров Внутренних Дел и Рабоче-Крестьянской Инспекции, а также представителя Военно-Ветеринарного Управления Кавказской Краснознаменной Армии.

2. Поручить Чрезвычайной Комиссии по борьбе с чумой рогатого скота провести в жизнь противочумные мероприятия, предусмотренные изданными Наркомземом Грузии 5 мая 1923 года временными правилами по борьбе с чумой рогатого скота.

3. Предоставить Центральной Комиссии право сформирования уездных Чрезвычайных Комиссий по борьбе с чумой рогатого скота в уез-

3. ნება მიეცეს ცენტრალურ კომისიას მოაწყოს მაზრებში რქოსანი საქონლის ჭირთან მებრძოლი სამაზრო საგანგებო კომისიები, რომელშიაც შევლენ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე (თავმჯდომარე), სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილების გამგე და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი.

4. ნება მიეცეს ცენტრალურ და სამაზრო საგანგებო კომისიებს პასუხისგებაში მისცენ, ადმინისტრატიული წესით, ის თანამდებობის პირი და კერძო პირი, რომელიც დაარღვევს საქონლის ჭირის საწინააღმდეგო ღონისძიებებს,— დააპატიმრონ იგი ორ თვემდე ან დაადონ ჯარიმა ორას მანეთამდე.

5. ასეთივე კომისიები, იმავე უფლებებით, მოეწყობა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ავტონომიურ ერთეულებშიაც მიწათმოქმედების სახალხო კომისრის თავმჯდომარეობით და შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის მონაწილეობით. ავტონომიური ერთეულების საგანგებო კომისიებს უფლება ეძლევათ მოაწყონ სამაზრო საგანგებო კომისიები იმ უფლებით და შემადგენლობით, რაც აღნიშნულია ამა დადგენილების მე-3 და მე-4-ე მუხლებში.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ. თავმჯდ. მოადგ. **ს. ჯუღელი.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ. საქმ. მმართვ. მაგ. **მ. იაკოვლევი.**

1925 წ. ნოემბრის 19.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-267 №-ში 1925 წ. ноემბრის 20.

дах в составе Председателя Уездного Исполнительного Комитета (Председатель), Заведывающего Уездным Земельным Отделом и представителя Рабоче-Крестьянской Инспекции.

4. Предоставить Центральной и уездным Чрезвычайным Комиссиям право привлечения к ответственности в административном порядке должностных и частных лиц, виновных в нарушении противочумных мероприятий, подвергая их аресту до двух месяцев или штрафу до двухсот руб.

5. Такие же Чрезвычайные Комиссии с теми же правами учреждаются в автономных частях Республики под председательством Народного Комиссара Земледелия и при участии Народных Комиссаров Внутренних Дел и Рабоче-Крестьянской Инспекции, предоставив им оформление уездных Чрезвычайных Комиссий в составе и с правами, указанными в ст.ст. 3 и 4 сего Постановления.

6. Настоящее постановление вступает в силу со дня распубликования.

Зам. Предс. Сов. Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *С. Джугели.*

За Управл. Делами Совета Народ. Ком. Соц. Сов. Республики Грузии *М. Яковлев.*

1925 г. ноября 19.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газ. „Коммунист" № 267 от 20 ноября 1925 г.

## 109. დადგენილება

### საქართ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოსი

### საქართველოს შინამრეწველობის კოოპერაციის საორგანიზაციო ბიუროს დაარსების შესახებ.

საქართველოს შინამრეწველობის საქმის გაუმჯობესებისა და შინამრეწველთა სასარეწაო კოოპერაციის კავშირად

## 109. Постановление

### Совета Нар. Комис. Соц. Сов. Респ. Грузии

### Об учреждении Организационного Бюро кустарно-промысловой кооперации Грузии.

В целях улучшения кустарно-промыслового дела в Грузии и для подготовительно-организационной рабо-

გაერთიანებისათვის საჭირო წინასწარი საორგანიზაციო მუშაობის საწარმოებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაარსებულ იქნეს „საქართველოს შინამრეწველობის კოოპერაციის საორგანიზაციო ბიურო".

2. დაეკისროს საორგანიზაციო ბიუროს ყველა წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის შესრულება შინამრეწველობის კოოპერაციის კავშირის მოსაწყობად, კერძოდ: ა) მოაწყოს გათავთავადებულ შინამრეწველებისაგან არტელები, ამხანაგობანი, კავშირები და მათი შენაერთი შინამრეწველობის კოოპერაციის საფუძველზე; ბ) შეადგინოს წესდება საქართველოს სასარეწაო კოოპერაციის კავშირისა და გ) მიიღოს ღონისძიება წესდების დამტკიცებისა და შინამრეწველთა და შინამრეწველობის შენაერთთა რწმუნებულების ყრილობის მოსაწვევად სათანადო მმართველ ორგანოების (გამგეობა, სარევიზიო კომისია) ასარჩევად.

3. შინამრეწველობის კოოპერაციის კავშირის მიზანს, ხოლო ამ კავშირის ჩამოყალიბებამდე—საორგანიზაციო ბიუროს საგანს შეადგენს:

ა) გააერთიანოს და საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს შინამრეწველობის ქვედა ორგანიზაციების მოქმედებას;

ბ) დაიცვას შინამრეწველნი კერძო შუამავალთა და ჩარჩთაგან; მიიღოს ღონისძიება შინამრეწველთა მეურნეობის რაციონალიზაციისა, მათთვის ნედლეულობის მოწოდებისა და მათი პროდუქციის გასაღებისათვის;

გ) ხელი შეუწყოს შინამრეწველთა სამეურნეო ორგანიზაციების წარმატებას და მათი ტეხნიკისა, წარმოების ეკონომიკისა და კულტურული დონის გაუმჯობესებას;

დ) შეიმუშაოს და განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი შინამრეწველთა შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად და მათი პროდუქციის ღირსებისა და მხატვრული სახის გასაუმჯობესებლად;

ე) ხელი შეუწყოს შინამრეწველობის წარმოების რაციონალურად მოწყობას რაც შეიძლება გაუმჯობესებული საშუალებისა, მექანიკური ენერგიისა და შრომის განაწილების მეთოდების გამოყენებით;

ვ) მოახდინოს ეკონომიური გამოკვლე-

ты по об'единению кустарно-промышленников в союз промысловой кооперации, Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляет:

1. Учредить „Организационное Бюро кустарно-промысловой кооперации Грузии".

2. Возложить на Организационное Бюро выполнение всей предварительной подготовительной работы по организации Союза кустарно-промысловой кооперации, в частности: а) по организации разрозненных кустарей в артели, товарищества, союзы и их об'единения на началах кустарно-промысловой кооперации; б) по составлению устава Союза промысловой кооперации в Грузии и в) по принятию мер к утверждению устава и созыву с'езда уполномоченных кустарей и кустарно-промышленных об'единений для выбора обычных органов управления (правление, ревизионная комиссия).

3. Целью Союза кустарно-промысловой кооперации, а до оформления последнего задачами Организационного Бюро являются:

а) об'единение и общее руководство деятельностью низовых кустарно-промысловых организаций;

б) ограждение кустарей от частных посредников и скупщиков, принятие мер к рационализации хозяйства кустарей, к снабжению их сырьем и сбыту их продукции;

в) содействие поднятию хозяйственных организаций кустарей, улучшению их техники, экономики производства и культурного уровня;

г) выработка и проведение необходимых мероприятий для повышения производительности труда кустарей и улучшения качества и художественности их продукции;

д) содействие рациональной организации кустарных производств путем применения более усовершенствованных способов производства, механической энергии и методов разделения труда;

е) производство экономического обследования кустарно-промысловых организаций;

ვა შინამრეწველობის ორგანიზაციებისა;

ზ) მიიღოს, სათანადო შემთხვევაში სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან და განათლების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ღონისძიება შინამრეწველთა შორის ტეხნიკური ცოდნის ფართოდ გავრცელებისათვის სათანადო სახელმძღვანელოებისა, ცნობარებისა, ბროშურებისა და პერიოდულ ორგანოების გამოცემით. საინსტრუქტორო და სასწავლო-მაჩვენებელ სახელოსნოებისა, პერიოდულ კურსებისა, მუდმივი და მოძრავი გამოფენებისა, მუზეუმებისა და სხვ. რამ ამისთ. მოწყობით;

თ) მოაწყოს, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით, საცდელი სადგურები—ლაბორატორიებით—ნაკეთობისა და მასალის გამოსაცდელად და წარმოების ტეხნიკის გასაუმჯობესებლად;

ი) ხელი შეუწყოს შინამრეწველობის მხატვრული სახის განვითარებას და გასწიოს საკონსულტაციო მუშაობა სამხატვრო საკითხების გამო;

კ) მისცეს შინამრეწველთ, წახალისების მიზნით, წარმოების ტეხნიკის განვითარებისათვის და წარმოებაში მხატვრულ მიღწევათათვის გაუმჯობესებული საწარმოო იარაღი, სალებავები და ნედლეული მასალა;

ლ) ჩააბას შინამრეწველობის მუშაობაში სოფლად უმუშოდ დარჩენილი მუშა-ხელი და სოფლის ხელოსნები და ხელი შეუწყოს მათ გაერთიანებას შინამრეწველობის კოოპერაციის საფუძველზე;

მ) შეიმუშაოს, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით, საწარმოო გეგმა და ხარჯთაღრიცხვა შინამრეწველობის კოოპერაციისათვის;

ნ) აწარმოოს შინამრეწველთა და მათ წარმოებათა აღნუსხვა;

ო) ხელი შეუწყოს შინამრეწველთა მატერიალური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებას, აღმოუჩინოს მათ იურიდიული დახმარება და აგრეთვე მიიღოს ღონისძიება შრომის დაცვისათვის, სათანადო კანონდებულებათა თანახმად;

პ) თვალყური ადევნოს და კონტროლი გაუწიოს შინამრეწველთა და მათ შენაერთთა მოწყობას და მოქმედებას;

ჟ) მოაწყოს შინამრეწველთათვის და შინამრეწველობის შენაერთთათვის სა-

ж) принятие, по соглашению, в подлежащих случаях с ВСНХ и НКПросом мер к широкому распространению среди кустарей технических знаний путем издания соответствующих пособий, справочников, брошюр, периодических органов, организации инструкторских и учебно-показательных мастерских, периодических курсов, постоянных и передвижных выставок, музеев и т. п.;

з) организация, по соглашению с ВСНХ, испытательных станций с лабораториями для испытания изделий и материалов и для усовершенствования техники производства;

и) содействие художественному развитию кустарной промышленности и консультация по художественным вопросам;

к) выдача кустарям за улучшение техники производства и художественные достижения в производстве, в видах поощрения, усовершенствованных орудий производства, красок и другого рода сырья;

л) вовлечение в кустарно-промысловую работу избытка сельских рабочих рук и сельских ремесленников и содействие их об'единению на началах кустарно-промысловой кооперации;

м) разработка, по соглашению с ВСНХ производственных планов и смет для кустарно-промысловой кооперации;

н) учет кустарей и их производства;

о) содействие улучшению материального и культурного быта кустарей, оказание им юридической помощи, а равно принятие мер к охране труда, согласно соответствующих законоположений и постановлений;

п) наблюдение и контроль за организацией и деятельностью кустарей и их об'единений;

р) организация снабжения кустарей и кустарно-производственных об'единений орудиями производства, сырьем и другими необходимыми материалами;

с) содействие сбыту продуктов производства, путем организации закупок и сбыта и открытия на террито-

წარმოო იარაღისა, ნედლეულობისა და სხვა საჭირო მასალის მოწოდების საქმე;

რ) ხელი შეუწყოს წარმოების პროდუქტთა გასაღებას მით, რომ მოაწყოს შესყიდვისა და გასაღების საქმე და გახსნას საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და ს. ს. რ-ბის კავშირის ტერიტორიაზე საწყობები, მაღაზიები, სააგენტოები, კონტორები და სხვ.;

ს) გაანაწილოს შინამრეწველთა, არტელთა და საკუთარ სახელოსნოთა შორის მიღებული შენაკვეთი საქმე;

ტ) მიიღოს მონაწილეობა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მუშაობაში შინამრეწველობის საკითხების გამო დადგენილებებისა და დეკრეტების შესამუშავებლად და გამოსცეს ინსტრუქციები შინამრეწველობის ორგანიზაციებისათვის.

4. შინამრეწველობის კოოპერაციისათვის დანიშნული ყველა თანხა, გარდა იმ კრედიტებისა, რაც გახსნილია საბიუჯეტო წესისამებრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს შინამრეწველობის განყოფილების შესანახად, გადავა შინამრეწველობის კოოპერაციის საორგანიზაციო ბიუროს განკარგულებაში.

5. თავისი საორგანიზაციო და წარმოებით-სამეურნეო ღონისძიებისათვის საორგანიზაციო ბიურო იხელმძღვანელებს თვის მიერვე შემუშავებული შინაგანი განრიგების წესებს.

6. საორგანიზაციო ბიუროს შედგენილობას დანიშნავს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო.

7. შინამრეწველობის კოოპერაციის რწმუნებულთა ყრილობის მოწვევამდე საორგანიზაციო ბიუროს უშუალო მეთვალყურეობას გაუწევს სახალხო კომისართა საბჭო და, სათანადო შემთხვევაში, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო.

ურთიერთობა საორგანიზაციო ბიუროსა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს შორის მოწესრიგდება იმ კანონდებულებათა მიხედვით, რაც ს. ს. რ. კ. ტერიტორიაზე მოქმედობს შინამრეწველობის სფეროში.

8. საორგანიზაციო ბიუროს აქვს თავისი სახელწოდების ბეჭედი და იურიდიული პირის უფლებანი; მას აქვს უფლება აწარმოოს სავაჭრო ოპერაციები და დასდვას ყოველგვარი გარიგება კერძოდ: კრედიტი გაიხსნას ბანკებში,

рии ССРГ и СССР складов, магазинов, агентских контор и др.;

т) распределение полученных заказов между кустарями, артелями и собственными мастерскими;

у) участие в работе ВСНХ по разработке проектов постановлений и декретов по вопросам кустарной промышленности, а также издание инструкций для кустарно-промысловых организаций.

4. Все денежные суммы, предназначенные для кустарно-промысловой кооперации, за исключением кредитов, открытых в бюджетном порядке на содержание отдела кустпрома ВСНХ, переходят в распоряжение Оргбюро кустарно-промысловой кооперации.

5. Для своих организационных и производственно-хозяйственных мероприятий Оргбюро руководствуется выработанными им самим правилами внутреннего распорядка.

6. Состав Оргбюро назначается Советом Народных Комиссаров ССРГ.

7. До созыва с'езда уполномоченных кустарно-промысловой кооперации, Оргбюро состоит под непосредственным наблюдением СНК и, в подлежащих случаях, ВСНХ.

Взаимоотношения Оргбюро с ВСНХ ССРГ регулируются законоположениями по вопросам кустарной промышленности, действующими на территории СССР.

8. Оргбюро имеет печать своего наименования и пользуется правами юридического лица—оно имеет право производить торговые операции и заключать всякого рода сделки, в частности: кредитоваться в банках, совершать займы, выдавать векселя, закладывать товары, нанимать рабочих и служащих и кроме того пользоваться всеми правами, предоставленными согласно нормального устава кооперативных союзов исполнительным органам последних.

9. Всю означенную работу Организационное Бюро несет впредь до оформления Союза кустарно-промысловой кооперации и первого организационного общего Собрания представителей кустарно-промысловых коопера-

აიღოს სესხი, გასცეს ვექსილები, დააგიროს საქონელი, დაიქიროს მუშები და მოსამსახურენი და, ამის გარდა, გამოიყენოს ყველა ის უფლება, რაც კოოპერატიულ კავშირებს ნორმალური წესდებით მინიჭებული აქვთ მათ აღმასრულებელ ორგანოებს.

9. მთლად აღნიშნულ მუშაობას საორგანიზაციო ბიურო აწარმოებს, ვიდრე შინამრეწველობის კოოპერაციის კავშირი ჩამოყალიბდებოდეს და შესდგებოდეს შინამრეწველობის კოოპერატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა პირველი საორგანიზაციო საერთო კრება, რომელსაც საორგანიზაციო ბიურო წარუდგენს თავისი მოქმედების ანგარიშსა და გადასცემს მთლად თავის ქონებას; ამის შემდეგ საორგანიზაციო ბიურო გაუქმებულად ჩაითვლება.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ. თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ საქმეთა მმართვ. **ალ. სალარიძე.**

1925 წ. დეკემბრის 3.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-284 №-ში 1925 წ. დეკემბრის 10.

тивных организаций, коему Оргбюро обязано представить отчет своей деятельности и передать ему все свое имущество, после чего Оргбюро признается ликвидированным.

Председатель Совета Народных Комиссаров ССР Грузии *Ш. Элиава.*

Управляющий Делами Совета Нар. Комис. ССР Грузии *Ал. Саларидзе.*

1925 г. декабря 3.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газ. „Коммунист" № 284 от 10 декабря 1925 г.

---

## 110. დადგენილება

### საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

**კერძო პირთათვის მსხვილი მასშტაბის სამხედრო ტოპოგრაფიული რუკების და გეგმების ჩამორთმევის შესახებ.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ჩამოერთვას საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა კერძო მოქალაქეს ისეთი სამხედრო ტოპოგრაფიული რუკა და გეგმა, რომლის მასშტაბითაც ერთი დიუიმი უდრის ორ ვერსსა და მეტს.

2. ყველა მოქალაქე, რომელსაც აქვს 1-ლ მუხლში აღნიშნული რუკა და გეგმა, ხოლო არა აქვს ამიერკავკასიის წითელდროშიანი არმიის რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს სპეციალური ნებართვა ამ რუკისა

## 110. Постановление

### Совета Народ. Комис. Соц. Совет. Республики Грузии

**Об из'ятии из обладания частных лиц военно-топографических карт и планов крупного масштаба.**

Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляет:

1. Из'ять из частного обладания граждан, проживающих на территории ССР Грузии, военно-топографические карты и планы масштабов в дюйме от двухверстного и крупнее.

2. Обязать всех граждан, имеющих указанные в 1 ст. карты и планы без разрешения Революционного Военного Совета Кавказской Краснознаменной Армии на право хранения и пользования таковыми, сдать их, в месячный со дня опубликования настоя-

და გეგმის შენახვისა და გამოყენებისათვის, ვალდებულია, ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, ჩააბაროს იგი: ქალაქ ადგილას—მაზრის სამხედრო კომისარიატს, ხოლო სოფლად—სათანადო თემის აღმასრულებელ კომიტეტს.

**შენიშვნა.** ამა მუხლში აღნიშნული დაწესებულებანი ჩაბარებულ გეგმებსა და რუკებს წარუდგენენ კავკასიის წითელ დროშიან არმიის შტაბს.

3. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავეს, მაზრისა და ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, დაედება ადმინისტრატიული სასჯელი: ფულადი ჯარიმა ას მანეთამდე და დაპატიმრება ვადით ორ თვემდე.

4. მეთვალყურეობა ამა დადგენილების შესრულებისათვის დაეკისრება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომელიც განახორციელებს მას მუშათა და გლეხთა მილიციის მეშვეობით.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოს თავმჯდ. მოადგ.ს. **ჯუღელი.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ. საქმეთა მმართვ. **ალ. სალარიძე.**

1925 წ. დეკემბრის 3.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-279 №-ში 1925 წ. დეკემბრის 4.

щего постановления срок, в городских поселениях—в уездные военные комиссариаты, а в сельских местностях—в соответствующие Теиские Исполкомы.

*Примечание.* Указанные в настоящей статье учреждения представляют сданные им планы и карты в Штаб Кавкасской Краснознаменной Армии.

3. Лица, виновные в неисполнении настоящего постановления, подлежат, по постановлению уездных и городских исполнительных комитетов, административным взысканиям: денежному штрафу до ста (100) руб. или аресту на срок до двух месяцев.

4. Наблюдение за исполнением настоящего постановления возлагается на Народный Комиссариат Внутренних Дел через органы Рабоче-Крестьянской Милиции.

Зам. Председателя Сов. Нар. Ком. ССР Грузии *С. Джугели.*

Управл. Делами Совета Нар. Ком. ССР Грузии *Ал. Саларидзе.*

1925 г. декабря 3.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газ. „Коммунист" № 279 от 4 декабря 1925 г.

## 111. დადგენილება

### საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

### რესპუბლიკის სანიტარული ორგანოების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სანიტარული ორგანოებისა და ჯანმრთელობის ადგილობრივი ინსპექციის მიზანსა და მოქმედების საგანს შეადგენს: ა) წყლისა, ჰაერისა და ნიადაგის სანიტარული დაცვა; ბ) საცხოვრებელი სადგომების სანიტარული დაცვა; გ) საჭმელ-სასმელი პროდუქტების სანიტარული დაცვა; დ) ეპიდემიის სა-

## 111. Постановление

### Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Республики Грузии

### О санитарных органах Республики.

Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляет:

1. В круг задач и деятельности санитарных органов республики ССР Грузии, сосредоточенных в Народном Комиссариате Здравоохранения и в местных инспекциях здравоохранения, входят: а) санитарная охрана воды, воздуха и почвы, б) санитарная охрана жилищ, в) санитарная охрана пищевых продуктов, г) организация противоэпидемических мероприятий, д) организация борьбы с социальными

წინააღმდეგო ღონისძიებათა ორგანიზაცია; ე) სოციალურ ავადმყოფობასთან ბრძოლის ორგანიზაცია; ვ) ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა; ზ) სანიტარული სტატისტიკა; თ) სანიტარული განათლება; ი) შრომის სანიტარული დაცვის და სამკურნალო-სასანიტარო საქმის საერთო ორგანიზაციის საკითხებში მონაწილეობა.

2. სასანიტარო და ეპიდემიის საწინააღმდეგო მუშაობის საერთო გეგმას ადგილობრივ დაამყარებს ჯანმრთელობის ადგილობრივი (სამაზრო) ინსპექტორი, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან წინასწარი შეთანხმებით.

ადგილობრივი მუშაობის შეთანხმებისა და მთლიანობისათვის ჯანმრთელობის ადგილობრივი ინსპექტორები მოაწყობენ ხოლმე მაზრის სანიტარულ ექიმთა პერიოდულ თათბირებს.

**შენიშვნა.** უკეთუ ამა თუ იმ ქალაქში იმყოფება სამხედრო ნაწილი ან დაწესებულება, ხსენებულ თათბირზე აუცილებლად მოწვეულ უნდა იქნეს წევრად გარნიზონის ექიმი ან აღნიშნული ნაწილის და დაწესებულების ერთ-ერთი ექიმთაგანი.

3. ჯანმრთელობის ადგილობრივ ორგანოს შედგენილობაში იქ, სადაც სამაზრო ცენტრია, უნდა შედიოდეს ერთი სანიტარული ექიმი და ერთიც მისი თანაშემწე, როგორც სასანიტარო საქმის მომუშავეთა ძირითადი კადრი.

**შენიშვნა 1.** ტფილისისა და ქუთაისის მაზრებში—ამ ქალაქებითურთ—50.000 მცხოვრებზე უნდა მოდიოდეს ერთი ექიმი, როგორც სავალდებულო მინიმუმი.

**შენიშვნა 2.** მცირე ქალაქებს მოსამსახურეობას გაუწევს სამაზრო სანიტარული ზედამხედველობა.

4. მე-3 მუხლში აღნიშნული საერთო სანიტარული პერსონალის გარდა, ქალაქ-ადგილას სპეციალური სანიტარული ზედამხედველობისათვის დაარსდება შემდეგი თანამდებობანი:

ა) საბინაო-სასანიტარო ზედამხედველობისათვის ქალაქ-ადგილას ერთი საბინაო-სასანიტარო ინსპექტორი თვითეულ 25.000 მცხოვრებზე.

**შენიშვნა.** კერძო შემთხვევაში ეს ნორმა შეიძლება პერსონალე-

болезнями, е) охрана здоровья детей, ж) санитарная статистика, з) санитарное просвещение, и) участие в вопросах санитарной охраны труда и общей организации лечебно-санитарного дела.

2. Общий план санитарной и противо-эпидемической работы на местах устанавливается местными (уездными) инспекторами здравоохранения по предварительном согласовании с Наркомздравом.

Для согласования и сохранения единства работы на местах местные инспектора здравоохранения организуют периодические совещания санитарных врачей всего уезда.

*Примечание.* При наличии в данном городе военных частей и учреждений, на эти совещания в качестве обязательных членов приглашаются гарнизонный врач или один из врачей означенных частей или учреждений.

3. Как основной кадр работников санитарного дела на местах в составе местных органов здравоохранения должны иметься в уездном центре—один санитарный врач и один помощник санитарного врача.

*Примечание 1.* В уездах: Тифлисском и Кутаисском с городами—Тифлис, Кутаис—одна должность врача устанавливается на 50.000 жителей, как обязательный минимум.

*Примечание 2.* Мелкие города обслуживаются уездным санитарным надзором.

4. Помимо общего санитарного персонала, указанного в ст. 3. в городах должны иметься следующие должности для обслуживания специальных видов санитарного надзора: а) для жилищно-санитарного надзора в городах—по одному жилищно-санитарному инспектору на каждые 25.000 жителей.

*Примечание.* В отдельных случаях эти нормы персонально могут быть понижены с разрешения Наркомздрава.

б) Для пищевого санитарного надзора в городах одна должность сани-

რად შემცირებულ იქნეს ჯანსახკომის ნებართვით.

ბ) საჭმელ-სასმელის სანიტარული ზედამხედველობისათვის ქალაქ-ადგილას ერთი საჭმელ-სასმელის სანიტარული ექიმი თვითეულ 100.000 მცხოვრებზე.

**შენიშვნა.** მცირე ქალაქებში საჭმელ-სასმელის სანიტარული ზედამხედველობას გასწევს მაზრის სანიტარული ზედამხედველობა.

5. თავისი სასანიტარო მიზნის განსახორციელებლად სანიტარულ ექიმს უფლება აქვს: ა) მოახდინოს სანიტარული დათვალიერება ყველა—გამოუნაკლისად—საზოგადოებრივი და კერძო სადგომისა და ნაგებობისა; აგრეთვე დაათვალიეროს მუშაობის დროს დაწესებულებისა და საწარმოს შენობები, ეზო და კარმიდამო;

ბ) მოახდინოს სასანიტარო ანალიზისათვის ამა თუ იმ მასალისა და პროდუქტების ამორკვევა სათანადო აქტის შედგენით;

გ) აღძრას საკითხი მაზრის მმართველობის განყოფილებისა ან აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წინაშე სანიტარულ მოთხოვნათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით დასჯის შესახებ.

**შენიშვნა.** სამხედრო ნაწილში და დაწესებულებაში მისვლა და სანიტარული დათვალიერება შეიძლება მხოლოდ ამ ნაწილის და დაწესებულების უფროსთან და ადგილობრივ სამკურნალო-სასანიტარო პერსონალთან წინასწარი შეთანხმებით.

6. სანიტარულ ექიმსა და მის თანაშემწეს უნდა ქონდეს ჯანმრთელობის ინსპექტორისაგან, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული საერთო ფორმის ღია ფურცელი, რაც დაადასტურებს მის უფლებას.

7. უკეთუ აღმოჩენილ იქნება სანიტარული მოუწყობლობა და უწესობა, სანიტარულ ზედამხედველობის ორგანო წერილობით მოსთხოვს ამა თუ იმ შენობისა და ნაგებობის მოვლა-გამგებლობისათვის პასუხისმგებელ პირს გამოასწოროს შემჩნეული ნაკლი, რისთვისაც დაუნიშნავს განსაზღვრულ ვადას.

8. უკეთუ აღნიშნული მოთხოვნა შესრულებულ არ იქნება, სანიტარული ორგანო, ადგილობრივი სანიტარული ინსპექტორთა მეშვეობით, აღძრავს სა-

тарно-пищевого врача на каждые 100.000 жителей.

*Примечание.* В отношении санитарно-пищевого надзора мелкие города обслуживаются уездным санитарным надзором.

5. Для осуществления своих задач санитарные врачи имеют:

а) право производства санитарных осмотров во всех без исключения общественных и частных помещениях и сооружениях, а в учреждениях и предприятиях во время работы их, включая как самые здания, так и дворы и усадьбы;

б) право производства выемок тех или иных материалов и продуктов для санитарного анализа, с составлением соответствующего акта;

в) право представления в уездные отделы управления или президиумы исполкома о наложении взысканий в административном порядке за нарушение санитарных требований.

*Примечание.* Посещение воинских частей и учреждений и производство в них санитарных осмотров допускается лишь по предварительному соглашению с начальником таковых и обслуживающим их врачебно-санитарным персоналом.

6. Санитарные врачи и их помощники должны быть снабжены особыми, составленными по общей форме Наркомздрава, открытыми листами от инспектора здравоохранения, удостоверяющими их права.

7. При наличии санитарных неблагоустройств и непорядков, органы санитарного надзора пред'являют в письменной форме требования ответственным по заведыванию и содержанию тех или иных зданий и сооружений лицам об устранении таковых, назначая для выполнения требования определенные сроки.

8. При невыполнении означенных выше требований, санитарные органы через местных санитарных инспекторов возбуждают в необходимых случаях дела в местном народном суде о привлечении виновных к ответственности.

9. В неотложных и особо-опасных

ჭირო შემთხვევაში საქმეს ადგილობრივ სახალხო სასამართლოს წინაშე დამნაშავის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

9. სასწრაფო და განსაკუთრებით სახიფათო შემთხვევაში სანიტარული ზედამხედველობის ორგანოს, ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით, შეუძლიან ადმინისტრატიულის წესით დახუროს ესა თუ ის, სანიტარული თვალსაზრისით სახიფათო, საწარმო ან სადგომი, ვიდრე დახურვის მიზეზი აცილებულ იქნებოდეს ან საქმე სახალხო სასამართლოში გადაწყდებოდეს.

10. სათანადო სანიტარული ზედამხედველობის განხორციელების მიზნით, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი სანიტარული ინსპექტორის წარდგენით საერთო სასანიტარო წესების განსავითარებლად გამოსცემს ხოლმე სავალდებულო დადგენილებას.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ. თავმჯდ. მოადგ. ს. ჯუღელი.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ. საქმეთა მმართვ. ალ. სალარიძე.

1925 წ. დეკემბრის 3.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-11 №-ში 1926 წ. იანვრის 15.

случаях органы санитарного надзора могут через местные исполкомы в административном порядке закрывать для пользования то или иное неблагополучное, в санитарном отношении, предприятие или помещение, впредь до устранения причин закрытия или разрешения вопроса в суде.

10. Для осуществления правильного санитарного надзора уездисполкомы по представлению санитарного инспектора издают в развитие общих санитарных правил обязательные постановления.

Зам. Председателя Совета Народных Комис. ССР Грузии *С. Джугели.*

Управл. Делами Совета Народных Комис. ССР Грузии *Ал. Саларидзе.*

1925 г. декабря 3.
Тифлис—Дворец.

Республиковано в газ. „Коммунист“ № 11 от 15 января 1926 г.

## 112. დადგენილება

### საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

### სარწყავი სისტემების დაცვის შესახებ.

რათა რაციონალურად გამოყენებულ იქნეს არხებისა, მდინარეებისა და ტბების წყალი და დაცულ იქნეს სარწყავი სისტემების ხელოვნური ნაგებობანი, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აკრძალულ იქნეს:

ა) რიგს გარეშე და წყლის ადმინისტრაციის ნებადაურთველად არხებისა, მდინარეებისა და ტბების წყლის სარგებლობა ნათესის მოსარწყავად;

ბ) განმანაწილებელი არხიდან წყლის

## 112. Постановление

### Совета Народн. Комиссаров Соц. Сов. Республики Грузии

### По охране оросительной системы.

В целях рационального использования воды из каналов, рек и озер, а равно охраны искусственных сооружений на оросительных системах, Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляет:

1. Воспретить:

а) пользоваться водой из каналов, рек и озер для орошения посевов вне очереди и без разрешения водной администрации;

б) выпускать воду из распредели-

გამოშვება არა იმ ადგილას, სადაც ადმინისტრაცია დანიშნავს;

გ) წყლის ნორმის გადიდება სასარწყაოში;

დ) წყლის დატბორება შემუშავებულ მიწისა, გზისა და სხვ.;

ე) საქონლის ძოვება არხის ფერდობზე და შექურზე;

ვ) ურმისა, ფურგონებისა და სხვ. ამისთ. რამის გადასვლა, აგრეთვე საქონლის გადარეკა არხზე იმ ადგილას, რაც წყლის ადმინისტრაციის მიერ საამისოდ არ არის დანიშნული;

ზ) წყლის დონის აწევის მიზნით არხში საგუბარის გაკეთება;

თ) არხში წყლის გადიდება ლარეშაპის (შლუზის) გახსნით, რისთვისაც ხმარებულია შერჩეული გასაღები, კლიტეა გატეხილი და სხვ.;

ი) ხიდისა, ლარეშაპისა (შლუზის), წყლის გადასაშვებისა და, საერთოდ, სარწყავი სისტემის ყოველგვარი ნაგებობის დაზიანება;

კ) წყლის ადმინისტრაციის ნებადაურთველად ხეების მოჭრა ან დარგვა არხისა და გზის პირას;

ლ) წყლის სამმართველოს დასტურისა და წერილობითი ნებართვის გარეშე გაკეთება წისქვილისა, ხიდისა, ლარეშაპისა, ჰიდროტეხნიკური ნაგებობისა და სხვა რაიმე ახალი სამუშაოს წარმოება ახალი სარწყავი არხისა, წყალსადენისა და სხვ. გასაყვანად.

2. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე ადმინისტრატიულ წესით, ადგილობრივი სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებისამებრ დაპატიმრებულ იქნება ერთ თვემდე ან დაჯარიმებული ას (100) მანეთამდე.

3. ადმინისტრატიული ოქმი, რასაც წყალთა ადმინისტრაცია შეადგენს ამა დადგენილების დარღვევის გამო, თემის აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს.

4. ჯარიმით შემოსული ფული ერთი კვირის განმავლობაში უნდა გაიგზავნოს უახლოეს ხაზინაში საქართველოს წყალთა სამმართველოს დეპოზიტად.

5. ამა დადგენილების გამოქვეყნებისთანავე გაუქმებულ იქნეს ამ საკითხის

тельного канала в неуказанном администрацией месте;

в) увеличивать нормы воды в оросителях;

г) затоплять водою обработанные земли, дороги и т. п.;

д) пасти скот на откосах и валах всех канав;

е) переезжать через канавы на арбах, фургонах и т. п., а равно перегонять скот в местах, не указанных водной администрацией;

ж) делать перепруды в канавах с целью поднятия уровня воды;

з) увеличивать количество воды в канаве путем открытия шлюзов с помощью подобранного ключа, взлома и т. п.

и) повреждать мосты, шлюзы, водосливательные переходы и вообще всякого рода сооружения оросительных систем;

к) рубить и разводить древесные насаждения по берегам канав и по краям дороги без разрешения водной администрации;

л) строить мельницы, мосты, шлюзы, гидротехнические сооружения и производить какие бы то ни было новые работы по проведению новых оросительных каналов, водопроводов и т. п. без утверждения Водным Управлением и письменного разрешения последнего.

2. Виновных в нарушении сего постановления подвергать в административном порядке распоряжением местного Уездного Исполнительного Комитета аресту до одного месяца или штрафу до ста (100) рублей.

3. Административные протоколы, составленные водной администрацией по нарушениям сего постановления, через Темские Исполнительные Комитеты препровождать в Уездный Исполнительный Комитет для утверждения.

4. Взысканные штрафные суммы препровождать в недельный срок в ближайшее казначейство для зачисления в депозит Водного Управления Грузии.

5. С опубликованием настоящего постановления аннулировать все ра-

შესახებ ყველა წინად გამოცემული დად-გენილება.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ. თავმჯდ. მოადგ. ს. ჯუღელი.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ. საქმეთა მმართვ. ალ. სალარიძე.

1925 წ. დეკემბრის 8.
ტფილისი—სასახლე.

нее изданные по данному вопросу постановления.

Зам. Председателя Сов. Нар. Ком. ССР Грузии *С. Джугели.*

Управл. Делами Совета Нар. Ком. ССР Грузии *Ал. Саларидзе.*

1925 г. декабря 8.
Тифлис—Дворец.

## 113. დადგენილება

### საქ სოც. საბჭ. რესპ. ეკონომიური საბჭოსი

**„საგაკვეთილო დებულების" სახელ-მძღვანელოდ შემოღების შესახებ.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ეკონომიური საბჭო ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ მთლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ტერიტორიაზე ქართულ ენაზე გამოცემული „საამშენებლო სამუშაოთა საგაკვეთილო დებულება".

2. დაევალოს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებასა და ორგანიზაციას— ყოველგვარი საამშენებლო ხარჯთ-აღრიცხვისა და გეგმის შედგენისათვის იხელმძღვანელოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ეკონომიური საბჭოს მიერ 1925 წ. ქართულ ენაზე გამოცემული 1-ლი მუხლში აღნიშნული „საამშენებლო სამუშაოთა საგაკვეთილო დებულება".

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. ეკონომიური საბჭ. საქმეთა მმართვ. ალ. სალარიძე.

1925 წ. დეკემბრის 10.
ტფილისი—სასახლე.

## 113. Постановление

### Экономического Совета Соц. Сов. Республики Грузии

**О принятии к руководству „Урочного Положения".**

Экономический Совет ССР Грузии постановляет:

1. Принять к руководству на всей территории Соц. Сов. Республики Грузии изданное на грузинском языке „Урочное Положение".

2. Обязать все государственные, кооперативные, общественные и частные учреждения и организации при составлении всякого рода строительных смет и проектов руководствоваться изданным Экономическим Советом Соц. Сов. Республики Грузии в 1925 г. указанным в п. 1 сего постановления „Урочным Положением о строительных работах".

3. Настоящее постановление входит в силу со дня его опубликования.

Председатель Экономического Совета ССР Грузии *Ш. Элиава.*

Управ. Делами Экономического Совета ССР Грузии *Ал. Саларидзе.*

1925 г. декабря 10.
Тифлис—Дворец.

Главлит № 574. Заказ № 993. Тираж—2000.

3-я типография Полиграфтреста ВСНХ Грузии.